

708 /  
1990 / 3

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

# საქართველოს გარე ურთიერთობები

2


1990

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის  
სამსახურის

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ  
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND  
CULTURAL MONUMENTS





გულთა ბოძი (სოფ. ჩოხი).

# ქველავის ქუთხარი

2 (1990)

ქართული ოთხმოდულიანი

გამოდის 1984 წლიდან

საჩინამოდო ქოლავი: ირაკლი აბაშიძე, ანდრია აბაშიძე, გივი ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლგოშაძე (პ/მე მდივანი), პარმენ ზაქარაია, მაჩინაშ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, გივი პაპუნაშვილი. თანეგი უარაძე, ვახტანგ ბინძაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ბიბიფილი



შ ი ნ ა რ ს ი



დვანდროსილი მდინარის ხსოვნას	5-8
ანტონ ძალაძე — ქართული ტრადიციული საცხოვრებლის ტიპოლოგიისათვის	9
მასტანჯე ჩიქოვანი — შთიულური სახლის კერა	21
ბახვა ბაშაძე — რაკული შთური საცხოვრებლის კომპლექსი	28
ჯუღიძე რუსაძე — ქართული ხალხური დღესასწაული	35
ვიოგრა ვიოგრაძე — გამომცხვარი პურის შენახვის ხალხური წესები და შესანახი კურტლის სახეები საქართველოში	41
ლევან ბაბუნია — ვაზის სახსლავი იარაღი	46
ალექსანდრე ნარიშკინი — თქმულება წმინდა სტეფანე პირველმოწამულზე	50
ნანა მელაძე — სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები XIX ს-ის ინგლისურ წყაროებში	58
დავით მინდორაშვილი — სამშენებლო ხელოვნების საკითხისათვის შუაბუკუნეების უფლისციხეში	62
ოთარ მინდორაშვილი — ნიჩბის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია	67
ანტონი რუსულ და ინგლისურ ენაზე	76-80

«ДЗЕГЛИС МЕГОБАРИ»

(Друзья памятников культуры)

Сборник восемьдесят шестой.

(На грузинском языке)

Выходит на общественных началах

ბარეკანაძე — შატლი.

ინგლისური ტექსტები შეადგინა მარინე ყენიაძე.

გადაეცა წარმოებას 8.05.90 წ. ხელმოწერილია დასაბუქლად 21.08.90 წ. ფიზიკურ ფორ-  
მითა რაოდენობა 5, სააღრ.-საგამომცემლო თაბაძი 5. ანაწილის ზომა 7x11,5, ქალაქის  
ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>.

ფასი 1 მან. ტირაჟი. 2.500. შეკვ. 1095.

რედაქციის მისამართი: შეთელის ქ. № 5/7, ტელ. 93-56-14.

Адрес редакции: ул. Шавтели № 5/7; тел. 93-56-14.

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი  
ღრთის ორდენისაანი სტამბა, თბილისი, მერაბიძის ქუჩის ტაყის, 14.



მოდდა ისა, რომ საკართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების საზოგადოების კრედიტში, საკრედიტო კომისიისა და კრედიტული კომისიის "საბადაცემო კრედიტში მრავალი წლის მოღვაწეობის მიზნადგად ბატონ ალექსი როგაძის მხრით, 1988 წელს მოწმედა კრედიტის რედაქტორება.

ბატონ ალექსის რედაქტორებით კრედიტული "ძეგლის მემორიის" მომზადება დაიწყო 1990 წელს. იგი რედაქტორული ჯგუფით მოწმედა მასალის შეგროვებას. კავკასიის ხალხთა ერთიანება, მთიულთა ხუმრობა და უფროსი ასაკი, აი ასეთი სინტაქსით თანაბრებით იმეორება კრედიტული, მაგამ — მოწმედა 1990 წლის 17 თებერვალს ბატონი ალექსი ბარბაქაძე.

რედაქციამ ბატონ ალექსის დაწმედალი საქმი გოლომედი მიიწმედა, შეგროვება რედაქციის მასალის და დასტამება კრედიტის წინამდებარე მომზად...

ბადაწმედა, საკრედიტის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების, "ძეგლის მემორიის" საბადაცემო კომისიის ნაწმედადი მოღვაწეობისათვის კრედიტის ეს მომზადება ბატონი ალექსი როგაძის რედაქტორებით და მიიწმედა, მის ნათულ ხსოვნას.




**ბატონი ალექსი როგაძის და საზოგადო მოღვაწეობის**

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. წმედა ჩვენგან ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი ალექსი როგაძე.

ალექსი როგაძე დაიბადა 1907 წლის 22 ნოემბერს ქ. თბილისში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1925 წელს იგი შედის თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, შემდეგ სწავლას აგრძელებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში სპეციალობით "საქართველოს ეთნოგრაფია".

1940 წელს ალ. როგაძე წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

1941 წლიდან ალ. როგაძე ინიშნება ინსტიტუტის სწავლულ მდივანად; შემდეგ წლებში არის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მისი



19.690



და რ. ხარაძის თაოსნობით დაარსებული კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელია.

ფართო იყო ალ. რობაქიძის სამეცნიერო ინტერესთა დიაპაზონი. იგი ეკუთვნოდა მეცნიერთა იმ ბრწყინვალე პლეადას, რომელიც გამოიწილა თავისი ერუდიციით, მაღალი კულტურით, ხალასი ნიჭითა და დაუღალავი მომისმოყვარეობით. მეცნიერის კალამს ეკუთვნის ათი მონოგრაფია და ორასზე მეტი სტატია ქართულ-რუსულ და ევროპულ ენებზე. მის შრომებს გვერდს ვერ აუვლის კავკასიის ეთნოგრაფიის დარგში მომუშავე ვერც ერთი სპეციალისტი.

დიდია ალექსი რობაქიძის დამსახურება ეთნოგრაფიული კადრების აღზრდის საქმეში. სიცოცხლის დასასრულამდე იგი მონაწილეობდა კავკასიის სხვადასხვა რეგიონში მოწყობილ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. მეცნიერის მოწაფეებს არასოდეს დაავიწყდებათ მასთან ერთად ველზე გატარებული ცოცხალი იუმორითა და ინტელექტუალური საუბრებით სავსე დღეები, თავისი სულგრძელობით, ადამიანურობით, საქმისადმი თავდადებული და დაუღალავი შრომით, პასუხისმგებლობისა და სამშობლოსადმი სიყვარულის მაგალითის მიმცემი იყო მოწაფეებისათვის.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია ცხრა სადოქტორო და ორმოცი საკანდიდატო დისერტაცია. ალ. რობაქიძის აღზრდილები ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევიან, როგორც საქართველოში, ისე სომხეთში, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში.

დიდია მეცნიერის დამსახურება კავკასიის ხალხების დაახლოებასა და დამეგობრებაში. მისი ინიციატივით მოეწყო ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური ერთობლივი ექსპედიციები, რომელთაც დიდი პერსპექტივები დასახეს. სამწუხაროდ, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ბოლო ხანებში მიმდინარე პროცესები მხოლოდ მეცნიერს დიდ ტკივილს აყენებდა.

მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ალ. რობაქიძე, როგორც საქართველოს ისტორიული ატლასის შემდგენელი კომისიის თავმჯდომარე. ბევრს ზრუნავდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებაზე. როგორც ამ საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, კრებულ „ძეგლის მეგობრის“ მორიგი რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჩვეული ხალისით, ერუდიციით, ადამიანებისადმი ღრმა პატივისცემით მონაწილეობას იღებდა საზოგადოების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

ამჟამად, როდესაც ბატონი ალექსი ჩვენ შორის აღარ არის, შეიძლება მხოლოდ მოკრძალებული სამადლობელი ითქვას მისი შეუპოვარი, დაუღალავი დიდად საქირო შრომისათვის, რომელიც ღირსეულმა მამულიშვილმა გასწია კულტურის ძეგლთა წარმოჩენის, დაცვისა და პოპულარიზაციისათვის.

საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი, სარევიზიო კომისია, კრებულ „ძეგლის მეგობრის“ რედაქცია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქართულ-კავკასიურ ეთნოგრაფიულ ურთიერთობათა შესწავლის განყოფილება, უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრა.



1990 წლის 17 თებერვალს 82 წლისა აღესრულა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ხარეციზო კომისიის ბოლო მოწვევათა უცვლელი თავმჯდომარე, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი მესაძირკვლე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ალექსი რობაქიძე.

ბრწყინვალე მეცნიერს, მამულიშვილს, მოქალაქეს, ბატონ ალექსის მომადლებული პქონდა ნიჭი და ნაყოფი სულისა წმიდისანი: ძლიერება, ზრახვა, მეცნიერება, გულისხმისყოფა, სიბრძნე, სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, მოთმინება.

ამიერ განსვლამდე, თავისი ცხოვრების გრძელ გზაზე, უკეთურთა, მუქვართა, მტყუვართაგან ვნებით, მანქანებითა და ლალვით დამაშვრალი მაინც შემნდობი, მიმტევებელი და ძვირ-უხსენებელი იყო. მისი „ცხოვრება“ ვაციკროვებულთა სულიერ და სორციელ მოწყალებათა საქმეთაგან.

ბატონი ალექსი ბრძანდებოდა მრავალი ეროვნული, სამეცნიერო, საზოგადო საქმის წამომწყები და მეთავე, თანაგამზრახი, თანაგამაფელი, თანამდგომი, თანამოსაგრე, თანამწე. მისი მეოხებით მრავალი კეთილი საქმე აღსრულებულთა და „საქმეთაგან მონაგარი არ უძებნია“.

ბატონი ალექსის განმანათლებელი, ქველი, მდაბალი, წრფელი, გულთამხილავი ბუნება მის მოყვასთ და მრავალრიცხოვან დამოწაფებულეზს მთელი კავკასიიდან მავნითივით იზიდავდა და თავის ველში აქცევდა.

ამიტომაც გულწრფელად დაიტირეს მრავალთა და მრავალთ — „ნაცარ თავსა გარდასხმულთა“, მისი აბადონი.

საეკლესიო პანაშვიდი აღასრულა და წესი აუგო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი გამრეკელმა. დაიკრძალა 22 თებერვალს თბილისში, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში...

\*\*\*

„მოიხსენე უფალო სული შესვენებულისა მონისა შენისა ალექსისა... მიუტევენ მას ყოველივე შეცოდებანი მისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, მიანიჴე მას ჴეცათა სასუფეველი და ჴიარებაჲ საუკუნეთა შენთა კეთილთა და მიეც მას საუკუნო ხსენება“ ამინ.

\*\*\*

ბატონი ალექსის ბოლო განზრახვა — კავკასიის ხალხთა ერთიანობისა და თანამშრომლობისკენ მოწოდება დაუწერელი დარჩა... თან გაიყოლა ქართველ მამულიშვილთა მრავალთაობის ნატვრა-ოცნება — საქართველოს თავის უფლებათა.

**ქართული ტრადიციული საცხოვრებლის ტიპოლოგიისათვის**



ქართული

ქართული ხუროთმოძღვრულ-ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა კვლევამ ცხადყო ვერტიკალური ზონალობის, როგორც გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა კულტურისა და ყოფის ძირითადი ელემენტების ჩამოყალიბების პროცესში. გეოგრაფიული გარემოს ეს თავისებურება გარკვეულ კვალს აჩენდა ქართველი ხალხის საოჯახო და სამეურნეო ყოფას, მატერიალურ და სულიერ კულტურას. შესაბამისად, განსახილველი ობიექტების ყოველგვარი კლასიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში მოპოვებულ მასალას უნდა ეყრდნობოდეს.

ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობის შედეგად საქართველოში სამეურნეო-კულტურული ნიშნების მიხედვით თავიდანვე შემოიხაზა სამი ძირითადი რეგიონი: საკუთრივ, კოლხეთის დაბლობი (დასავლეთ საქართველოს ბარი), აღმოსავლეთ საქართველოს ბარი და საქართველოს მთიანეთი.

ქართული ტრადიციული საცხოვრებლის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლად აღებულია დაგვემარების, საშენი მასალის, გადახურვის სისტემის თავისებურებანი. აღნიშნულ ნიშან-პირობათა მიხედვით XIX ს. დასასრულისათვის ტრადიციული საცხოვრებლის რამდენიმე ტიპა და ქვეტიპა მოაღწია:

**კოლხეთის დაბლობი (დასავლეთ საქართველოს ბარი)**

1. წნულკედლიანი საცხოვრებელი (ფაცხა);
2. ძელური საცხოვრებელი (ჯარგვალი);
3. პიტაფიკარი;
4. ოდა-სახლი;
5. აკარული სახლი;
6. ლაზური სახლი.

**აღმოსავლეთ საქართველოს ბარი**

1. დარბაზი;
2. მიწურბანიანი საცხოვრებელი.

**საქართველოს მთიანეთი**

1. კოშკური საცხოვრებელი;
2. კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი;
3. გალანიანი საცხოვრებელი კომპლექსი;
4. სახლ-ბოსელი;
5. კალოიანი სახლი;
6. ორსართულიანი ბანიანი სახლი;
7. მოქცეული სახლი;
8. ორქანობიანი სახურავით დასრულებული საცხოვრებლები.


ცხადია, სტატიის ლიმიტირებული მოცულობა არ იძლევა ქართული ტრადიციული საცხოვრებლის ყველა ძირითადი ტიპისა და მათი მოდიფიცირებული სახესხვაობების სრულად წარმოდგენას. ამდენად, მხოლოდ საცხოვრებლის ძირითად ტიპებს წარმოვადგენთ ზემოაღნიშნული სქემის მიხედვით.

**კოლხეთის დაბლობი**

1. წნულკედლიანი საცხოვრებელი (ფაცხა).

საცხოვრებლის ეს ტიპი მიჩნეულია უძველესად. იგი თითქმის XX ს. 40-50-იან წლებამდე ფუნქციონირებდა საქართველოში. გეგმის მიხედვით ფაც-

სოფ. მელანი. მიქვას ქარგვალი. გეგ-  
მა, კრალი, ფასალი.



ნის ორი ძირითადი ქვეტიბი გამოირჩევა: წრიული მოხაზულობისა და სწორ-  
კუთხოვანი.

გეგმაში წრიული მოხაზულობის წნული საცხოვრებელი ერთგანყოფილე-  
ბიან, მცირე მოცულობის ნაგებობას წარმოადგენდა. 5 მ-მდე დიამეტრის შემო-  
ხაზულ წრეზე მაგარი ჯიშის ხის 6-14 სმ დიამეტრისა და 2 მ სიმაღლის სა-  
კედლე დგარებსა და სარებს არჰობდნენ. მათზე თხილის, თხმელის ან იფნის  
წნელებით აპყავდათ წნული კედელი, რომლის ზედა ნაწილი შედარებით  
მსხვილი წნელებით გადაიწვენებოდა. ცილინდრული კედლის თავზე ნივნავის  
კავი მაგრდებოდა. ნივნივების ზედა ბოლოებს შეაერთებდნენ და გარეული  
ვაზის ლერწით ან შვინდის წკნელით შეკრავდნენ. ნივნივებს შორის დარჩე-  
ნილ ღიობებსაც წნულით ჩალობავდნენ და ზემოდან კონებად შეკრული ისლის  
ან გვიმრის სახურავს აწყობდნენ.

ძველად ფაცხის კედლებს ზამთრობით გვიმრის, ღომის ან სიმინ-  
დის ჩალის კონებს შემოუწყობდნენ, რომლებსაც დათობობისთანავე შემოაყ-  
ლიდნენ. მოგვიანებით კედლის შელესვის პრაქტიკაც გამოიყენებოდა.


ფაცხას ერთი კარი ჰქონდა. იშვიათად წნულ კედელში მცირე სასინათ-  
ლე ღიობიც კეთდებოდა, რომელიც წნული დარაბით იხურებოდა. ფაცხის  
იატაკი, რომლის ცენტრში კერა იყო გამართული, მიწური კეთდებოდა. კე-  
რის თავზე მოწყობილ საკიდ კონსტრუქციაზე ნაჭა იყო დამაგრებული.

გეგმაში სწორკუთხოვანი მოხაზულობის წნული საცხოვრებელი რამდე-  
ნიმე ქვეტიბითაა წარმოდგენილი: კვადრატთან მიახლოებული კუთხეებმომრგ-



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

სოფ. კუონი. პიტაფაციო. ზეგმა, კრი-  
ლი, ფსადი.




ვალებული ფაცხა, სწორკუთხოვანი ფაცხა, ანფილადური სწორკუთხოვანი, უსაძირკვლო და ხის საძირკველზე გამართული დგარულ-კოკოვანი წნული საცხოვრებელი, წნული საცხოვრებლის ამ სახეობებში სახურავის კონუსურ ფორმას ორქანობიანი სახურავი ცვლის. ჩნდება ხის სვეტებზე გამართული უმოაჯირო აივანი. იქმნება რამდენიმე განყოფილებიანი წნული საცხოვრებელი.

## 2. ძელური საცხოვრებელი (ჯარგვალი)

ჯარგვალი მრგვალი ძელებისაგან ნაშენ ნაგებობას ეწოდება. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით შუაზე გაპოხილი მორებისაგან აშენებულ ნაგებობასაც ჯარგვალი ერქვა. იგი ძირითადად ტყიანი რაიონებისათვის იყო დამახასიათებელი. ჯარგვალურად იგებოდა საცხოვრებელი, სამეურნეო და საინჟინრო ნაგებობანი.


ერთსართულიანი ჯარგვალი ძირითადი ჯარგვალის სახელწოდებითაც ცნობილი. იგი ერთი, ორი ან ზოგჯერ სამი სათავსისაგან შედგებოდა. ერთ-





სოფ. ნაქიფარი. დავით გეთიას ოფა-სახლი. გეგმა, ფასადი, კრილი.

სოფ. ღირჭიში. აქარული სახლი. ფასადი კრილი.



სათავსიანი ჭარგვალი მეტწილად 1 მ სიმაღლის ხის ტიხარით ორად იყო გაყოფილი. ერთ მხარეს ოჯახი ცხოვრობდა, მეორე კი საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. ორგანყოფილებიანში ერთი სათავსი, როგორც წესი, ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენდა, მეორე — ბოსელს ან სამზადს. სამთელიან ჭარგვალში ცენტრალური ნაწილი დერეფანს ეკავა, რომლის ერთ მხარეს საცხოვრებელი სათავსი იყო მოქცეული, მეორეზე კი ბოსელი.

ჭარგვალს აგებდნენ, როგორც უაივნოდ, ისე უშოაჯირო აივნით. იატაკი აქაც მიწური იყო, ხოლო ორფერდა ან ოთხფერდა სახურავს ისლით ან ყავრით ხურავდნენ.

აფხაზეთსა და აჭარაში სასტუმროდ განკუთვნილი ჭარგვლის მშენებლობის ტრადიციად დამოწმებული. ამ მიზნით აშენებულ ორსათავსიან ნაგებობაში

ერთი ოთახი საძინებლად გამოიყენებოდა, მეორე — საჭინიზოდ. აქარაში მიკვლეულია ჭარგვალის ვერტიკალურ განზომილებაში განვითარებული ქვეტოპი (ზედშედგმული ჭარგვალი), რომელიც სეზონურად გამოიყენებოდა. მისი პირველი სართული საქონლის სადგომს წარმოადგენდა, მეორე კი საცხოვრებელსა და სასტუმროს. ეს უკანასკნელი რძის გადასამუშავებელი სათავის ფუნქციასაც ასრულებდა.

### 3. პიტაფიცარი

საცხოვრებლის ეს ტიპი ხის მოკლე ფიცრებით (პიტა ფიცარი) იყო აგებული. პიტაფიცრის საფუძველი ქვებზე დაწყობილი ერთმანეთთან ჭდობით ჩამაგრებული ძელებიგანაა შედგენილი. ძელებში ამოჭრილ ღრმულებში ვერტიკალური დგარებია (ბოყვი) ჩასმული, რომელთა ორი მხარე ღრმადაა ეზოლარული. ბოყვებს შორის ღარებში ეწყობოდა ფიცრები. ბოყვების თავზე დამაგრებულ სარტყლებზე სახურავი კონსტრუქციაა მოწყობილი. სახურავი ორ ან ოთხქანობიანია. ოთხქანობიანი გადახურვისათვის ცენტრალური დირეა გამოყენებული, რომელსაც ვერტიკალური საყრდენი გადასცემს ზედა დირის (სათავე) დატვირთვას. ორქანობიანი სახურავის შემთხვევაში ჭარგვალის წინა და უკანა მხარის ორი ცენტრალური ბოყვი (არფა) სხვებზე მაღალი გამოდის და ასეთი სახლები არფიანი (აფრიანი) სახლის სახელწოდებითაა ცნობილი.

პიტაფიცრულ სახლს სვეტებზე დაყრდნობილი ღია აივანი უკეთდებოდა (წინიდან ან ორმხრივ). კედლებში ცალი თვალით გასახედი ხვრელი (ოქკორი) და მცირე ზომის სასინათლო ღიობი კეთდებოდა.

პიტაფიცარი ჩვეულებრივ ერთგანყოფილებიანი და ორგანყოფილებიანი იგებოდა, იშვიათად — სამგანყოფილებიანიც.

### 4. ოდა-სახლი

ჭარგვალი საფუძველს უდებს ახალი ტიპის ძეღურ — ფიცრულ საცხოვრებელს ოდა-სახლს. უმარტივესადაა მიჩნეული ხის ან ქვის დაბალ ბოძებზე (ბოკონი) დადგმული ერთოთახიანი უაივნო ოდა-სახლი. შემდეგ ბოძების სიმაღლე იზრდება, ოთახების რაოდენობა მატულობს და ჩნდება აივნები, რიგ შემთხვევებში დერეფანიც. ამ მახასიათებლების მიხედვით ნაგებობა შეიძლება ყოფილიყო შუა დერეფნით, ერთაივნიანი, ორაივნიანი, სამმხრივაივნიანი და ირგვლივაივნიანი. ამ ვარიაციებში იატაკქვეშა (იატაკი ხის ფიცრითაა მოწყობილი) ღია სივრცე ინტენსიურად ნიაგდება. ოდა-სახლის განვითარების ბოლო ეტაპზე ჩნდება ორსართულიანი ნაგებობა (პალატიანი სახლი), რომლის პირველი სართული მეტწილად ქვით აპყავდათ.

ოდა-სახლის კერი, ისევე როგორც იატაკი, კარგად გარანდული ფიცრითაა მოწყობილი. სახურავი ოთხქანობიანია, ყავრისა ან კრამიტის. კერა საცხოვრებლის ამ ტიპში ორნამენტირებული ბუხრითაა შეცვლილი.

ოდა-სახლებში ოთახების რაოდენობა ერთიდან შეიდანმდე ცვალებადობს. რამდენიმე ოთახიან ნაგებობებში შიდა სივრცე გრძივი და განივი მიმართულების ტიხრებითაა (მათ შორის „დასაშლელი“ და „მოძრავიც“) დაყოფილი.

## 5. აქარული სახლი

აქარული საცხოვრებლის (ჩარხილი, ორთა სახლი) მეტი ნაწილი ორსართულიანია. იშვიათად სამსართულიან ნაგებობებსაც ვხვდებით. ხის მასალის სიუხვის გამო ეს სახლები ხისგანაა ნაგები. იშვიათად ბოსლის კედლები ქვის წყობით აკყავდათ.

აქარული სახლის გეგმა სწორკუთხოვანი მოხაზულობისაა. მისი ცოკოლის სართული ჩვეულებრივ ორი მხრიდან ღიაა ბოსლისკენა სივრცის განივების მიზნით. ბოსლის სართული (ახორი), რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება, თუმცა მეტწილად ორგანყოფილებიანია. ერთი, შედარებით მცირე სათავსი თავლად და წვრილფეხა საქონლის სადგომადაა გამოყენებული, მეორე — მსხვილფეხა საქონლის სადგომად. ბოსლის იატაკი მჭიდროდ დაგებული სქელი ძელებისგანაა მოწყობილი. სათავსების შუა ნაწილში ხის ღარებია ჩასმული, რომლებსაც უსუფთაო წყალი ნაგებობის გარეთ გააქვს.

ბოსელს მეტწილად ორმაგი კერი აქვს, რომელთა შორის დარჩენილ ღია სივრცეში გამკოლი განიავებაა და ბოსლიდან საქონლის პატივის უსიამოვნო სუნი საცხოვრებელ სართულში ვეღარ აღწევს. საცხოვრებელი სართული გრძელი დერეფნით ორადაა გაყოფილი. დერეფნის ორსავე მხარეს განლაგებულია ოთახები: სასტუმრო ოთახი, ცოლ-ქმრის ოთახი, საჯალაბო ოთახი, საძძეო და ოჯახის სხვა წევრებისათვის განკუთვნილი საძინებელი ოთახები. კედლებში სარკმლებია, რომლებიც დარბაზებით იხურება. ხშირად სახლის უკანა მხარეს, აივანზე საპირფარეშოა გაკეთებული. ოთახებში კედლების გასწვრივ ხის დაბალი, განიერი ტახტებია გამართული.

ბოსელი და საცხოვრებელი სართული კიბითაა დაკავშირებული ერთმანეთთან. სხენზე სამეურნეო დანიშნულების „საზამთრო ბედელია“ მოწყობილი.

## 6. ლაზური სახლი

ლაზური სახლი ჩვეულებრივ ორსართულიანია. რელიეფის დიდი ქანობის შემთხვევაში იგი ნახევრადორსართულიანიც იგებოდა. პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოიყენება. მისი კედლები ქვითაა აყვანილი ისე, რომ სათავსის ერთი მხარე მუდამ გახსნილია, იშვიათად კი ეს ღიობი შეფიცრულია.

მეორე, ფიცრული სართული საცხოვრებელია და იგი რამდენიმე ოთახადაა დაყოფილი. აქარული სახლისაგან განსხვავებით აქ შუა, ცენტრალური დერეფანი არაა. ყველაზე დიდი ოთახია საჯალაბო დარბაზი, რომლის თიხაბკენილი იატაკის ერთ მხარეს კერა ან ბუხარია მოწყობილი. კერის შემთხვევაში სახურავზე საკვამლე (საფუტე) ხვრელია გაკეთებული. დანარჩენი ოთახები უშუალოდ საჯალაბო დარბაზთანაა დაკავშირებული ან ეს კავშირი შიგა, დამხმარე დერეფნის საშუალებით ხორციელდება.

### აღმოსავლეთ საქართველოს ბარი

#### 1. დარბაზი

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ზეგანზე საცხოვრებლის ძირითად სახეს XX ს. დასაწყისამდე დარბაზული სახლი წარმოადგენდა. მისი განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტი

პირამიდული მოყვანილობის დაკბული, საშუა-საკვამური ერდოთი დასრუ-  
ლებული გვირგვინია. დარბაზის უცილობელი ატრიბუტია წინ მოქცეული  
დერეფანი, რომელიც სვეტებიან პორტიკს წარმოადგენს.

ქართლური დარბაზისათვის სპეციფიურია ცენტრალური ნაწილის გვირ-  
გვინით გადახურვა, ერდოს ქვეშ კერით (ბუხარი გვიანდელი მოვლენაა). კედ-  
ლები ქვითა და ლამკირითაა ნაგები, ამასთან ჰერ-სახურავის სისტემა ხის ბო-  
ტებს ეყრდნობა. დედაბოძებს კონსტრუქციულად და მხატვრულადაც არსე-  
ბითი მნიშვნელობა გააჩნიათ.

უმარტივესი ქართლური დარბაზი სვეტებიანი დერეფნისა და გვირგვინით  
დასრულებული სათავსისაგან შედგებოდა. მსგავსი საცხოვრებელი XIX ს.  
II ნახევრისათვის იშვიათობა იყო. ამ პერიოდში იგი კომპლექსურ ნაგებობას  
წარმოადგენდა და შემდეგი სათავსებისაგან შედგებოდა: დერეფანი, მარანი,  
ბელელი, საბძელი, ბოსელი, სათორნე და შეშის ოთახი, რომლებიც ერთმანეთ-  
თან უშუალოდ საერთო კედლებში გაკეთებული შესასვლელებით ან კორიდო-  
რებით იყვნენ დაკავშირებული. კომპლექსის ძირითადი სათავსი დარბაზი იყო.

მესხური დარბაზის გვირგვინი მეტწილად რვაკუთხაა, ამასთან იგი ხში-  
რად დარბაზის მთელ ფართობს ხურავდა. მესხური დარბაზული კომპლექსი  
რამდენიმე საზამთროდ განკუთვნილ საცხოვრებელ ოთახს (თაკარებიანი საც-  
ხოვრისი), სათორნე, ხარო, ბოსელი, დარბაზი და სხვა სამეურნეო სათავსებს  
მოიცავს.

## 2. მიწურბანაიანი სახლი

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დარბაზული სახლის პარალელურად  
ფუნქციონირებდა მიწურბანაიანი საცხოვრებელი, რომლის ორი ქვესახეობა  
იყო გავრცელებული: გომურა სახლი და თაკარებიანი ოდა. მათ შორის გან-  
სხვავება გადახურვის კონსტრუქციულ სისტემასა და ინტერიერის გადაწყვე-  
ტის თავისებურებებში გამოიხატებოდა. გომური სახლი პორიზონტალურ  
პრილში განვითარებულ იშვიათად ერთ, მეტწილად კი ორ ან სამსათავსიან  
ნაგებობას წარმოადგენდა. სახლის წინა მხარეს აივანი ეკვროდა. ერთსათავე-  
სიანი სახლის შემთხვევაში მისი ნახევარი საცხოვრებლად გამოიყენებოდა,  
მეორე ნაწილი კი საქონლის სადგომად. მათ შორის 1 მ სიმაღლის წნული ან  
ფიცრული ტიხარი იყო აღმართული. გომური სახლი მეტწილად აივნის, საც-  
ხოვრებელი სათავსისა და ბოსლისაგან შედგებოდა. საბძელი, თონე, ფარეხი,  
ხარო და სხვა სამეურნეო ნაგებობანი ეზოში იყო განლაგებული.

თაკარებიანი ოდა მეტწილად დარბაზული კომპლექსის შემადგენელ ელე-  
მენტს წარმოადგენდა და ზამთრობით გამოიყენებოდა საცხოვრებლად. მისი  
მიწური სახურავი ოდნავ დაქანებულადაა მოწყობილი. სადგომმა დაკბულად  
გამართული ჰერის კოჭების (თაკარები) მიხედვით მიიღო სახელწოდება. თა-  
კარებს შორის დარჩენილი ჰერის შუა ნაწილში მცენარეული ხასიათის ორ-  
ნამენტებით შემკული ვარდული მაგრდებოდა.

## საქართველოს მთიანეთი

### 1. კოშკური საცხოვრებელი

იგი წარმოადგენს ქვით ნაგებ მონუმენტურ ნაგებობას, რომელშიც სამე-  
ურნეო, საცხოვრებელი და დაცვითი სათავსები ვერტიკალურ პრილშია გან-

ლაგებული. ნაგებობის პირველი სართული საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, იქ სადაც მეცხვარეობა იყო განვითარებული, მეორე სართული ცხვრის სადგომად გამოიყენებოდა. მეორე ან მესამე სართული ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენდა. ხოლო მესამე სართული თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა.

ცალკეული დეტალებისა თუ ელემენტების მიხედვით საქართველოს მთიანეთში გავრცელებული კოშკური საცხოვრებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე მაგ.: სვანური საბრძოლო პარაპეტი ქმნის ნაგებობის ლოკალურ ქვეტიპს, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება. ასევე განსხვავდებიან სალოდის მოყვანილობის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცალკეული კუთხეების ნაგებობები. მთიულეთში გვხვდება ნისკარტისებური სალოდე, მაშინ, როდესაც ხევსურეთი და თუშეთი ასეთ სალოდეს არ იცნობენ. აქ იგი სწორკუთხოვანი მოხაზულობისაა.

## 2. კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი

საცხოვრებელი კომპლექსის ეს ტიპი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ორი ნაგებობითაა წარმოდგენილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იგი კოშკისა და კოშკური საცხოვრებლებისაგან, იშვიათად კოშკისა და საცხოვრებელი სახლისაგან შედგება, ხოლო სვანეთში — კოშკისა და საცხოვრებელი სახლისაგან. კომპლექსის შემადგენელი კოშკის სართულიანობა ცვალებადობს სამიდან რვამდე, ხოლო კოშკური საცხოვრებლისა — სამიდან ხუთამდე.

კომპლექსის შემადგენელი კოშკების ოთხი განსხვავებული ქვეტიპია დამოწმებული: ზევითეენ ძალზე დაქანებული კედლებითა და პირამიდულ-კიბური სახურავით დასრულებული; სწორკედლებიანი და მიწურბანიანი სახურავით დასრულებული; ცალფერდასახურავიანი თუშური კოშკი დიდი ზომის საომარი ღიობით ბოლო სართულზე და სვანეთში გავრცელებული ორფერდა სახურავით დასრულებული შდურებიანი კოშკი.

## 3. გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი


საცხოვრებლის ამ ტიპისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია გალავანი. სწორედ მისგანაა ნაწარმოები კომპლექსის სახელწოდება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კომპლექსის ორი ქვეტიპია დამოწმებული: პირველი კოშკური საცხოვრებლისა და მის წინ გალავნით შემოზღუდული შიდა ეზოსაგან შედგება. მეორე კი კოშკს, კოშკურ საცხოვრებელსა და გალავნით შემოზღუდულ შიდა ეზოს მოიცავს.


სვანეთში კომპლექსი შედარებით რთული აგებულებისაა. იგი შედგება კოშკის, კოშკური საცხოვრებლის, ერთი ან რამდენიმე საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობების, რიგ შემთხვევაში, საკულტო ნაგებობებისაგან და გალავნით შემოზღუდული შიდა ეზოსაგან. იშვიათად ასეთ კომპლექსში წისქვილიც გვხვდება.

136840  
19010333

19.690



სოფ. აბანო. კოშკური საცხოვრებელი კრილი, ფასადი.



სოფ. ჩვაბიანი. კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი.



**4. სახლ-ბოხელი**

იგი ქვის მშრალი წყობით ნაგებ ერთსართულიან, ბანით დახურულ ნაგებობას წარმოადგენდა, ერთიანი, დაუყოფელი სათავსით. მისი ერთი ნაწილი კერით ოჯახის საცხოვრებლად იყო განკუთვნილი, მეორე — საქონლის სად-


2. ძეგლის შეგობარი № 2 (1990).

საქართველოს  
ეროვნული

სოფ. ზემო მღელა. გალენიანი  
საცხოვრებელი კომპლექსი. კრი-  
ლი.





სოფ. ერთაწმინდა. დარბაზი, გე-  
გა, კრილი.



გომად. იშეითად ადამიანის სამყოფი ბოსლისაგან ტიხრით იყო განცალკე-  
ვებული.

#### 5. კალოიანი სახლი

კალოიანი სახლი მთის დაქანებულ ფერდზე ტერასებად განლაგებული  
ორ ან სამსართულიან ქვის მშრალი წყობით ნაშენ ნაგებობას წარმოადგენს.  
ორსართულიანი ნაგებობის პირველი სართული ოქახის საცხოვრებლად და



სოფ. დოღოვანი. ელისაშვილძე  
მის გომური. კრილი, გეგმა.

სოფ. გერგეთი. სუჯაშვილების  
სახლი. კრილი, ფასადი, გეგმები,  
კარის თავის მორთულობა.

საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. მეორე სართულს სახლის უკანა კედელთან ქვის მშრალი წყობით აგებული, ცალ მხარეს გახსნილი ფარდული (კალო) წარმოადგენს, რომლის წინ, სახლის ბანზე ზდებოდა მარცვლეულის გაღეწვა.

სამსართულიანი ნაგებობის პირველი სართული ოჯახის საცხოვრებლად და საქონლის სადგომად იყო განკუთვნილი. მეორე სართული (ქერბო) მამაკაცების საცხოვრებელს წარმოადგენდა. აქვე ინახავდნენ საქონლის საკვების მარაგს, კირნახულს, საოჯახო ინვენტარს და სხვა.

ქერბოს თავზე, მის უკან საფასადე მხარისაკენ გახსნილი კალო იყო აგებული, რომელშიც ინახავდნენ ძნისა და თივა-ჩაღის მარაგს სამეურნეო იარაღის ნაწილთან ერთად;

ხევში კალოიანი სახლის პირველი სართული ბოსლად იყო გამოყენებული, მეორე საცხოვრებლად, ხოლო კალო სამეურნეო მიზნებს ემსახურებოდა.

**6. ორსართულიანი ბანიანი სახლი**

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საცხოვრებლის ამ ტიპის პირველი სართული საქონლის სადგომად და ზამთრობით ოჯახის საცხოვრებლად გამოიყენებოდა, მეორე — საცხოვრებლად და სამეურნეო მიზნებისათვის. ხევში სახლს ჩვეულებრივ დერეფანი ჰქონდა მიშენებული. დერეფნის გვერდით კედელზე მეორე სართულზე ასასვლელი კიბე იყო მოწყობილი. არც თუ იშვიათად, მეორე სართული ორად იყო გატეხილი წნული კედლით.





ფშაური მოქცეული სახლი ქვის მშრალი წყობით ამოყვანილი ერთსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობაა. იგი ერთი მთლიანი სათავსის სახითაა წარმოდგენილი, მის სპეციფიკურ თავისებურებას შეადგენს გადახურული კარმედიც ქართლური გვირგვინის მსგავსადაა გადაწყვეტილი. მოქცეულ სახლში გადახურვა ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: პირველში გვირგვინს ჰერის ერთი მეოთხედი უკავია და აქედან გამომდინარე კერა უკანა კედლის ახლოსაა გამართული. მეორე ვარიანტში გვირგვინი სათავსის ცენტრშია ამართული და კერაც გვირგვინქვეშ, დედაბოძის წინ იყო მოწყობილი.

#### 8. ორქანობიანი სახურავით დასრულებული საცხოვრებელი

დასავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვხვდება ორქანობიანი სახურავით დასრულებული საცხოვრებლები. სახურავ მასალად დასავლეთ საქართველოს მთიანეთში ძირითადად ყავარია გამოყენებული, იშვიათად ფიქალი (სევანეთში), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი ფიქალი (თუშეთი) და ყავარი (სამაჩაბლოში).

ორქანობიანი სახურავით გადახურული ტიპური სევანური საცხოვრებელი ორსართულიანია. იგი ქვეთკირითაა ნაგები. პირველი სართული ოჯახის საცხოვრებლად და საქონლის სადგომადაა გამოყენებული. ერთიანი სათავსით წარმოდგენილი მეორე სართული ზამთრისათვის საქონლის საკვების შესანახი იყო, ხოლო ზაფხულობით ოჯახი ადიოდა საცხოვრებლად.

თუშეთში ორქანობიანი სახურავითაა დახურული ბოსელი და აივნისანი სახლი. ერთსართულიანი ბოსელი ქვის მშრალი წყობით იგებოდა. მთლიანი ფართი ფიცრული კედლით ან ლასტით ორ ნაწილადაა გაყოფილი. შესასვლელის მხარე საქონლის სადგომადაა გამოყენებული, ხოლო უკანა ნაწილი საცხოვრებლად. ქერსზემოთ სხვენი ბზისა და თივის შესანახად გამოიყენებოდა.

ორსართულიან ბოსელში პირველი სართული საქონლის სადგომად გამოიყენება, მეორე — ადამიანის საცხოვრებლად, ხოლო სხვენი — საქონლის საკვების მარაგის შესანახად.

მოგვიანებით თუშეთში აივნისანი სახლი ჩნდება. იგი გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედის მონაზულობისაა და ორი ნაწილისაგან შედგება: სამყოფისა და სასტუმროსაგან. როგორც წესი მას ორმხრივ აივანი ეკვრის. სამყოფის ერთ-ერთ კედელში ბუხარია მოწყობილი. სათავსებს დიდი სარკმლები აქვს გაკეთებული.

თუშეთში ორსართულიანი აივნისანი საცხოვრებელიც გვხვდება, რომლის პირველი სართული სამეურნეო მიზნებით იყო გამოყენებული, მეორე კი საცხოვრებლად.

აღ. რომაძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აქარაში, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები. ტ. 1, 1960. მისივე, ქართულ ხალხურ ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპები, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. თბ., 1986; გ. ზუბინაშვილი. ქართლის დარბაზები. ტფ., 1926; თ. ჩიქოვანი. მთური ქარგვალ ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიულ მასალის შექმნა. კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული. I, თბ., 1964; მისივე ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიულად. თბ., 1967; ილ. ადამია. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აქარა). თბ., 1956; მისივე. ქართული, ხალხური ხუროთმოძღვრება. II, თბ., 1968 და სხვა.

**მთიულური სახლის კერა**



მთიულური სახლის კერის კომპლექსის აღწერილობა, რომ უფრო მეტი საჩინო გახდეს ჯერ სქემატურად უნდა დავახასიათოთ მთიულეთ-გუდამაყარში გავრცელებული ტერასულ-ბანიანი საცხოვრებლების გეგმა და კონსტრუქცია. ეს უმჯობესია ე. წ. კალიოანი სახლის მაგალითზე გაკეთდეს. არჩევანი შემთხვევითი არ არის, რადგან ტრადიციული საცხოვრებლის ეს ქვესახე ყველაზე პოპულარულია მთიულეთ-გუდამაყარში და მისი ვარიანტები ხსენებული ტიპის თითქმის ყველა არსებით ნიშანს ატარებენ.

მთიულური კალიოანი სახლი გეგმაში თითქმის სწორკუთხაა შენობაა. მის სიგრძე-სიგანეს შორის არსებულ პროპორციებს რელიეფის თავისებურებები განსაზღვრავს. ნაგებობა ორსართულიანია ანუ მასში ორი ზედაქვეა. ძირა სახლი, რომელიც მთლიანად საჯალაბოსა და ბოსელს უჭირავს და მეორე სართულად გამართული კალო. სწორედ ამ ორი ელემენტის დამოუკიდებელი გადახურვა ქმნის ამ ტიპის შენობებისათვის დამახასიათებელ ტერასულობას.<sup>1</sup>

კალიოანი სახლის მთავარ სათავსს, საჯალაბოს დარბაზული სქემა უდევს საფუძვლად. ის ბორწნელით ორად იყოფა: გულთა ბოძიდან (სურ. № 1, 2)\*, მარჯვნივ სამყოფო-საჯალაბოა, მარცხნივ ბოსელი. გარდა ამისა, საჯალაბოს ფართი სიმბოლურად კიდევ სამ ნაწილად, ე. წ. ზემო, შუა და ქვემო თოლებად იყოფა. თოლებად დაყოფა ბანის საყრდენი სამი ძირითადი განივი კოკის, თავხეების მიხედვით ხდება. თოლებში საოჯახო დგამ-ჭურჭელი და ინვენტარი ერთხელ დადგენილი წესით არის განლაგებული. თავისთავად საჯალაბოს ზედა თოლში კერანია, ქვედა თოლში კი საწყლე. კერანში ცეცხლის დასანთები ყვერფი ისეა გამართული, რომ გულთა ბოძის მარჯვენა გვერდზე რჩება. ხსენებული სიმბოლური ელემენტების დიქტომური დაყოფა, როგორც პორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ კრილში კვლავ გრძელდება. უკვე შემდგომ დონეზე, მაგალითად, თავად კერანს ყვერფი მარჯვენა სამამაცო და მარცხენა, საღიაცო მხარეებად ყოფს და ა. შ.<sup>2</sup>

კალიოანი სახლის კერის კომპლექსის ძირითადი ნაწილია საკუთრივ ცეცხლის დასანთებად საგანგებოდ მოწყობილი ადგილი, ე. წ. ყვერფ-კერა. მთიულეთ-გუდამაყარში მისი მხოლოდ ერთი სახის დადასტურება მოხერხდა. ეს არის სათავსის მიწური იატაკის ზედაპირიდან ჩაღრმავებული (13-დან 20 სმ-მდე) მართკუთხა კონფიგურაციის ბრტყელძირიანი ორმო, რომელიც ოთხივე მხრიდან მიწაში ჩასმული ქვებით არის შემოზღუდული (სურ. № 3).


საშუალოდ კერის სიგრძე 108-120 სმ. შორის მერყეობს, ხოლო სიგანე 84-102 სმ. აღწევს. ოჯახის დიასახლისი ცეცხლს ამ ქვების შიგნით მოქცეულ მიწაზე ანთებს და ამის გამო ეს ორმო ყოველთვის ნაცრით არის სავსე. კერის ამ ნაწილს მთიულეები ქაზდარს ან ლადარს უწოდებენ.

ქაზდარის გარშემო მიწურ იატაკში მყარად ჩასმული მთლიანი, ბრტყელი სიპის ქვები, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ზომისაა და თითოეულ მათგანს საკუთარი სახელი აქვს. უკანა მხარის სიპს კერის თავს უწოდებენ. სიგანეში ის ყველაზე პატარაა (28-30 სმ.). ამ ქვის პირდაპირ სართულას სიპია მიწაში

\* სურ. № 2. იხ. კრებულის მეორე გვერდზე.



საქართველოს  
ქრონიკა



ხურ. 1. კულთა ბოძი (სოფ. ვაშლოში).


ჩასმული (სიგანე 22-26 სმ.), მას სხვებთან შედარებით ოთხივე მხრიდან მაზად აქვს გამოყვანილი კუთხეები. დანარჩენებს კი მხოლოდ ღიდარისაკენ მიქცეული მხარეები აქვთ სწორად დამუშავებული. კარებიდან შესულიანთნის, კერის მარჯვენა მხარეს დევს სადიაცო, ხოლო უკანასკნელის მარჯვნივ კი სამამაცო სიბი. ორივე ეს ქვა დიდი ზომისაა და 90-110 სმ. აღწევს სიგანეში. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ძველად უფრო დიდი სიპენის დაწყობაც სკოდნიათ. განსაკუთრებით დიდი ყოფილა სადიაცო სიბი. კარგი იყო თუ სახლის მშენებელი ისეთ სიპს იშოვიდა, რომელზედაც ზრდასრული ხარი დაწვებოდა თავისუფლად. ამ სიპს საქალებო მხარეს ჩასვამდნენ მიწურ იატაკში და ქალებიც დღენიდაც ზედ ისხდნენ თურმე.

კერის მომდევნო ელემენტი მობილურია და მისი ადგილიდან ადგილზე გადატანა შეიძლება. ეს არის ე. წ. რკინის კერა. ჩვეულებრივ, მას ქაზდარში კერის თავის მხარეს დგამდნენ და ცეცხლში შეკეთებული ვრძელი ხის ძელის, სათაურას თავის დასადებად იყენებდნენ. თუ ოჯახს რკინის კერის შექმნა არ შეეძლო ანალოგიურ ფუნქციას ხის მკერივი კუნძი, ბუქხუაი ასრულებდა.

კერის კომპლექსის აუცილებელი ელემენტია აგრეთვე საქვაბე ჭაჭვი — საკიდელი ანუ ჭამფარა. ის ყვერფ-კერის სხვა ელემენტებთან შედარებით საკმაოდ მრავალფეროვანი ვარიანტებით გვხვდება მთიულეთ-გუდამაყარში. ამ რეგიონში მისი ორი ძირითადი სახეა გავრცელებული: ცალტოტა, რკინის ან ხის და სამტოტა ანუ ჭვარული საკიდელი (სიგრძე 2,05-2,10 მ.) სურ. № 3, 4, 5). ინფორმატორთა მოწმობით, რკინის საკიდელის დამზადება საკმაოდ ძვირი უჯდებოდა ოჯახს. მთიულეთ-გუდამაყარში განსაკუთრებით დიდი ფასი ედო ჭვარულ და სქელი გრებილი რკინისაგან დამზადებულ ცალტოტა საკიდლებს. ასეთი საკიდელი მთიელთა წარმოდგენით ოჯახის სიძლიერეს განასახიერებდა. საკიდელი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: უღელა-რგოლისაგან, რომლითაც საკიდლის ჭაჭვი მაგრდება აყრის ძელზე, საქობე კავისა და ჭიჭოსაგან. უკანასკნელი, საკიდლის ჭაჭვის სიგრძის დასარგველირებლად გამოიყენება. სამტოტა საკიდლის ზოგიერთ ნიმუშს შუაგულ ჭვარზე სანთლის ბუდე, მცირე ზომის პატარა შანდალი აქვს მიმაგრებული.


მთიულური სახლის კერის კომპლექსში რკინისაგან დამზადებული სხვა საგნებიც შედის: ზედადგარი, ჭაჭვზე ჩამოსაკიდებელი მრავალსანთლიანი შანდალი (სურ. № 6), ასტამი და ე. წ. კეცია. უკანასკნელი საკიდელზე პურის საცხობი სიბის დასაკიდი მოწყობილობაა.


მთიულური სახლის კერის ზევით, კერში, მოწყობილია ხისაგან დამზადებული კონსტრუქცია — ე. წ. აყარი (სურ. № 3, 4, 5). ის ერთი მხრივ, ცეცხლისაგან იცავს გადახურვის დეტალებს, მეორე მხრივ კი საკიდელზე ჩამოკიდებულ ქვაბს მიწური ბანიდან ჩანოყრილ მტვერს არიდებს. მთიულეთში ერთი სახის აყარი გვხვდება. მისი სიგრძე, ჩვეულებრივ 4,5 მ., სიგანე კი 1,5 მ-ია. ის მთლიანად კერზეა დამაგრებული. გავეცნოთ მის მოწყობილობას: კერის თავ-ბოლოში ჩამოკიდებულია გადმობრუნებული ორძელის მსგავსი ორი ჩარჩო, რომლებიც თავისუფალი ტოტებით გადახურვის საყრდენ შოლტებზე ან თავებებზეა მიმაგრებული. თითოეული მათგანი ორი შევეული და ერთი პორიზონტალური ძელისაგან შედგება. კერის თავის მხარეზე შევეული



სურ. 3. საქალაძო (სოფ. ათნოხი).


სურ. 4. საქალაძო (სოფ. ვეღაქა).





სურ. 5. აყარი. დეტალი (სოფ. ჩაღბ ციხე).


ელემენტები ფიცრის ყაიდაზეა გათლილ-გამოკრილი. მათი პროფილი ფიგურულად არის დამუშავებული (სურ. № 7). ამ ძელებს თავსა და ბოლოში გამჭოლი მართკუთხა ხვრელები აქვთ სატეხელით ამოდებული. ერთი მათგანი სიბრტყეში გადის, მეორე სივანეში. ამ შვეულ ელემენტებს ერთმანეთთან ბოლოების სიბრტყულ ხვრელებში გაყრილი ფიცარი აერთებს, ეს ფიცარი შეიძლება სადა ან მხატვრულად დამუშავებული იყოს. ზოგიერთ მათგანზე ზის ქიკოებია მიმაგრებული (სურ. № 5, 7), ისინი სურსათ-სანოვანის და სველი ტანისამოსის ჩამოსაკიდებლად იხმარება. ამრიგად, ორძელის მსგავსი ჩარჩო, ერთი მხრიდან ყრუდ იკვრება. მეტი სიმტკიცისათვის პორი-ზონტალურად გაყრილი ფიცრის ბოლოებში დიდი ზომის ხის ლურსმნებია ჩასმული. ეს ერთი მხრიდან შეუკრავი ჩარჩო ერთმანეთთან დაუკავშირებელი შვეული ტოტების ზემო თავებით გადახურვის ძელებზე ორი წესით მაგრდება. ერთ შემთხვევაში ის სათანადო მანძილით დაშორებულ გადახურვის სიგრძივ შოლტებზეა მიჭედებული შიდა მხრიდან. თუ საჭირო მანძილით დაშორებული შოლტები არ არის, მაშინ ჩარჩოს შვეული ელემენტების ზედა თავებში გაკეთებულ განივ ნახვრეტებში ნახევარ-ნახევარი მეტრის სიგრძის ხის ძელებს უყრიან. ეს ჩარჩოს ზედა მხარეს მართკუთხედის პროფილს სძენს. შემდეგ ამ ხელოვნური „კაუქის“ ბოლოებს თავზეზე გადადებენ და ჭერის ძელებს შორის ვაკედავენ.



სურ. 6. გულთა ბოძი და შანდალი (სოფ. ღიხვი).

ამით სრულდება აყარის საკიდი კონსტრუქცია. მისი დანარჩენი ნაწილები უკვე პირდაპირ ხსენებულ ჩარჩოზეა დამაგრებული. ასეთი ელემენტი სულ სამია: ქიქოს უღელი, სააღე და საკიდელის ძელი. ქიქოს უღელი მართკუთხედი ხის ჩარჩოა (სურ. № 5). მის ქვედა მხარეზე ორივე მხრიდან გრძელი (57 სმ) კაბეზია დამყნობი. ქიქოს უღელი საყრებზე თავისუფლად არის წამოცმული და ჩვეულებრივ, კერის ზემო თავისაკენ კიდია. მას სურსათ-სანოვაგის, სამარილეს, ტანსაცმლისა და სხვადასხვა ნივთების ჩამოსაკიდებლად ხმარობენ.

ზუსტად ყვერფ-კერის თავზე, აყარის ძელებზე, დამაგრებულია ოთხკუთხედი ფორმის ბრტყელი ფიჭალის ქვეები, რომელთა შორის ჩამოშვებულია საკიდელი. აქ, ქვეების მაგივრად, ზოგჯერ იმავე წესით ხის სქელ ფიცრებს აწყობენ. ამ დეტალს სააღეს უძახიან. ის კერიდან ავარდნილი ნაბერწყლებისაგან იცავს კერს. მის ზემოთ, საყრების გარდიგარდმო, მოკლე ძელი დევს,



სურ. 7. აყარი, დეტალი (სოფ. ლიდე).


რომელზედაც საკიდლის უღელა არის წამოცმული.

ზემოთ მოყვანილი იყო მთიულური სახლის კერის კომპლექსის მოკლე უნიფიცირებული აღწერილობა. ამ სახით ის ყოფას არ შემოუნახავს, მაგრამ ველზე მუშაობის ფიქსირებულმა ფრაგმენტებმა შესაძლო ვახადა მისი მეტნაკლები სიზუსტით რეკონსტრუქცია.

1. მ. ჩართლანი, საცხოვრებელი ნაგებობები მთიულეთში, სსშ, XXV თბ., 1968; ე. ჩიქოვანი, საცხოვრებელი ნაგებობები მთიულეთ-გუდამაყარში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი XIII რესპუბლიკური საიუბილეო სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1976.

2. ე. ჩიქოვანი, მთიულური სახლის ინტერიერის სიმბოლური ორგანიზაციის დასახასიათებლად, კრ. ჰართველი ხალხის ტრადიციული სამეურნეო და სულიერი კულტურა, თბ., 1987.





რაჭული მთური საცხოვრებელი კომპლექსი. სოფ. ღებო.


ბახვა გამყარდომ

### რაჭული მთური საცხოვრებელი კომპლექსი

რაჭის ის მონაკვეთი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში მთარაჭის სახელითაა ცნობილი, გამორჩეული იყო დასახლების ფორმით, თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობებით. თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობების ჩამოყალიბებული ფორმები; სოფლის კომპაქტურობა; სამოსახლოდ შედარებით მაღალი, კლდოვანი და კლდისპირა ადგილების შერჩევა, ერთის მხრივ, იმით იყო გამოწვეული, რომ ნაყოფიერ საეარგულებს ნაგებობებით არ იკავებდნენ და მეორეც, მას თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩრდილოეთიდან გადმოსულ ოსთა ბანდებს პირველი სწორედ რაჭის ეს განაპირა ზოლი უხედებოდა. ღებში, კიორასა და გლოლაში გავრცელებული იყო მრავალსართულიანი დუროიანი ციხე-სახლები და ქვითკირის ორსართულიანი მტკიცედ ნაგები საცხოვრებელი კომპლექსები, რომელიც ერთ მთლიანობაში ითავსებდა თავდაცვით, საცხოვრებელ და სამეურნეო ფუნქციებს. იგი საცხებით პასუხობდა დიდი ოჯახის „ჯალაბის“ მოთხოვნილებებს, რაც XX ს-ის 30-იან წლებამდე მასიურად შემოინახა.

ასეთი ნაგებობები ყოფილა უწერაშიც. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წინა უწერაში, მახუტიანთ უბანში იყო ერთმანეთთან კედლებით შეერთებული სამი ციხე. ამათგან ერთი საქონლისთვის გამოიყენებოდა პირველ სართულზე მსხვილფეხა საქონელს აბინაგებდნენ, მეორეზე აყავდათ, ორი ციხე კი საცხოვრებლად ჰქონდათ. აქედან ჩადიოდა გვირაბი პატარა მდინარე მუშენზე, რომელიც სოფელს ჩამოუდის. მახუტიანთ ბაბუიშვილობა ამ ციხეებიდან თუ ციხე-სახლებიდანაა გამოსული. როგორც ჩანს, ეს ნაგებობა დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა და არც ოფიციალური ორგანოები ზრუნავდნენ მათ გადარჩენაზე, პირიქით, ძველის ნგრევა დიდ დამსახურებად მიიჩნდათ. ამიტომაც მახუტიანთ 1938 წელს ეს კომპლექსი დაანგრიეს, ჭეა გაინაწილეს და ახალი სახლები აიშენეს. ასეთივე ნაგებობა ქონიან მეტრეველების გურელაანთ ბაბუიშვილობას. ეს ორი პატრონიმიული ერთეული ყველაზე ძველია წინა უწერაში, თუმცა სისხლით ნათესავები არ არიან და მათ შორის ქორწინება დასაშვები იყო. რაც შეეხება იქვე მეტრეველების სხვა პატრონიმიულ ერთეულებს: პაპუჩიანთ, ჩიტოიანთ და ბასიანთ. მთხრობლის გადმოცემით, უფრო გვიან არიან მოსულები, როდესაც შიშიანობა აღარ იყო და ასეთი ციხე-სახლებიც აღარ სჭირდებოდათ. პაპუჩიანთ „დიდი ჭალაბი“, როდესაც მისი შემადგენლობა 60-მდე სულს მოითვლიდა, ქვითკირის ორსართულიან ციხე-სახლში „ერთობის სახლში“ ცხოვრობდა, რომლის პირველი სართული საქონელს ჰქონდა დათმობილი. საცხოვრებელი ნაწილი იყო დიდი დარბაზი, დაახ. 15×20 მ. ფართობის, შუაგვეცხლით, უფანჯრო, სინათლე საკვამურიდან ჩამოდიოდა. სახლს მიდგმული ჰქონდა ორი პატარა ოთახი „სადედოფლო“, ახალდაქორწინებული წყვილებისათვის. იგივე მთხრობელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი ნაგებობები, კოშკები და ციხე-სახლები განსაკუთრებით ბევრი იყო ღებში, რომ იქ ყველა ოჯახს ჰქონდა ციხე.


ღები მართლაც გამოირჩეოდა თავისი კომპაქტურობით, კოშკებისა და დუროიანი სახლების სიმრავლით. ეს განსაკუთრებით ითქმის მის ყველაზე ძველ უბანზე „ციხიკარზე“. აქედან მოსახლეობა თანდათან გაიშალა, იწყო დაბლა ჩამონაცვლება, ჩნდება ახალი უბნები და შესაბამისად, დასახლების ფორმამ და მატერიალური კულტურის ძეგლებმა იწყეს სახის შეცვლა. პატარა ღებში გოგრიკიანების დიდ ჭალაბსაც ჰქონია დუროიანი სახლი, მაგრამ ძმებმა ერთობაშივე დაშალეს ის და მისი ქვით ტიპური ორსართულიანი სახლი აიშენეს. სასიგნალო კოშკები, რომლებიც ჭერ გარეშე მტერთა შემოსევებს, შემდეგ კი პარტიულ ფუნქციონერებს გადაურჩა, სალოცავ ხატებად იქცა. ასეთია, ღებში დღეს „დედაღვთისად“ და კიორში „კვირაცხოვლად“ წოდებული კოშკები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთს სიგნალს გადასცემდნენ. ეს უკანასკნელი 40-იანი წლების ბოლოს რაიკომის მდივნის განკარგულებით დაანგრიეს. ღებში ამჟამად ერთადერთი დუროიანი სახლია შემორჩენილი და ისიც სავალალო მდგომარეობაშია. თუ დროზე არ გამოჩნდა პატრონი, ღები მოსახლეობისაგან იცლება, დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის იშვიათი ნიმუშები ინგრევა, ხელიდან გვეცლება მისი აწმყოც და წარსულიც.




სოფ. ღუბი. ლოხანის დურობიანა  
სახლი, ხაერთო ხედი.




სოფ. კიორა, ნესტორ რეხვიაშვილის  
სახლი.




სოფ. კიორა, მახარაანთ  
 თემის (რეზერვუარების)  
 განსახლება, შოშიტაანთ სა-  
 ცხოვრებელი კომპლექსი.




სოფ. კიორა, მახარაანთ  
 თემის (რეზერვუარების)  
 შოშიტაანთ საცხოვრებელი  
 კომპლექსი.






სოფ. კიორა. მახარაანო ღუმლის  
 (რეზვიასვილების) შოშიტაანო სა-  
 ცხოვრებელი კომპლექსი.



სოფ. კიორა. მახარაანო ღუმლის  
 (რეზვიასვილების) შოშიტაანო სა-  
 ცხოვრებელი კომპლექსი



როგორც აღვნიშნეთ, მთარაპის საცხოვრებელ კომპლექსში შერწყმული იყო საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები. პირველი საბრუნველი საჭონის სადგომად იყო განკუთვნილი, მეორეზე ჯალაბი ცხოვრობდა. ეს იყო დიდი დარბაზი „შინა სახლი“ შუაეცხლით, კედლებზე გამწვანებულ ტანტებით, რომლებზეც ოჯახის უფროსი წევრები იძინებდნენ. სახლის ცენტრი იყო კერა. აქ მრგვალ მორებზე სქლად იყო მიწა დაყრილი, მიწაზე დაგებული იყო ბრტყელი ქვები, ე. წ. „შქმერული ქვები“, რომლებიც არ სკდებოდა, ის შქმერიდან ჩამოჰქონდათ. ამ ქვებზე ენთო ცეცხლი. კერა იყო უწმინდესი ადგილი, სადაც გამუდმებით ენთო ცეცხლი, მზადდებოდა კერძი, სადაც იჯრაზე ან რაიმე საკითხების განსასჯელად ოჯახის წევრები იყრიდნენ თავს და რომელთანაც გარკვეული რიტუალური წეს-ჩვეულებები სრულდებოდა.

კერის თავში იდგა ოჯახის უფროსის, ნახევარწრისებური, სამფეხიანი, მოჩუქურთმებული „საკარცული“, რომელზეც სხვა ვერაფერი დაჯდებოდა. ოჯახის უფროსი ისე ჯდებოდა, რომ პირით აღმოსავლეთისკენ ყოფილიყო. ოჯახის წევრები, კაცები უფროსის მარჯვენა მხარეს, დიდ მავიდასთან, გრძელ სკამზე იკავებდნენ ადგილს თანმიმდევრობით, უფროს-უმცროსობის წესის დაცვით. ეს იყო იგივე სახლის მარჯვენა მხარე. ქალები მარცხენა მხარეს გაიშლიდნენ სუფრას, ბავშვები ცალკე სხდებოდნენ. პატარძალი არ დაჯდებოდა, ის მხოლოდ სუფრას ემსახურებოდა. უფროსს წინ ვერაფერი გადაუვლიდა, ვერც ჯალი და ვერც ბავშვი, ქალები ვერც სტუმართან დასხდებოდნენ, ისინი სუფრას გააწყობდნენ და გავიდობდნენ. თუ კერაში ცეცხლი კარგად ენთო ეს კარგის მომასწავებელი იყო, ოჯახის საქმე კარგად წავიღოდა, თუ ცუდად ენთო — მასში ავი სულები იყო ჩაბუდებული. რადგან კერა წმინდა ადგილად ჰქონდათ მიჩნეული მის სიწმინდესაც მტკიცედ იცავდნენ. მასში ნაგვის ჩაყრა არ შეიძლებოდა და მზის ჩასვლის შემდეგ, ცეცხლს არავის გაატანდნენ, ძროხა, რომ ბბოს მოიგებდა პირველ გამოხაწველ რძეს კერაში ჩააწვეთებდნენ (ნაკვერცხალს დადებდნენ თიხის ნატეხზე და ზედ დააწვეთებდნენ), რომ წველა გაძლიერებულიყო, ოჯახს დოვლათი და ბარაქა ჰქონოდა, შემდეგ კი ამ რძეს კეცზე დაასხამდნენ, კარგად შეწავდნენ და ბავშვებს აქმევდნენ. იტყოდნენ „რძის დოვლათი ოჯახში იტრიალებსო“.

იცოდნენ ოჯახში ახლად შემოსული პატარძლის კერაზე შემოტარება. პატარძალი სამკერ შემოუვლიდა კერას წალმა ისე, რომ ხელით არაფერს შეეხებოდა, მას თან მიჰყვებოდა ქმარი და ძმობილი. უფროსები ამ დროს ილოცებოდნენ, ისურვებდნენ როგორც ამ კერას შეეფერებოდა ისეთი რძალი გამოსულიყო. და ბოლოს, მძიმე ავადმყოფის კერასთან დაწვენა. დაბლა დაფენდნენ ჩალას, გადააფარებდნენ ნაბადს და ზედ დააწვენდნენ, კაცს კერის მარჯვენა მხარეს, ქალს — მარცხენა მხარეს. კერას და ავადმყოფს სამკერ შემოატარებდნენ შესაწირავს, რასაც თან ახლდა ლოცვები. ცხადია, ჩვენ მიზნად არ ვისახავთ იმ რიტუალების მთელი სისრულით ასახვას, რაც კერის კულტანაა დაკავშირებული, მხოლოდ ზოგიერთი ელემენტები გამოვყავით.

სახლს გვერდით უკეთდებოდა პატარა „მოდგმულები“ ახალდაქორწინებული წყვილებისათვის. საქორწინო წყვილების მომატებასთან ერთად საცხოვრებელ კომპლექსსაც ემატებოდა მოდგმულები. როგორც აღვნიშნეთ, უწერაში „მოდგმულის“ მნიშვნელობით იხმარებოდა მეორე ტერმინიც „საღედოფ-“

ლო“. მართალია, საქონლის სადგომად სახლის პირველი სართული გამოიყენებოდა, მაგრამ ოჯახი ამით ვერ კმაყოფილდებოდა და დამატებით კიდევ აგებდა სამეურნეო ნაგებობებს „შრამელებს“. შრამელების რაოდენობა ოჯახის სიდიდესა და ეკონომიურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული.

ამგვარად, მთარაქაში დასახლების (კომპაქტურობა, სამოსახლოდ მაღალი, კლდოვანი, კლდისპირა ადგილების შერჩევა, განსახლების პატრონიმიული პრინციპები), თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსების აღნიშნული ფორმების ჩამოყალიბება განაპირობა გეოგრაფიულმა გარემომ (მაღალმთიანობა, დასამუშაველად ვარგისი ფართობების ნაკლებობა), რაჭის ამ კუთხის მდებარეობამ და ისტორიულმა პირობებმა (სასახლვრო ზოლის სიახლოვე, გარეშე მტერთა ხშირი თავდასხმები). ისტორიული პროცესების ცვალებადობასთან ერთად სახეს იცვლის დასახლების ფორმაც და საცხოვრებელი კომპლექსებიც. საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსები და კერასთან დაკავშირებული რიტუალური წეს-ჩვეულებები, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ცხადყოფს, რომ მეურნეობის ძირითადი, წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა, ოჯახის კეთილდღეობა „რძის დოვლათის დატრიალებაზე“ იყო დამოკიდებული.



გ. იჩიაური. ბერიკაობა.

ჯ. შლინბა რუხაძე

### ქართული ხალხური დღესასწაული

ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობს მრავალდღიანი ხალხური აგრარული დღესასწაული ბერიკაობა-ყვენობა. ეს დღესასწაული ხალხის მესხიერებამ გვიანობამდე შემოინახა, როგორც ტრადიციული ყოფის ერთ-ერთი კოლორიტული ელემენტი. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იგი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დარად ხალხის შემოქმედებით უნარს, ერის ზნეობრივ სიმდიდრეს ამჟღავნებს და ამ კრებულშია მოთავსებული.

ამ დღესასწაულის ძირითადი სურათის აღდგენა ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ხერხდება. ჩვენს განკარგულებაშია აგრეთვე არქეოლოგიური ძეგლები და ის წერილობითი წყაროები, რომლებიც არაპირდაპირ ცნობებს გვაწვდიან მსგავსი გართობა-სანახაობის შესახებ.

ბერიკაობა-ყვენობის საწყისები შორეული წარსულიდან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული-ხალხური დღესასწაულის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ათასსუთასწლოვანმა ქრისტიანულმა ეკლესიამ, მასში მაინც რელიგიური სინკრეტიზმის სახით შემორჩა



ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა, სადაც ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სძლევს და უძველეს მდიდარ რწმენასა და კულტებს შეატყვის. იგი წარმოადგენდა მოზღვავებული ახალგაზრდული ენერჯის და სიხარულის გამოვლენას მომავალი ზეაერეილი წლისა და განახლებული სოციალისტის საწინდრად, რაც კემშარიტად საერთო-სახალხო თავაწყვეტილი მნიშორულუბით ვლინდებოდა.

აქ წარმოდგენილ რიტუალებში ჩანდა მეშინდვრობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, მოსავლის დასაბევებელი ზერხები და მდიდარი სამიწათმოქმედო ტრადიციები. დღესასწაულის აუცილებელი ელემენტი იყო ცხოველებისა თუ ადამიანის გამომსახველი სხვადასხვა ეპოქისა და დროის შესაბამისი ნიღბები და ნაირფეროვანი ტანსაცმელი, მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე საწესჩვეულებო ცეკვები და ეროტიული სცენები. იქ უძველესი ხალხური თეატრის საწყისებიც იქებნება.

საქართველოში არ ყოფილა განვითარების ისეთი ეტაპი, ამ დღესასწაულში გამოძახილი და ასახვა რომ არ ეპოვა. მართალია დროთა განმავლობაში იცვლებოდა მისი შინაარსი, პერსონაჟები, მაგრამ ბუნება მაინც უცვლელა რჩებოდა. აქ ვლინდებოდა ჩვენი ხალხის მსოფლმხედველობა, მისი ჭირ-ვარამი და სიხარული, სოციალური ჩაგვრა და მისწრაფება უკეთესი მომავლისაკენ. ყოველი ახალი ისტორიული ვითარება ფორმას უცვლიდა დღესასწაულს, იგი ხან ქართველი მეფე-დედოფლის გამარჯვებას ასახავდა, ხან შაჰ-აბასისა და მურვან-ყრუს შემოსევას, დღესასწაულში ბევრჯერ იყვნენ წარმოდგენილი მეფის მთავრობის უნიჭო გენერლები, პოლკოვნიკები და სხვ.

ბერიკაობა-ყვენობაში ხალხი დასცინოდა ყოველივე უარსაყოფს, სიცილით ამარცხებდა ბოროტებას.

ბერიკაობა-ყვენობა დიდხანია დაცლილია ყოველგვარი ცრურწმენისაგან, იგი ლაღი და შეუზღუდველი დღესასწაულია, რომელიც სწორედ ამის გამო აკრძალული იყო.

ეს დღესასწაული საქართველოში ისეთივეა, როგორც ბერძნული დემეტრესა და დიონისეს მრავალღიანი მისტერიები, ბაბილონელთა თამუზი და იშთარი, ეგვიპტური ოზირისი და იზიდა, ფინიკელთა ადონისი და ასტარტა, ხეთების ტელეფინუსი და ფრიგიელების ატისი.

ანალოგიური ხასიათის დღესასწაულები, მასობრივი კარნავალების სახით, ევროპის ხალხთა ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა.

საქართველოში ეს დღესასწაული ადრე განაფხულზე ყველიერში იწყებოდა. იგი რამდენიმე დღე გრძელდებოდა და შავ ორშაბათს — კუმეტობას, „დიდ მარხვის“ პირველ დღეს მთავრდებოდა, როგორც ჩანს, რომელიც დროს, კუმეტობას ყვენობა დაერქვა, იგი თანდათან დამოუკიდებელ დღესასწაულად ჩამოყალიბდა, მაგრამ ძირითად რიტუალებმა მაინც ბერიკაობა გაიმეორა და მისი ბუნებრივი დასასრული ვახდა.

ბერიკაობა-ყვენობის მთავარი სიუჟეტი ასეთია. სოფლის ცენტრში შეკრებილი ხალხი აირჩევდა მთავარ ბერიკას — „თავბერიკას“ — „ნეთის ძველას“ — ახალდაქორწინებულ ახალგაზრდა მკვირცხლ ვაყს; „დედოფალს“, რომელსაც ასევე ვაყი განასაზიერებდა და ბერიკებს: „არაბს“, „ლუკს“, „თათარს“, „მღვდელს“, „დაიკვანს“, „ნათლიას“, „ჩაფრებს“, „მეჭვარეს“, „მებარ-



გულეებს“ და მოკალათეებს, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელებს და სხვა ბერიკებს, რომელთა უმრავლესობა შემოსილი იყო „ცხოველის“ „ხარის“, „კუროს“/„ბულას“, „ცხერის“, „თხის“ და „ტახის“ ნიღბით. მთავარი მათ შორის თხის ნიღბიანი ბერიკა იყო, რომელსაც სხვა მონაწილეთა მსგავსად სახე შავად ჰქონდა შეღებილი ან შავი ნაბდისაგან შეკერილი ქულ-ნიღბი ეკეთა. ბერიკას თავზე ედგა თხის რქები ან ტყავის სამკუთხა ფორმის წვერიანი ქუდი. იგი ზოგჯერ შავად შეღებილ ლოყებზე თეთრ უღვაშებს აიწყებავდა, თხის წვერს გაიკეთებდა და თავზე ნაბდის გრძელ ყურებს რქებივით დაიმაგრებდა. ზოგიერთი თავზე ჩალაბურდასაც შემოიხვევდა ხოლმე და შიგეკლიან მცენარეს ჩაიმაგრებდა ან თავზე დამაგრებულ რქებს შორის კრუხის საბუღარს კრუხიანად თავზე დაიდებდა, ზოგი კი თოჯინას — „კუკს“ რქებშია გაიკეთებდა.

„დედოფალი“ უწვევრულვაშო ფერუმარილწასმული მზიარული ახალგაზრდა „სოფელური“ კაბით, თმებით, ჰრელი თავსაფრით იყო შორთული და „პატარძალს“ განასახიერებდა. ამაღას სხვადასხვა ფერის დროშები, ხელკეტები და საკრავები ეკირა. ყავდათ დოღზე, ჩონგურზე და გულდა-სტვირზე დამკვრელი, სურსათისათვის გუდებისა და კალათების დამტარებლები.

ბერიკებს წესად ჰქონდათ სოფელში „კარდაკარ“ სიარული, ისინი ყველა ოჯახის სტუმრები იყვნენ, რაც მასპინძლისათვის დიდი ბედნიერება იყო. თუ ვინმეს არ ეწვეოდნენ, ძალიან სწყინდათ, ზოგჯერ ბერიკები ეზოში ძალით შეპყავდათ ხოლმე. ოჯახის უფროსი მათ სიზარულით ხედებოდა თავის ჰირ-ვარამს უამბობდა, შეეღას სთხოვდა და წესისამებრ ყველაფერზე თანხმობას იღებდა. ამ დროს უკრავდა სხვადასხვა საკრავი, რომლის ხმაზე ბერიკა ცეკვავდა, გარშემომყოფთათვის მურის წასმას ცდილობდა. ის ამავე დროს ხის ხმალს მიწას უსვამდა, რითაც მასპინძელს სურსათ-სანოვაგის გამოტანაზე მიანიშნებდა. ბერიკები მღეროდნენ და სიმღერაშიც საჩუქრებს მოითხოვდნენ. ოჯახი მომზადებული იყო, მათ გულუხვად უმასპინძლებოდა და დასაჩუქრებდა — არაყს, ღვინოს, პურს, ფჭვილს, კვარცხს, თაფლს და სხვა ნუგბარს მისცემდა. კმაყოფილი ბერიკები ოჯახს დალოცავდნენ — „ღმერთო მიეცი ამ ოჯახს ჰონება და დოვლათი, რომ თვითონაც უკლებლივ ჰქონდეთ და სხვისთვისაც გაიმეტონო“. უკმაყოფილების დროს მთავარი ბერიკა ეზოში გაგორდებოდა, რისიც ძალზე ეშინოდათ. მათი რწმენით ამ საქციელით ყანები განადგურდებოდა, ოჯახში ხბო და ქათამი არ გაიზრდებოდა, ამას შეიძლება უბედურებაც მოჰყოლოდა.

მასპინძლის გულუხვობის მიუხედავად ბერიკებს წესად ჰქონდათ ოჯახიდან რაიმე მოეტაცათ, რასაც ყველა სიზარულით ხედებოდა. მასპინძლის მოვა-

ლეობა იყო მთავარი ბერიკასათვის ან რომელიმე წვეროსანი მონაწილისათვის წვერ-ულვაშიდან ბეწვი ამოეგლიჯათ და საქონლის და წიწილებიზ გასაშროლებლად ბაგაში და საბუღარში ჩაედოთ. როგორც ჩანს, მათ მისვლას ისევე, როგორც მათი ბეწვის საჭიროებისამებრ გამოყენებას, ნაყოფიერების მიცემა და გამრავლება შეეძლო. ბერიკას გაგორება-წაქცევა სიკვდილის დარად იყო გააზრებული, ამიტომ ცდილობდნენ, რომ ის აეყენებინათ და ოჯახიდან კმაყოფილი გაეშვათ. ბერიკასთან ურთიერთობის რამდენიმე ვერსიაა შემონახული, ყოველ მათგანში ჩანს ბერიკას ნაყოფიერებასთან კავშირი.

ბერიკაობის დროს ერთ-ერთ მთავარ რიტუალს „დედოფლის“ მოტაცება და მისი ალერსი წარმოადგენდა. „დედოფლის“ მოტაცების და მისი ალერსის სურვილი ყველაზე მეტად მაინც თავ-ბერიკას ჰქონდა, რომელიც სხვებთან ერთად თავდაუქერლად იქცეოდა, მაგრამ შეიარაღებული მცველები „დედოფალს“ გარს ერტყმოდნენ და იცავდნენ. მიუხედავად ასეთი გავრემოცვისა „დედოფლის“ დამორჩილება მაინც ხდებოდა და „ქორწინება“ ეწყობოდა. ხალხი ამით უკმაყოფილო იყო თავ-ბერიკას — „ნეფეს“ კლავდნენ. „დედოფალი“ დასტიროდა ბერიკას, სახეს „იზოკავდა“, ყვიროდა და თავდამსხმელებს უძალიანდებოდა. შემდეგ მას დღესასწაულის მონაწილენი მოიტაცებდნენ. ბერიკები თავ-ბერიკას გაცოცხლებას ცდილობდნენ, ყურში ჩასმახებდნენ დედოფლის მოტაცების ამბავს, ჯოხს არტყამდნენ, ხელ-ფეხში ხელს წაავლებდნენ და აქეთ-იქით აქანავებდნენ. მღვდელი წესს აუგებდა გარდაცვლილ „ნეფეს“, მესტიერე ბერიკულს უკრავდა, ხალხი „დედოფალთან“ ერთად სტიერის ხმაზე ტიროდა. „დედოფალს“ ამშვიდებდნენ, მაგრამ მის მიმართ თავშეუკავებლად იქცეოდნენ — ეროტიულ სურვილებს იჩენდნენ. როდესაც „ნეფე“ გაერკვეოდა რომ „დედოფალი“ მოსტაცეს, წამოხტებოდა თავ-გამეტებით დაეძებდა მას და პოულობდა კიდევ. გაცოცხლებულ ბერიკას სიხარულით ხედებოდნენ, ბტოდნენ, უკრავდნენ, ცეკვავდნენ. იწყებოდა ზეიმი, ისმოდა სიმღერა, ველური ყიყინი, მაყურებელი კი სანახაობით ერთობოდა. ხშირად ამ დროს სხვადასხვა უბნის ან სოფლის ბერიკებს შორის ხელჩართული ბრძოლა და ჭიდაობა იმართებოდა. დამარცხებულ მხარეს კარდაკარ სიარულის დროს შეკრებილ სურსათს და დროშას ართმევდნენ; ამბობდნენ — „მოსავლის დოვლათი გამარჯვებულთა სოფლებში დატრიალდება“.

დიდ მარხვის ორშაბათს ისევ შეიკრიბებოდა სოფელი და დღესასწაულისათვის მოემზადებოდა. ენამოსწრებულ, მკვირცხლ, ღონიერ ახალგაზრდა კაცს, უფრო ხშირად ახალდაქორწინებულს ყვენად ირჩევდნენ. თუ სოფელში რამდენიმე „ნეფე“ იყო, მათ შორის ყველაზე წარმოსადგეს და „ბრგე“ ახალგაზრდას დააყენებდნენ, რათა იმ წელს „მაღალი და „ღონიერი“ მოსავალი მოსულიყო. აირჩევდნენ „დედოფალს“, ბერიკებს — „კუროს“ — „ბუღას“, „ტახს“, „თხას“, „ცხვარს“, „ვეზირებს“, „ნათლიას“, „მღვდელს“, „ჩაფრებს“, „მაყრებს“, ბარგის დამტარებლებს, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელებს და მეალმეებს.

ყენი ხშირად ბერიკას მსგავსად ცხვრის ტყაბუკით ან თხის ტყავით იყო მორთული; უკან გაკეთებული ჰქონდა საქონლის ან წნელის კუდი, ხოლო ტყაბუკზე შემოკრულ ჭამარზე კამეჩის ან ხარის „კანკის“ ძვალი, წითელ ნაქერ შემოხვეული შეღებილი სიმინდის ნაქუჩი ან ხის მოკლე ჯოხი ეკიდა. ზოგჯერ

ყენი „სამეფო“ ან ყარაჩოღელის ტანსაცმლის მსგავსი სამოსით იყო მორთული.

ქართლში ყენის გულმკერდს ამშვენებდა ყველიერში გამოქცევიანი ზუქის კვერი და საგანგებოდ დამზადებული მამლის თავი, რთმულსაც მისი კარტში თავისივე ბრჭყალი ჰქონდა გაყრილი. მას ხშირად ყურძნის გამხმარი ჭაგნებით, კაკლის „ხრიალებით“, „ხახვის გალათი“ და ფერადი ქალაღებით შეამკობდნენ.

ყენი ისევე, როგორც ბერიკა და დღესასწაულის სხვა მონაწილენი გამორულები იყვნენ ან სახეზე შავი ნაბდის ნილაბი ეკეთათ. ყენის ნილაბს ხშირად „კვანახერა“ წარმოადგენდა; მას თავზე ეხურა „შაქრის თავის“ მსგავსი ბუმბულებით და კრელი ზონარებით მორთული ქალაღის ან ცხვრის ტყავის მაღალი ქუდი, რომელსაც „გუდის ტყავის ქუდი“ ერქვა. ქვემო ქართლში ყენს თავზე მრგვალი ხშიადი პური — „ყენის ხშიადი“ ედო, რომლის ნაწილი დღესასწაულის დამთავრების შემდეგ ყველას უნდა ეჭამა.

დღესასწაულში ყურადღებას იქცევს ხარის ტყავწამოსხმული მონაწილე კურო/ბულა, რომელსაც თავზე ხარის რქები ჰქონდა დამაგრებული, ხოლო წელზე ქამრით იყო ჩამობმული ხის ან ძვლის ფალოსის მსგავსი გამოსახულება. დღესასწაულის მსვლელობის დროს თან დაჰქონდათ მაღალი მტრედისფერი დროშა, რომლის სიმაღლითაც მიმდინარე წლის მოსავლის რაოდენობას განსაზღვრავდნენ.

ბერიკაობა-ყენობის მონაწილენი აქაც ეზო-ეზო დადიოდნენ, ან ერთ ადგილზე შეიკრიბებოდნენ და სავალდებულო საჩუქრებს იქ ღებულობდნენ. ქორწინების ინსცენირებას აქაც მართავდნენ. ხალხის აზრით, ამ რიტუალს ისევე, როგორც შეგროვება-მოტაცებას, მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი წლის სეავისა და ბარაქის დაბევეებისათვის. ალბათ ამ რწმენის გამო იყო, რომ გუდებითა და ზურჩინ-კალათებით დატვირთული ბერიკები ყენთან მიდიოდნენ და უამბობდნენ, რომელი ოჯახიდან რა ჰქონდათ წამოღებული და იწყებოდა იმ ოჯახების დალოცვა. თუ ბერიკაობის დროს მათი ბეწვის გამოგლეჯა ოჯახის საყოლის გასამრავლებელ საშუალებას წარმოადგენდა, ყენობას სიმინდის ტაროდან ჩამოფშენილი მარცვალი იყო ბარაქის სიმბოლო. ამის გასამრჯელოდ ყენის დასაჩუქრება იცოდნენ. მაგრამ თუ ყენი ძღვენს არ მიიღებდა, გაგორდებოდა და იტყოდა: „მოსავალი არ მოგივიდეთ, სულ ავით იყავით“. ხალხი ეხვეწებოდა „ნუ გაგორდები, თორემ ქათამი არ მოგიკრუხნდება და ცუდათ ვიქნებით“. ყენის ოჯახში მისვლა და სურსათის მოტაცება აქაც აუცილებელი იყო. ეშინოდათ, თუ ყენი არ მოვა გვალვა შეგვაწუხებს და ცუდი მოსავალი მოგვივაო.

ინტერესს იწვევს ამ დღესასწაულის დასასრული, რომელიც გუთნით წყლის მოხვნას წარმოადგენს. გუთანში ორი კაცი ხარებივით შეეხმებოდა, ყენი და დედოფალი კი სახრებით ხელში გუთნის ღირღიტაზე ისხდნენ და „წყლის ხენის“ დროს ერთმანეთს ეალერსებოდნენ. ზოგჯერ გუთნით წყლის მოხვნის მაგივრად „დედოფალსა“ და ყენს ურმით, სახედრით, ცხენით ან ხელში აყვანილები მდინარესთან მიიყვანდნენ და წყალში შეიყვანდნენ, ცხენიდან ან ვირიდან ხელისკვრით წყალში ჩაყრიდნენ და დაილოცებოდნენ — „ღმერთო შენ გვაღირსე გაზაფხული, ნამი, წვიმა, კარგი მოსავალი“.

წყალში შესული ყენი ზოგჯერ თასით ღვინოს შესვამდა, წელზე გავეთებულ სიმინდის „კოტას“ ან რქას მოიხსნიდა, წყალს გაატანდა და იტყოდა: „წადი გამრავლდი ქვეყანაზე, კარგი მოსავალი მოიყვანეო“. ამის შემდეგ ყენი და „დედოფალი“ ქულებს მოიხსნიდნენ და თან დაილოცებოდნენ „გამრავლდეთ ძროხა, ცხვარი, კრუხი, წიწილა და ასე მრავალი მოგსვლოდეთ პური“. ყენის საღამოს მოახლოება შიშს გვრიდა, იცოდა რომ გაწუწუვა ან წყალში ჩაგდება არ ასცდებოდა. ამ რიტუალის შესრულება ისევე აუცილებელი იყო, როგორც წუწუაობა. წყალს ყველა გამველეს ასხამდნენ, გაუწუწუწავი თითქმის არაფერს გადაარჩებოდა. დასველებულ ყენს ხალხი შეძახილებით ხედებოდა — „წრეულ კარგი მოსავალი იქნება“.

რიტუალებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ერთ სოფელში სამი ყენის არჩევის წესი: ერთი კაცების და ორი ქალების. ქალი ყენები წყალში ერთმანეთს თავგამეტებით წუწუადნენ. სოფელთა რწმენით, ქალების მიერ განართული ყენობის დროს უფრო კარგი მოსავალი მოდის, პური და ღვინოც ბევრია და აედამყოფობაც არ არის მოსალოდნელი. ყენისა და მისი ამაღის მსვლელობას თან ახლდა მებღმეთა მთელი ჯგუფი.

დღესასწაულის დასასრულს „მეფესა“ და ყენს ან „დედოფალსა“ და ყენს შორის ჭიდაობა იმართებოდა. დედოფლის მიერ ყენის წაქცევა ცუდი წლის დადგომას მოასწავებდა, ხოლო თუ პირუტყუ მოხდებოდა, ხალხი კარგ მოსავლიან წელიწადს მოელოდა და გახარებულებს ყენი ხელში აყვანილი დაჰყავდათ.

ამის შემდეგ იმართებოდა ლხინი, პირველად ყენს დალოცავდნენ და მას ბედნიერი წლის მოყვანას უსურვებდნენ.

როგორც ამ მოკლე აღწერილობიდანაც ჩანს, ამ დღესასწაულით ელოდა ხალხი, რომ გლეხკაცის სალოცავი მიწა ბევრ პურს მისცემდა და ბედლები მოსავალს ვერ დაიტევდა. ამ დღესასწაულითვე ედილობდნენ გვალვის თავიდან აცდენას, და როდესაც ყენს წყალს ასხამდნენ, გაიძახოდნენ: „ნამ, ნამ, ნამ, მოსავალი“, „წვიმა და მოსავალი“.

როგორც ირკვევა ბერიკაობა-ყენობა ერთი ციკლიური დღესასწაულია და მისი ძირითადი მიზანი ბუნების აღორძინება და ნაყოფიერების გამოთხოვაა.

ამ დღესასწაულში შესულია ბუნების აღორძინების ღვთაებათა ციკლისათვის დამახასიათებელი ელემენტები: რიტუალები, ნიღბები, ტანსაცმელი, პერსონაჟთა ფუნქციები. ეს დღესასწაული აღმოცენებულია აღდგენადი და მოკვდავი ღვთაებების იდეის გავლენით.

ჩვენ, რასაკვირველია, მთელ რიგ საკითხებზე შეგვეძლო შევჩერებულყავით, მაგრამ ამით სურათი არ შეიცილებოდა. ნაყოფიერების დღესასწაული იმდენად მრავალმხრივია, რომ ამის სრული აღწერა და ყველა რიტუალის ახსნა არასპეციალურ კრებულში შეუძლებელია.

სადღეისოდ ბერიკაობის ბევრი საკითხია ამოუცნობი და მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა დაედგინათ, რომ ნაყოფიერებისა და აღორძინების დღესასწაულის მთავარ პერსონაჟს — ბერიკას — ფუნქციონალური კავშირი აქვს ქართულ ღვთაება ბოსელ/ბოსლასთან, რომელიც ადამიანისა და საქონლის განაყოფიერება-გამრავლების და საერთოდ, მიწისა და ნაყოფიერების მფარველ ღვთაებად ითვლება.

ასეთია თავდაპირველი ხასიათი ამ საგაზაფხულო დღესასწაულის.



**გამომცხვარი პურის შენახვის ხალხური წესები და შეხანაბი პურბლის სახეები საქართველოში**

მსოფლიოს მრავალ ხალხში, სადაც კი მიწათმოქმედება მაღალი განვითარებული კულტურაა, პური ძირითადი, მასაზრდოებელი საკვებია<sup>1</sup>. მას განსაკუთრებული მოწიწებითა და პატივისცემით ეპურობიან. ოდითგანვე ასე იყო საქართველოშიც. აქ თითქმის დღემდეა შემორჩენილი, როგორც ხორბლის უძველესი აბორიგენული ჯიშები, ასევე მისი მოხმარებისა და გამოყენების მდიდარი, ადგილობრივი ტრადიციები. ჩვენი წინაპრები პურს არა მარტო უპირველეს საკვებად თვლიდნენ, არამედ უწმინდეს საკულტო საგნად მიიჩნევდნენ. ჩვეულების თანახმად ისინი ხატსალოცებებში შესაწირავად ინახავდნენ ზორბლის, ღვინისა და ერბოს ზედაშეებს. აცხობდნენ ჯვარდასმულ ხშიადებს და ასრულებდნენ პურთან დაკავშირებულ სხვადასხვა რიტუალურ წეს-ჩვეულებებს, რომელთა შინაარსშიც იკვეთება უძველესი აგრარული კულტმსახურების ელემენტები. ბევრი ამ წეს-ჩვეულებათაგანი თანამედროვეობის კუთხითაც უაღრესად რაციონალური და ფასეულია.

აღნიშნულ ჩვეულებათა შორის ამჯერად ჩვენ მხოლოდ გამომცხვარი პურის შენახვის ზოგიერთ წესსა და შესანახი პურბლის სახეებზე შეეჩერდებით. როგორც ხალხურმა მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, ჩვენში ცხელი, ახალგამომცხვარი პურის ჭამა საერთოდ მიღებული არ ყოფილა. ჩვეულებისამებრ თონიდან ამოხდილ პურს მხოლოდ იმ შემთხვევაში გატეხავდნენ, თუ ვინმე სტუმართაგანი ამ პროცესს შეესწრებოდა ან ბავშვები თუ მოითხოვდნენ. საერთოდ კი დამკვიდრებული წესის თანახმად პირველ ამოხდილი პური („პირის პური“), რომელიც ქართლსა და კახეთში უცილობლად შოთი უნდა ყოფილიყო, შინ უნდა შეეტანათ და სახლთანგელოზის კუთხეში დაედოთ. დანარჩენ პურებს კი სიმბურვალე რომ განელებოდათ, ერთხანს იქვე, „ორომზე“ დაწყობილს გააჩერებდნენ, მერე კი მარანში ან საკუქნაოში (კარაბანში) შეიტანდნენ და იქ წინასწარ მომზადებულ, სახლის ძელებშუა ჩამოკიდებულ მანულისაგან მოწულ ლასტზე დააწყობდნენ. ზემოდან სუფთა ტილოს გადააფარებდნენ და ამგვარ მდგომარეობაში დატოვებდნენ.

ლასტი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ილექრო ან წკებლია, იგივე ჩელტია. ამ ფორმისა და სახელწოდების წნული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. მას ფართოდ გამოყენება ჰქონდა საოჯახო და სამეურნეო ყოფაში. იყენებდნენ ღობეების შესაკრავად, საცხოვრებლის სხვენად, ურემზე დასადებად, მარცვლეულის და ხილის გასაშრობად, აბრეშუმის ჭიის გამოსაყვანად (საფენად), რძის პროდუქტების, ნადულის — „კალტის“ გასაწურად და სხვ. მისი ასე ფართოდ გავრცელება მკვლევართა აზრით იმ გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი მარტივად იწვნება<sup>2</sup>.

რაც შეეხება გამომცხვარი პურის ლასტზე დაწყობისა და შენახვის წესს, აქ ერთის მხრივ მისი სიმარტივე და მეორეს მხრივ პრაქტიკული — რაციონალური მიზანდასახულებაა გასათვალისწინებელი. იმის გამო, რომ წნული პურბელი პერს ზომიერად ატარებდა და პროდუქტს გრილად ინახავდა, მისა

სხვადასხვა სახეები (გოდრები, კალათები, ჭინები და სხვ.) ფართო სამეურნეო დანიშნულების ყველაზე მოსახერხებელ და გავრცელებულ საშუალებებად იქცნენ. ასე იყო კონკრეტულ შემთხვევაშიც, ლასტზე დაწყობილი, ზემოდან ტილოგადაფარებული პური, მშრალ და გრილ ადგილზე კრეფა-ხანს-ობახებოდა, არ მჟავდებოდა და ობი არ ეკიდებოდა, ამასთან სიმალლეში ჩამოკიდებულ ჭურჭელს მღრღნელი ვერ წედებოდა და იგი დაბინძურებისაგან იყო დაცული. ასეთი წესით შენახული პური ზომიერი ხარჯვით ოჯახს თითქმის ერთი კვირა ყოფნიდა<sup>3</sup>. და თუ მაინც რამოდენიმე ცალი აუთვისებელი დარჩებოდა და პური გახმობას მოასწრებდა, მაშინ მას ორთქლში განაახლებდნენ ან მისგან კერძს — „პურის ხარჩოს“ მოამზადებდნენ.

ლასტზე დაწყობის გარდა პურის შენახვის ძველ რაციონალურ წესებს შორის უნდა დავასახელოთ ვარცლში შენახვის წესიც, რომელიც ჩვენი აზრით, ასევე საკმაოდ ძველი და ტრადიციული უნდა იყოს და შესაძლოა უფრო პრაქტიკულიც, რამეთუ ეს წესი გამოიციხავდა პურის შესანახად სხვა საგანგებო ჭურჭლის საჭიროებას. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვარცლი პურის ცომის მოსახელ სხვა ხის ჭურჭელთან შედარებით (ვაობი, ტმოშტი, კასრი, გეჭა და სხვ.) ბევრად უფრო დახვეწილი, კომბინირებული ფუნქციის მქონე ჭურჭელი იყო. მასში ხდებოდა როგორც ცომის „მოხაშება“ და მოზელა, ასევე აფუება (ამოსვლა) და პურის გუნდების ამოყვანა. ამას ემატებოდა გამომცხვარი პურის შენახვაც, რაც ძალზე მოსახერხებელი იყო დიასახლისისათვის<sup>4</sup>. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ვარცლის სხვა სასიკეთო თვისებებიც. კერძოდ: როგორც ხალხური დაკვირვება გვიჩვენებს დიდ ვარცლში საშუალოდ 30-40 ცალი პური ჩადიოდა, რაც ოჯახის ყოველდღიურ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებდა<sup>5</sup>. ამასთან, სქელი კედლებისა და ღრმა გულის გამო იგი პურს მშრალად, სუფთად და რბილად ინახავდა.


საკითხის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ პურის ვარცლში შენახვის წესი ყოფაში, დროთა განმავლობაში, თანდათან ქრებოდა და დავიწყებას ეძლეოდა, რასაც, ჩვენის აზრით, სხვადასხვა მიზეზებთან ერთად საამისო — საგანგებო ჭურჭლის შემოღებაც განაპირობებდა. ეს გარემოება თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე იყო დამოკიდებული. საქმე იმაშია, რომ ხის დამუშავების ტექნოლოგიისა და განვითარების მაღალ საფეხურზე როცა ავეჭისა და დგამ-ჭურჭლის წარმოება გაფართოვდა, მოხდა მათი ფუნქციური დიფერენცირება და ხელოსნებმა (ოსტატებმა) პურის შესანახი საგანგებო დანიშნულების ჭურჭლის „კიდობანის“ დამზადება დაიწყეს, რომლის შექმნაც ყველას როდი შეეძლო.

მცენიერებაში კიდობანის წარმოშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. წერილობით წყაროებსა და ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში იგი სხვადასხვა ფუნქციითაა დამოწმებული. ესაა ტანსაცმლის, სურსათ-სანოვავის, საბრძოლო იარაღების შესანახი და სხვა სახის კიდობნები, ლ. ბედუკაძის აზრით პურის კიდობანი, რომელიც არსებულ კიდობანთა შორის გამორჩეულია, (იგი ზომით პატარაა) და მათი განვითარების შემდგომ ფორმას უნდა წარმოადგენდეს<sup>6</sup>. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იგი ფეხზე მდგარი თავსახურიანი (სარქველიანი) ვარცლის ფორმიდან უნდა წარმოქმნილიყო, რამეთუ ასეთი ვარცლები ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილია. უფრო მეტიც, რაჭაში დასტურდება კედელში დატანებული ვარცლი, რომელსაც კარადის შეხედულება


თონიდან ორომზე დაწეობილი „ახალამოსული პურები“.



პურები ლასტზე.



ვარცლში ჩაწეობილი პურები.




პქონდა და სამი თაროსაგან შედგებოდა. კარადას ვარცლის სახელწოდება პქონდა მიღებულია.

ქართლ-კახეთში დღესაც გვხვდება ერთი და ორთვლიანი (განყოფილებიანი) კიღობნები. ისინი მხოლოდ პურის შესანახადაა გამოყენებული და გარეგნულად ლამაზად დამუშავებული, მხატვრული ორნამენტებით შემკული დგამ-პურქელია. ზოგჯერ მისი ზედაპირი ბორჯღალითა და სხვა ძველი ქართული ორნამენტებითაა შორთულია. ასეთი კიღობნებიც, რომლებიც ძველად როგორც წესი, დედაბოძთან ახლო ან სხვაგან, სახლთანგელოზის კუთხეში იდგა, წმინდა თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა, ის, ისე როგორც ვარცლი




კიღობანა.



კიღობანში ჩაწყობილი პურები.

ნ. თენგიშვილის ნახატები.



და ამბარი დიასახლისის კუთვნილება იყო და მისი მოვლა-პატრონობაც მას ევალებოდა<sup>9</sup>.

პურის კარგად შენახვის მიზნით კიღობანი სხვა ჭურჭელთან შედარებით გარკვეული უპირატესობით გამოირჩეოდა. ეს უპირატესობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ კიღობანი — მჭიდროდ შეკრული ყუთი, ჭუჭყისაგან დაცული მშრალი და სუფთა იყო. იგი ისეთი ზის მასალისაგან მზადდებოდა (თხილი, ცაცხვი, წიფელი), რომ სიმაგრესა და გამძლეობასთან ერთად შიგთავსში ზომიერ ტემპერატურას ინარჩუნებდა, პურს კი სინოტივისაგან ინახავდა<sup>10</sup>. ამას გარდა კარგად გათლილ, გლუვ ზედაპირიან ფიცარზე მღრღნელი კბილს ვერ იკიდებდა და კიღობანიც დაუზიანებელი რჩებოდა. ყველაზე მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ასეთი სახის ჭურჭელში შენახული პური თითქმის ერთი კვირა საგემოვნო თვისებებს უცვლელად ინახავდა. მასში პურმკევა ფერმენტები გაღვივებას ვერ ასწრებდნენ და პური არა თუ მკვადებოდა, არამედ არომატსა და სურნელებს ინარჩუნებდა. ყოველივე ეს

თანამედროვე ტექნოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად რაციონალური და მისაღები.

დღეს, როგორც სპეციალისტები (ტექნოლოგები) გვიჩვენებენ, პურის შენახვის სხვადასხვა ტრადიციულ თუ არატრადიციულ თანამედროვე სუბსტრატულ თა შორის (ემალის ქვაბი, ცელოფანის პარკი თუ სხვა) უპირატესობას უნდა უპრევილს ენიჭება. ამიტომაც მთელ რიგ რესპუბლიკებში (რუსეთი, უკრაინა, ბალტიისპირეთი), სერიულად აწარმოებენ მცირე ზომის ხის საპურეებს, რომლებიც პრაქტიკულ დანიშნულებასთან ერთად (იგი ზომით ძალზე მოსახერხებელია), ესთეტიკურადაც მისაღები, თვალში მოსახვედრი და ლამაზია. იგი კარგად ერწყმის სამზარეულოს ინტერიერს და დიზაინური თვალთახედვით გამართლებულია.

ვფიქრობთ, მინიატურული საპურეების წარმოება, რომლებიც ჩვენის ვარაუდით კიდობნების იმიტირებულ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდნენ, ჩვენიშაიაც უნდა დამკვიდრდეს, უფრო სწორად აღორძინდეს. რამეთუ საამისო ტრადიცია ძველად არსებობდა. ყოფაში მოწმდება პატარა ზომის კიდობნურების, პურის, სატანისა და ერბოს შესახებ „კროკის ყუთების“ გამოყენება. აქედან გამომდინარე სათანადო სამსახურებმა უთუოდ უნდა უზრუნველყონ ქართული ორნამენტებით შემკული, ლამაზად გაფორმებული, ხის პატარა საპურეების სერიული გამოშვება, რაც კონკრეტულ-პრაქტიკულ დანიშნულებასთან ერთად, ძველი ქართული კულტურული ტრადიციების აღორძინების საქმესაც მოემსახურება.

1. ტერმინ პურის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „ტერმინ პურის ეთნოგრაფიული მნიშვნელობისათვის“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 131, № 3, 1968.

2. მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის პურქელი, თბ., 1968.

3. საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლ-კახეთში, მიღებული ჩვეულების თანახმად, თითქმის ყველა ოჯახში პური (რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის გარდა) კერაში ერთხელ ცხებობდა, რაც დისახლისის დროსა და შრომის რაციონალური განაწილებით იყო ნაკარსებო.

4. გამოთქმული სამართლიანი მოსაზრების თანახმად ვარკლის განჯა საფუერაინი პურის ცხობის წესის შემოღებისათვისა დაკავშირებული, რაზეც აშკარად მიუთითებს მისი კონსტრუქცია. იხ. მ. ხაზარაძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 20.

5. აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც მთაში ისევე ბარში, გვხვდება სხვადასხვა ზომის დიდი და პატარა ვარკლები. ამათგან გამორჩეულია ქართლ-კახური, ერთ ზეში ამოჭრილი დიდი ვარკლი, რომელშიც საშუალოდ 20-40 ცვ. ფქვილი იხლებოდა და მისი არსებობა სრულიად შეესატყვისებოდა ბარის მალაკანეთარებული მემინდვრობის სისტემის მსჭაბებს.

6. ლ. ბედუაძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს შიიანეთში, თბ., 1973, გვ. 77.

7. თ. ონიანური, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი ონის რაიონში, მ. ს. ვ. IX, თბ., 1957, გვ. 20. შეადარე მ. ხაზარაძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 21.

8. იხ. ქართლისა 1985, 1986, 1987 და კახეთის 1987, 1988 და 1969 წლების ენკაპედიათაის საილუსტრაციო მისაღები, დაცული ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში.

9. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მიწმდება ე. წ. წმინდა, საკელტო მნიშვნელობის კიდობნებიც. იხ. ვ. ბრდუელიძე, სენაურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1, ახალი წლის ციკლი, თბ., 1939, გვ. 97; მისივე, ქართული (სენაური) საწესო ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 148; ფ. გარდაფხაძე, ე. ჭიჭიძე, მისაღები ლენინური სკოლის შესახებ, მ. ს. ვ. VII, თბ., 1955, გვ. 70.

10. ვ. გასტაშვილი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ხით ზე-როობა აღმოსავლეთ საქართველოში, სკანდ. დისერტაცია, თბ., 1963.




სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ძველ სამყაროში სავენახზე—საბალოსნო და სამკალმა იარაღებმა თავისი განვითარების ზღვარს რომაულ ეპოქაში მიაღწიეს. ამ ხანის იარაღები განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ისინი ფორმით ნამგალსა და ცელს უახლოვდებიან, თუმცა ზომით უფრო პატარები არიან და მათ „მუშაობის საკუთარი კონემატიკა გააჩნიათ“<sup>1</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ვაზის სასხლავი იარაღი უძველეს ხანას განეკუთვნება. არქეოლოგიური სასხლავებიდან ყველაზე უფრო ადრეულად მიჩნეულია ბაქურციხეში (კახეთი) აღმოჩენილი სავაზე ნამგლები, რომლებიც ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნით თარიღდება. I ათასწლეულის შუა ხანების განათხარ მასალაში გვხვდება რკინის სასხლავი, რომელთა განვითარებულმა ფორმებმა სავაზე-სასხლავის სახით XX საუკუნემდე შემოინახა თავი<sup>2</sup>.

ივ. ჭავჭავაძემ სავანგებოდ შეისწავლა სასხლავი იარაღის აღმნიშვნელი ქართულ-მეგრული ტერმინები: სასხლავი, წალდი, ბურჭული და სავაზე. სასხლავი, მკვლევარის დასკვნით, რტოთა მოსაპრელად განკუთვნილი იარაღის აღმნიშვნელი ზოგადი შინაარსის მქონე ძველი ქართული ტერმინია, რომელიც რომაელების სასხლავ ნამგალს (*falx putatoria*) უდრის, სასხლავი იხსენიება ქართული დაბადების უძველეს ხანმეტ ძეგლებში; წალდი და ბურჭული პარალელური ქართულ-მეგრული ტერმინებია; ტერმინი სავაზე, რომელიც მხოლოდ კახეთშია დამოწმებული, სპეციალური დანიშნულების, მხოლოდ დაბლარი ვაზის სასხლავად გამოყენებულ იარაღს აღნიშნავს<sup>3</sup>.

გასული საუკუნის ლიტერატურის მონაცემებისა და XX საუკუნეში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩანს, რომ დაბლარი ვენახის სასხლავად როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ნამგლისებური სასხლავი იარაღი გამოიყენებოდა. თუ დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ შეიძლება აქა-იქ შემორჩენილი ამგვარი სასხლავის მიკვლევა, აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, კერძოდ კახეთში, ეს აღარ ხერხდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეთნოგრაფიულ ნაშრომებში, რომლებიც უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე გამოქვეყნდა, კახური ნამგლისებური სავაზის გამოსახულება არ მოიპოვება, მხედველობაში გვაქვს როგორც ი. ნანობაშვილის მონოგრაფია, მიძღვნილი ქიზიყის მევენახეობა-მელვინეობისადმი, ისე ნ. რეხვიაშვილის ნაშრომი „მკვდლობა რაჭაში“, სადაც არა მარტო რაჭაში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებში დამოწმებული სასხლავი იარაღის არაერთი ფოტოა მოთავსებული. (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ კოლექტიური მონოგრაფია, „სოფელი აკურა“, რომელზედაც ქვემოთ შევჩერდებით). ი. ნანობაშვილი ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ აღნიშნავდა: „სავაზის ის სახე, რომელიც ნამგლის ფორმას ატარებდა და რომელიც უწინ ქიზიყის ყოფაში ვაზის სასხლავად იხმარებოდა, ეხლა ძნელი საპოვნელიაო“<sup>4</sup>.



ვაზის სახლავი იარაღი (ხოფ. ზუზანი).

კახეთში ამჟამად ხშირად შეხვდებით იარაღს, რომელსაც, მართალია, სავაზეს უწოდებენ, მაგრამ თავისი საკრელი პირის მოყვანილობით ის ძლიერ განსხვავდება ნამგლისებური სავაზისაგან. ხსენებული სავაზე, ანუ სავაზე დანა, მთხრობელთა სიტყვით, ცალპირი იარაღია, აქვს პირი და ცალი ყუა — მისი პირი ნოღაა, უნიღრო და უცხვირო, „ყუენწი შამფურივით აქვს ჩაბნეული ხის ტარში“ და სალტეთი ვამაგრებული. ზოგიერთი მთხრობლის მტკიცებით, უნიკარტო სავაზეს ძველად ვაზის სახლავად ხმარობდნენ, მაგრამ მთხრობელთა უმრავლესობა თვლის, რომ ამგვარი იარაღი ვაზის სახლავად არ გამოდგება და შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ვაზის ძირში გადასაჭრელად. ამჟამად მას უმთავრესად ხმარობენ წნელის და ფიჩხის საკრელად, კივოს საჩეკად, თუთის ფოთლების მოსაკაფავად. ეთნოგრაფი ა. ლეკიაშვილი, რომელმაც მსგავსი იარაღი თელავის რაიონში დაამოწმა, აღნიშნავს: „ჩვენ მრავლად დავამოწმეთ მოკლეტარიანი წალღისებური იარაღი, რომელსაც სავაზეს უწოდებენ და ამჟამად წნელის საკრელად იხმარება. ზოგი ფიქრობს, რომ ასეთი სავაზით წინათ ვაზი უსხლიათ, მაგრამ, თუ მოხუცთა შეხიერებას დავენდობით, ძველი სავაზე ახლანდელისაგან განსხვავებული ყოფილა. მთხრობელთა გადმოცემით, „ძველად სავაზე მოკაუტებული იყო, როგორც ნამგალი... ძველი სავაზეები ცოტა მოხრილები იყო. ახალი სავაზე ერთნაირია, ვაზის გასხვლაში ეგ სავაზე არ გამოდგება“<sup>6</sup>. ურთიერთსაპირისპირო ცნობები ზემოხსენებული უნიღრო სავაზის შესახებ ჩვენც არაერთგზის გვაქვს ჩაწერილი კახეთის სოფლებში. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს: „სავაზეს ვაზისთვის არ ვხმარობდით, ეხლა დაარქვეს სავაზე, ხელწაღია, ვაზისთვის არ

გამოდგება, უნიღროა, ძირში: თუ მოკრი“ (ს. ახმეტა) „ნიღრი არა აქვს — წალდულაა. ხმარობდნენ ხმელი ვაზის მოსაპრეღად, სარსაც ჩეკავდნენ ამით. სასხლაეად არ უხმარიათ“ (სოფ. საქობო), „უნიღრო სავაზე, ყრ, გაღმუგვეცემს კარდენახელი მთხრობელი 78 წ. სულიკო დავითის ძე ჩხიკვაშვილიმ<sup>1</sup> 1911 წ. სარჩიელით იყო ტარზე დამავრებული, მოზრდილი პირი ჰქონდა. კარდენახში მინახავს, წელში გარკმული ჰქონდათ, ვენახს რომ ბარავდა კაცი, ვაზს ამით ამულშავებდა“. „სწორპირიანი სავაზეც ჰქონდათ და მოზრილობირიანიც. მოზრილი უფრო იშვიათი იყო, კარგი იყო სასხლაეად, ამოუსვამდი და კრიდა. ვაზს ორივეთი სხლაევდნენ“ (სოფ. ფშაველი).

ზემოთ მოტანილი მონაცემების განხილვისას შეიძლება ზედმეტი არ იყოს აგრეთვე რომაულ ხანაში მევენახეობა-მებაღეობაში გამოყენებული სასხლაეი იარაღის ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინება. როგორც რომაელი აგრონომების თხზულებებიდან ჩანს, თუმცა ძველი იტალიის სასხლაეი იარაღის დიდი ნაწილი მოზრილი, ნიკარტისებური პირით ხასიათდება, სხვლაში გამოყენებული იყო აგრეთვე სწორი პირის მქონე იარაღიც, რომელსაც ხმარობდნენ გამმხარი ტოტების, ზედმეტი რქების მოსაცილებლად. (ლათინურად ამ იარაღს ეწოდებოდა *Cultellus*). სპეციალისტები თვლიან, რომ ეს იარაღი სასხლაეი მაკრატლის მოვალეობას ასრულებდა, რომელიც მაშინ მებაღეობაში ჭერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული<sup>2</sup>.

კახეთის სავაზეების შესწავლით თავის დროზე სოფ. აკურის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მონაწილენი დაინტერესდნენ. 1964 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში „სოფელი აკურა“ ამ ექსპედიციის წევრი ა. ლეკიაშვილი აღნიშნავდა: „აკურელთა ძველი სასხლაეი იარაღი, რომ მართლაც მოღუნული ნამგლისებური უნდა ყოფილიყო, ამას ისიც მოწმობს, რომ თელავის რაიონის ზოგ სოფელში სწორედ ასეთი სავაზეები იყო უკანასკნელ ხანებამდე ხმარებაში. 1956 წ. ჩვენ დავადასტურეთ ასეთი სავაზეები სანიორესა და წინანდალში“. აქ მკვლევარი უთითებს პატარა, კობტა ნამგლისებური ფორმის სასხლაეის სურათს<sup>3</sup>. ზუსტად ასეთივე სასხლაეი ჩვენ არც თუ დიდი ხნის წინათ დავამოწმეთ ქართლში (ს. მუხრანში), მაგრამ თუ არ ვცდებით, ორივე შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს არა ჩვენებურ ტრადიციულ სასხლაეთან, არამედ ფაბრიკული წესით დამზადებულ იარაღთან, როგორც სოფ. მუხრანში გაღმოგვეცეს, ამგვარ სასხლაეებს საუფლისწულო მამულების ადმინისტრაცია რევოლუციამდე საზღვარგარეთიდან (გერმანიიდან) იწერდა და თავის მუშებს ურიგებდა. ხსენებული სასხლაეები მართლაც ძალიან გავს ფაბრიკულს და საგრძნობლად განსხვავდება საქართველოში დამოწმებული ტრადიციული სასხლაეებისაგან. ისინი ჩვენებურ სასხლაეებზე უფრო პატარები არიან, აქვთ ძლიერ მოკაული პირი და სახარატო ჩარხზე დამზადებული ტარი. საგულისხმოა, რომ გერმანელი მკვლევრის რ. ვაინჰოლდის ნაშრომში „Vivat Backchus“ აღბეჭდილი სასხლაეი დიდ სიახლოვეს ამქლავნებს კახეთში და ქართლში დამოწმებულ ზემოხსენებულ სასხლაეებთან<sup>4</sup>.

ტრადიციულ სასხლაეს ადგილობრივი მკვდლები აკეთებდნენ. ჩვეულებრივ, მეურნე მკვდელისაგან ყიდულობდა სასხლაეის პირს, ტარს კი თვითონ დაამზადებდა და თვითონვე შეავებდა ხოლმე; სავაზის ტარს ჩახერხავდა, სამანკვებს დანიშნავდა, გახურებული შანთით გახერხებდა, შემდეგ პირს ტარში

ჩასვამდა და შემანკვემდა (მანკვებს გაუყრიდა და ჩაქუჩით „დაკვერავდა“), სასხლავის ქამარზე ჩამოსაკიდებლად ზოგჯერ ტარის ბოლოში ტყავის რგოლს ამკვებდნენ. მეურნე პერიოდულად ლესავდა სასხლავს კლიბით ან სალესი ქვით. აქა-იქ დღემდე შემორჩენილ სასხლავებს პირი ხშირად მთოცვენი თილ-მოლეული აქვთ.

ვაზის სასხლავად იხმარებოდა აგრეთვე ფაბრიკული წესით დამზადებული „ერთ ფასონზე გამოყვანილი დანა“, რომელიც ხალხში ცნობილია „სასხლავის დანის“, „ბალის დანის“ სახელწოდებით. ქართლში მას ზოგჯერ წალდუნა დანას, წალდუნეკასაც უწოდებენ, მაგრამ ანსხვავებენ მჭედლის მიერ დამზადებული ნამდვილი წალდუნასაგან. ეს არის ჭაყვისმაგვარი დასაკეცი დანა, რომელსაც აქვს ოდნავ მოხრილი, „გადაღმერთებული“ პირი და ტარი. გამოიყენება როგორც ვაზის სასხლავად, ისე ვაზის და ხეხილის მყნობის დროს. ამგვარი დანა, როგორც გადმოგვცეს, განსაკუთრებით მომარჯვებელია წვრილი ვაზის სასხლავად. გარდა ამისა, წალდუნა დანა გამოიყენებოდა ვაზის ძირკვის ამოსაქრელად (მიღებული იყო — მარიამობის თვეში ვაზისათვის ძირი უნდა გამოეთხარათ და ძირკვები შემოეჭრათ).

XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მევენახეობის რაიონებში თანდათან ვრცელდება ვაზის სასხლავი მაკრატელი, ე. წ. სეკატორი. თავდაპირველად ამ იარაღს მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ, შემდეგ კი ბევრგან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, შეუეწიროვნება და ხმარებიდან გამოუყვანია ძველებური სასხლავი.

1. Семенов С. А. Происхождение земледелия. М., 1964, стр. 263, 268.
2. ა. ბოზინაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ. 1963 წ. 52-56.
3. ივ. ჭავჭავაძე. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 11, ტფ., 1935 წ.
4. ი. ნანობაშვილი. ვაზის კულტურა ქიზიურში, თბ., 1960 წ.
5. ნიღრი: წალდის ცხვირი (იხ. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიურის ლექსიკონი, თბ., 1943 წ.); ცულის წვრი (იხ. პ. ხუბუტია. ქართლში ჩატარებული სალექსიკონო მუშაობის ანგარიში, ენიმკის მოამბე, II ვ. თბ., 1937 წ.); მახვილის ურის გნდე (დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984 წ.).
6. ჯ. რუხაძე, ა. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია. სოფელი აქურა, თბ., 1964 წ., 149.
7. Семенов С. А. დასახ. ნაშრ., 270.
8. ჯ. რუხაძე, ა. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია. დასახ. ნაშრ., 150, 151.
9. R. Weinhold, Vival Backhus, Leipzig, 1975.



ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალი საინტერესო თქმულებაა შემონახული. მათ შორის ყურადღებას იქცევს თქმულება, რომელიც ეხება ურბნისის ეკლესიის დაარსებას\*. მისი შინაარსი ასეთია: როდესაც ხალხი ჯერ კიდევ ველურად ცხოვრობდა და სისხლის აღრევის გამო ნათესაურ კავშირს არ იცავდნენ, ურბნისში მოსულა ვინმე სტეფანე, შეუტრიახა ხალხი და უთქვამს: თქვენ ამისთანა ცხოვრება არ გამოგადგებათ, აირჩიეთ ქალები, ასე 16-17 წლის ასაკისა, შეირთეთ ცოლად და ისე იცხოვრეთ. სხვას ხელს ნუ ახლებთ, ამით უფრო მეტი სიყვარული გექნებათ და თქვენს საკუთარ ოჯახსაც შექმნითო. ხალხს არ მოსწონებია ეს სიტყვები და სტეფანე ქვით ჩაუჭოლავთ (გადმოცემით, ჩაქოლვის ადგილი სოფ. ურბნისის ცენტრში მდებარეობს). ამ ამბის შემდეგ, როდესაც საკმაო დრომ განვლო, სტეფანეს მხლებელმა პირებმა შეახსენეს ხალხს მისი ნათქვამი, აერჩიათ ქალები და შეუღლებოდნენ. ხალხმა მართლაც სცადა და, როდესაც დარწმუნდნენ ასეთი ცხოვრების სიკეთეში, სტეფანე წმინდანად აღიარეს, მისი სახელობის ეკლესიაც ააგეს და ამ ეკლესიაში წმ. სტეფანეს ხატიც შეიტანეს. სტეფანეს ჩაქოლვის ადგილას ვინც გაივლიდა, ცხენზე რომ მჯდარიყო, უნდა ჩამოსულიყო და ქვა დაედო. შემდეგში ხალხს წმ. სტეფანე იმდენად განუღიღებია, რომ მისი სახელობის დღეობა — „წმიდა სტეფანობაც“ კი დაუწყებია.

დღეობა „წმიდა სტეფანობა“ — ძველი სტილით 6 აგვისტოს მოდიოდა, მაგრამ რადგან ხალხი ამ დროს სოფლის სამუშაოებით იყო დაკავებული, იგი 27 დეკემბრისათვის გადაუტანიათ. ამ ეკლესიის შესაწირად ზოგს ცხვარი მოჰყავდა, ზოგს კურატი ან საერთოდ სხვა რომელიმე მამალი საქონელი (რადგან დედალს გასამრავლებლად იტოვებდნენ); ზოგს ფული მოჰქონდა, ზოგს თეთრეული, ზოგი ძაფს შემოავლებდა ეკლესიას გარშემო, ერთი სიტყვით, ისე იქცეოდნენ, როგორც შეთქმული ჰქონდათ. შემდეგში დღეობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ სალოცავად აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც კი მოდიოდნენ.

იმ წერილობით ძეგლებს შორის, რომლებიც ეხება წმ. სტეფანე პირველმოწამის წამებას და შემდეგ მის პოვნის საკითხებს, აღნიშვნის ღირსია სინური მრავალთავი, რომელიც 864 წლით თარიღდება. (1, გვ. 58-63).

მრავალთავის საფუძვლიანი აღწერა მოგვცა ე. გარითმა\*\*. ამ საკითხებს საყურადღებო ნაშრომები უძღვნეს აკად. ნ. მარმა („პოვნაჲ წმ. სტეფანესი“ ფრანგული თარგმანითურთ) პროფ. ი. იმნაიშვილმა („წამება წმ. სტეფანესი“) (2, გვ. 657-670).

\* თქმულება ჩაიწერეთ სოფ. ურბნისში, იქვე დაბადებული 71 წლის რაფენ ლევანის ძე კაკალაშვილისაგან, 1969 წლის 12 აგვისტოს.


\*\* ე. გარითმა პირადად მიიღო მონაწილეობა სამეცნიერო ექსპედიციაში და მიკროფიჩზე გადაიღო სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ხელნაწერები. ამ ექსპედიციის შედეგი იყო მისი ნაშრომი Catalogue des monasevits Georgiens litteraires du mont Sinai (CSCO, vol 165) louvain, 1956.



წმ. სტეფანე პირველმოწამის ხატი.

ხატის მოჭიბასა და ფოტოგრაფირებაში დახმარებისათვის შადლობას მოვასხუნებ ხელუ-  
ნებათმცოდნეობის კანდიდატს ვ. აბრამიშვილს.





ურზნისის ბაზილიკა. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. VI ს.

აი რას წერს ცნობილი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ურზნისის ეკლესიის შესახებ: „მტკვრის კედესა ზედა, არს ურზნისი. აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსამდე, ხოლო აწ არს ეკლესია დიდი, უგუმბათო, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი დიდის ლიახვისა, და რომელი ირწყვის ლიახვითა მით, შემუხვრილი აღაშენა და განაახლა ედ მეფემან ვახტანგ (ვახტანგ VI — ა. 5.) და შეამკო ხატი მის წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა, მოზღუდა ქვიტკირითა“ (3, გვ. 78).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, წმ. სტეფანე პირველმოწამე ბერძნული ეკლესიის მიმდევარი შთაფარდიაკონი იყო. იმის გამო, რომ იგი გახდა ქრისტიანი და ქადაგებდა ქრისტეს რჯულს, ისრაელებმა მას ღვთის გმობა (ე. ი. მოსეს გმობა — ა. 5) დასწამეს და ქვით ჩაქოლეს იერუსალიმის გარეთ, რადგან იგი პირველი ეწამა ქრისტეს რჯულისათვის, მას შემდეგში წმინდა სტეფანე პირველმოწამე უწოდეს. 415 წელს, არქიეპისკოპოს იოანეს თაოსნობით წმ. სტეფანე პირველმოწამის ნეშტი გადატანილ იქნა იერუსალიმის ეკლესიაში (4, გვ. 34), შემდეგში აქ ჩამოსულმა კონსტანტინოპოლის სენატორმა ალექსანდრემ წმ. სტეფანეს სახელზე იერუსალიმში ააგო ქვის ეკლესია და სტეფანეს ნეშტი ამ ეკლესიაში გადაასვენა. სენატორის გარდაცვალების შემდეგ, ანდრძის თანახმად, მისმა მეუღლემ იულიანემ ალექსანდრე წმ. სტე-

ფანეს გვერდით დაასაფლავა. ბოლოს მდგომარეობა ისე წარიმართა, რომ იქლი-  
ახე იძულებული იყო იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში გადასულიყო სე-  
ცხოვრებლად და ქმრის ნეშტთან ერთად წმ. სტეფანეს ნეშტიც იქ გადაასვენებ-  
სადაც შემდეგში ააგეს წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელობის ეკლესია.

865 წლის სინურ მრავალთაგანში ლუკიანე წერს: „და იყო სახე გამოც-  
ხადებისაი მის ესრეთ: მეძინა, ვითარცა წინაით ჩუეულებასა ჩემსა, განშო-  
რებულსა მას სახლსა სანათლოსისასა, სადა — იგი დგა კიდობანი, რომელსა—  
იგი შთადვიან სამსახურებელი ეკლესიისაი, დღე რომელი განთენებოდა  
პარასკევად, აპნისა თთუესა სამსა. ეამსა [V] მას მეათხუთმეტსა ინდიკტიონ-  
ისასა, შეათესა მას უპატიონსა და მეექვსესა მას წელსა თევდოსისსა, უფალ-  
თა მათ ჩუენთა თვითმპყრობელთასა, შარავანდედთასა.“

მესამე ეამსა მის ღამისასა „ . .“ (1. გვ 63), ეპისკოპოსმა იოანემა  
და ორმა მისთანა ეპისკოპოსებმა „...წარიღეს წმიდაი სტეფანე წმიდად ქალა-  
ქად იერუსალემად და დადვეს წმიდასა სიონს და შეკრბეს და აღაშენეს ერთ-  
ბაშად საყოფელი ღირსთათეს ძუალთა სტეფანესთა“ (1. გვ. 69).

სინური მრავალთაგანის ზემომოტანილ ტექსტის ანალიზიდან ირკვევა, რომ  
წმ. სტეფანე პირველმოწამის ნეშტის პოვნა მოხდა თევდოსის იმპერატორო-  
ბის დროს. უფრო ზუსტად კი „მეექვსესა მას წელსა თეოდოსისსა...“  
ე. ი. თეოდოსის იმპერატორობის მეექვსე წელს, მაგრამ ტექსტში არ არის  
აღნიშნული თუ რომელი თეოდოსია იგი (5. გვ. 355-356). თუ მივიღებთ, რომ  
ეს მოხდა თეოდოსი I-ის (379-395 წწ.) იმპერატორობის დროს, გამოდის,  
რომ პოვნა წმ. სტეფანესი მომხდარა IV საუკუნის დასასრულს, ე. ი. დაახლო-  
ებით 385 წელს, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ თეოდოსი II-ის იმ-  
პერატორობის ხანას (408-450 წწ.), გამოდის, რომ ეს უნდა მომხდარიყო V  
საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 414 წელს. ასევე, თუ მივიღებთ მხედ-  
ველობაში იმასაც, რომ არქიეპისკოპოსს იოანეს თაოსნობით წმ. სტეფანე  
პირველმოწამის ნეშტი უკვე 415 წელს გადატანილი ყოფილა იერუსალიმის  
ეკლესიაში, წმ. სტეფანეს პოვნის თარიღად უფრო სარწმუნოდ უნდა მივიჩ-  
ნიოთ თეოდოსი II-ის იმპერატორობის ხანა. ამასვე ადასტურებს 1971 წელს  
მოსკოვში გამოცემული მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდარიც, რის  
მიხედვითაც წმ. სტეფანე პირველმოწამის ნეშტის იერუსალიმიდან კონსტან-  
ტინოპოლში გადატანა მომხდარა 408 წელს. (6. გვ. 28).

მართალია აქ, არქიეპისკოპოსს იოანეს მიერ წმ. სტეფანეს ნეშტის აღ-  
მოჩენისა და იულიანეს მიერ მისი კონსტანტინოპოლში გადასვენების ამბის  
გადმოცემის დროს თარიღების აღრევას აქვს ადგილი, მაგრამ ერთი მაინც ნა-  
თელია, რომ ეს V საუკუნეში უნდა მომხდარიყო. მაგრამ თუ წმინდა სტეფანე  
პირველმოწამის ნეშტის პოვნის თარიღად საგარაუდოდ თეოდოსი I-ის იმპე-  
რატორობის პერიოდს მივიჩნევთ, მაშინ წმ. სტეფანეს ნეშტის პოვნის ქრონო-  
ლოგიური ჩარჩოები არ უნდა გასცილდეს IV საუკუნის დასასრულს\*.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ წმ. სტეფანე პირველმოწამის შესახებ  
ცნობები მოგვეპოვება ხევსურული ხუცობის ნიმუშებშიც. (7. გვ. 81).

\* წმ. სტეფანე პირველმოწამის ნეშტის პოვნის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენაში  
დაგვეხმარა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. სილოგავა, რისთვისაც მას მადლობას  
მოვახსენებთ.

ქრისტიანული ეკლესია წმ. სტეფანე პირველმოწამეს წელიწადში ორჯერ იხსენიებს: 27 დეკემბერს, როდესაც ის აწამეს, 15 სექტემბერს, როდესაც მისი ნაწილები იპოვეს და 2 აგვისტოს, როდესაც წმ. სტეფანეს ნეშტი გადაიტანეს იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლს (მ, გვ: 156).

ურბნელები ამ დღესასწაულს წელიწადში ორჯერ (აგვისტოში და დეკემბერში ა. ნ.) ასრულებდნენ, შემდეგში კი მათ აგვისტოს დღესასწაული გააუქმეს და დატოვეს მხოლოდ 27 დეკემბერი.

ზემოთ მოტანილ მასალიდან სავარაუდებელია, რომ წმ. სტეფანე პირველმოწამეს ემოღვაწა ადრექრისტიანულ ხანაში, როდესაც ჯერ კიდევ მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. რასაკვირველია, ძნელი იყო ამ პერიოდში ქრისტიანობის მქადაგებელთა მოღვაწეობა.

წარმართული და ქრისტიანული რელიგიების ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენს აგრეთვე თქმულება სამების ეკლესიის შესახებ, რომელიც სოფ. ჩხიკეთას სამხრეთით მდებარეობს და ანალოგიურია ჩვენ მიერ მოტანილი თქმულებისა. ექ. თაყაიშვილის ვარაუდით თქმულება უნდა სკოდნოდა ვახუშტი ბაგრატიონსაც. აქ მოცემულია სამებისა და დევის (აგი სულის) ბრძოლა მაღალი მთის მწვერვალის დაპატრონებისათვის, რომელიც სამების გამარჯვებით მთავრდება, რაც თავისთავად ქრისტიანობის გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ (9. გვ. 13-15).

ცნობილია, რომ ქართველი ხალხი წმ. ნინოს წყალობით ეზიარა ქრისტიანობას IV საუკუნეში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, მაგრამ მათ შორის დღესდღეობით გავრცელებული და პოპულარულია ის რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრებაში“ და ლეონტი მროველს მიეწერება, სადაც სწორედ წმ. ნინო მიიჩნევა ქრისტიანობის მქადაგებლად საქართველოში (10. გვ. 65-67). „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ როდესაც ნინო: „მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდებოდა ურბნისი, სადა — იგი იხილა ერი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახური, რამეთუ ცეცხლსა ქვათა და ძელთა ღმერთად თაყუანის — ცემდეს. რომლისთვისა შეეურვა სულსა ამისა წმიდისასა და შევიდა ბაგინსა ჰურიათასა ენისათვის ებრაელისა, და დაყო მუნ თუე ერთი და ვანიცდიდა ძალსა ამის ქუყნისასა“ (11. გვ. 87-88).

ურბნისში XIX საუკუნემდე შემორჩა ქეთიკორის პატარა ეკლესია. ხალხის გადმოცემით ეს ეკლესია წმ. ნინოს აუგია და სწორედ აქ დაუწყია მას ქრისტიანობის ქადაგება: „საქართველოში ყველაზედ წინათ ჩვენ მივიღეთ ქრისტიანობა, პირველად ჩვენ გვესმა ზეციური სწავლა წმ. ნინოსი, თავმოწონებით გეტყვით ყველა ურბნელი... უწინდელს დროში წმ. ნინოს ეკლესია ურბნელი ეპისკოპოსის ზედამხედველობაში იყო. როცა ურბნელის ადგილი მოისპო, ეკლესიასაც ყურადღება მოაკლდა და ეხლა იგი მარტო დანგრეულ კედლებს წარმოადგენს. დიდის ამბით იციან ჩვენში წმ. ნინოს დღეობა. ამ დღეს ძველებურ წესისადაგვარად ბევრი გლეხი მოხდის ხოლმე წმ. ნინოს ზედაშეს“ (12. № 9).

ურბნისის ეკლესია, სადაც დღეობა „წმინდა სტეფანოზა იმართება, ურემ-  
ბათო ბაზილიკაა, იგი არაერთხელ ყოფილა დანგრეული გარეშე მტრების შე-  
მოსევების შედეგად და ასევე არაერთხელ აღუდგენიათ. სწორედ ამის შედეგი  
უნდა იყოს, რომ ეკლესიის კედლების აღდგენისათვის სხვადასხვა წესის საშუალო  
მასალა გამოუყენებიათ. ამჟამად ეკლესიის უმეტესი ნაწილი ატუროთაა ნაშენი,  
თუმცა გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეკლესია თავდაპირველად თლილი ქვით  
უნდა ყოფილიყო ნაგები და რომ ეს ქვა სკრის ხეობის სათავიდან ყოფილა მო-  
ტანილი. ასევე იატაკიც, ადრე, ქვით უნდა ყოფილიყო დაგებული (13.  
გვ. 41-42).

წინათ ეკლესიას შემოვლებული ჰქონია ზღუდე კოშკებით, რომელიც ამ-  
ჟამად არაა შემორჩენილი, მხოლოდ ერთ ადგილას არის დარჩენილი ამოშე-  
ნებული კარები, რომლის თაღზეც ვახტანგ VI-ის დროინდელი სამრეკლოა  
აღმართული (13. გვ. 42).

თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში ურბნისის ტაძრის აგების  
თარიღად აღიარებულია VI საუკუნე (14).

ურბნისის ეკლესიაში თავის დროზე იყო წმინდა სტეფანე პირველმოწამის  
ვერცხლის ხატი, მისი ზომაა 17,5X11 სმ. ამ ხატში მოთავსებულია 33 ნაწილა  
სხვადასხვა წმინდანისა. თუ რომელი წმინდანების ნაწილებია აქ მოცემული,  
ამას გვიჩვენებს ზურგის მხედრული წარწერა: „სტეფანე ნათლის მცემელი,  
ყოვლადწმინდის თმა, მათე მახარებელი, ლუკა, იოანე ოქროპირი, გრიგოლ  
ღვთის მეტყველი, წმიდა ეგნატე, წმიდა პროკლი, იაკობ დაკრილი, ბიჭტორ  
კვიპრიანე, კოზმა, ჭრისტეფორე ძლიერი, სტეფანე ახალი, დომენტი, კლემენ-  
ტი, რომთა პაპი, თეოდორე სტრატელატი, წმიდა ნიკიტა, ლოთ~ქ~ესა წმიდა  
პარასკევა, წმიდა მარინე, წმიდა ელიასი, წმიდა ანასტასიასი, წმიდა სერგისი,  
სვეტი ცხოვლის ხე. ძელი ჰეშმარიტი (შუაში უზის). ხუთს ნაწილს სახელები  
არ უწერია“ (13. გვ. 51). ხატის ზომები 47X34 სმ-ზე, შემაკულია სურათე-  
ბით, რომელზედაც გამოხატულნი არიან ყ ~ და წ ~, ქ ~, ნათლის მცე-  
მელი. ამიებზე წარმოდგენილია სცენები წმიდა სტეფანეს ტანჯვისა, რომელ-  
თაც აქვთ ასეთი წარწერა:

„განიყვანეს: გარეშე: ჭალაქისა და ქვასა დაკრებდეს.

აქა წმინდა სტეფანე ჩაქოლვილი აღმოიღეს.

აქა სტეფანეს შესუდრა

აქა სტეფანეს საფლავის დადება

აქა სტეფანეს ნაწილის აღმოყვანება“ (13. გვ. 52).

ხატის ვერცხლის აშბას გარეშემო სისქეზე აქვს წარწერა წერილი მხედ-  
რული ხელით: „ქ ჩვენ: ღვთ: გვირგვინოსანთა: მეფეთა: ძის: ძემ: საქართ-  
ველ~ს განმგემან: ბატონიშვილმან: ვახტანგ: შეეამკვეით: მონასტერი: ესე ურ-  
ბნის წმიდა სტეფანეს: და მო (3) ჰედეთ ხატი ესე მინაჭრითა და ვერცხლის:  
კუბოთი: რათა: დღესა: მას: განკითხვისასა: დიდებული: მოწამე, სტეფანე:  
მსსნელ: გვექმნას: ჩვენდა: თანა: მეცხედრესა: ჩვენსა: ჩერქეზ: ბატონის: ასულ-  
სა: და ძენი ჩვენნი: აღორძინოს: ამინ: ქს ~ თ ჩღზ“ (13. გვ. 52).

როგორც წარწერიდან ირკვევა, ხატი მოქედლილია ვახტანგ VI-ის მიერ  
1707 წელს (13. გვ. 52). ზემოთ მოტანილი ტექსტი ქართულად პირველად  
ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა, ხოლო მისი რუსული თარგმანი მოცემული აქვს  
დ. ბაქრაძეს (15. გვ. 152).

პ. უვაროვა გამოკვლევაში „Материалы по археологии Кавказа“ მიუთითებს, რომ ხსენებულ ხატზე არავითარი წარწერა არ უნდა იყოს. იმდენად, რამდენადაც ხატი ულახათოდ ნაკვდია, მეფის შეწირულად ვერ ჩაითვლება. ამის გარდა, წმინდა სტეფანეს სახე დახატულია ხატზე და მინანქრის კვალიც არ არის“ (16. გვ. 144-145). ხოლო რაც შეეხება დ. ბაქრაძის მტკიცებას, რომ ხატი, რომელიც მას ბატონიშვილ ვახტანგის შეწირულად მიაჩნია, ნამდვილად წმ. სტეფანეს წვალების სურათებს წარმოგვიდგენს, მას პ. უვაროვაც იზიარებს. ე. თაყაიშვილი განმარტავს: „ვინაიდან წარწერა ხატისა სისქეზეა მოყვანილი და მასთან წერილი ასოებით, ამით აიხსნება, რომ ხსენებული წარწერა ვერც ბროსეს შეუნიშნავს და ვერც გრაფინია უვაროვისას“ (13. გვ. 52).

წმ. სტეფანე პირველმოწამის ხატი ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

როგორც საბუთებიდან ირკვევა, ურბნისის ეკლესიის განახლება თავს უდევია თეოდორე ეპისკოპოსს ლუკას — ძეს, შეწვევითა მიქელისა, ძისა კონსტანტინესა, რომელიც კალატოზი ყოფილა ანუ ხუროთმოძღვარი. ამის შემდეგ ეკლესია განუახლებიათ აბიათარ დეკანოზს და ცოლ-ქმარ ქავთარს და შუშანს. მეორედ ურბნისის ეკლესია შეუკეთებია და აღუდგენია მარიამ დედოფალს, როსტომ მეფის მეუღლეს 1668 წელს, მაგრამ ურბნისის წმ. სტეფანეს სახ. ეკლესიის აღდგენაში და მის გამშვენიერებაში ყველაზე დიდი წვლილი მაინც ვახტანგ VI-ს შეუტანია. 1706-1707 წლებში მას ეკლესია შეუქმნია კანკელით, საეკლესიო ნივთებით. მასვე აუშენებია სამრეკლო, გალავანი, პალატი და შემდეგ ეკლესიაში წმ. სტეფანეს ხატიც შეუტანია. 1707-1739 წლებში მტრებს ერთხელ კიდევ გაუხანდაგურებიათ ვახტანგ VI-ს მიერ აშენებული გალავანი და 1739 წელს ურბნელ ნიკოლოზ ხერხეულიძეს ხელმეორედ გაუკეთებია იგი კოშკებითურთ და შემოუვლია ზღუდე, აუშენებია საცხოვრებელი სახლის კარიბჭე და სანივთური (სალარო). ჩვენს ეპოქამდე ამ გალავანს არ მოუღწევია (13).

საკვიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ ეკლესიის გარდა, საქართველოში არსებობს სხვა ეკლესიებიც, რომლებიც წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელს ატარებენ, მაგალითად, ხირსის ეკლესია, აგებულია ერთ-ერთი სირიელი მამის სტეფანეს მიერ (17. გვ. 301).

სტეფანწმინდის მონასტერი აგებულია მდ. ბედიყრის წყალზე, რომელიც ერთვის ალაზანს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ქრისტიანულ თქმულებას ემჩნევა წარმართული იდეოლოგიის მძლავრი ზეგავლენა, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითქოს ქრისტიანობის შემოღებამდე ცხოვრება მოუწესრიგებელი იყო. როდესაც ხალხმა ქრისტიანობა იწამა, ამ ახალი რელიგიის სიკეთე ძველი ცხოვრების გამოსწორებით აიხსნა, მივიდა წმ. სტეფანე და აღრეული, მოუწესრიგებელი ქორწინება მონოგამიით შეცვალა.

ამრიგად, წმ. სტეფანეს შესახებ არსებული გადმოცემის გაცნობა, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ქართული თქმულებები ხშირ შემთხვევებში დაკავშირებულია ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებთან,

რასაც სათანადო მნიშვნელობა ენიჭება ქართული რელიგიური აზროვნების ისტორიის შესწავლისათვის.

თქმულება „წმინდა სტეფანე პირველმოწამის წამების“ სპეციალურმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა კვლევამ, რაც ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების ანალიზზე დავამყარეთ, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ეს თქმულება თავისი პირველი მნიშვნელობით და წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს ადრექრისტიანულ ხანას — ხანას, როდესაც ჭერ კიდევ მწვევედ იდგა ქრისტიანობისა და ადრეარსებულ რელიგიებს (მაზდეანობა, კერპთაყვანისმცემლობა) შორის პრძოლის საკითხი.

ჩვენი აზრით, წმ. სტეფანე პირველმოწამის ნეშტის პოვნის ქრონოლოგიური ჩარჩოები არ უნდა გასცილდეს IV ს-ის დასასრულსა და V ს-ის დასაწყისს.

ზემოთ მოტანილი მასალის საფუძველზე თქმულება — წმინდა სტეფანე პირველმოწამის შესახებ — ვარაუდით V ს-ში უნდა იყოს შექმნილი.

1. სინური მრავალთავი 864 წლისა თბილისის საბ. უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბ., 1959.
2. იბ. ნ. შარი. La Synaxire Géorgien: Patrologia Orientalis. Tome — XIX — fascicule, 5 — Paris, 1926, pp. 657—670.
  - ა. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ტრესტომათია, I გამოც. 1959, გვ. 293-297. II გამოც. 1953, გვ. 290-294. იმავე ხელნაწერის მიხედვით III გამოც. 1970, გვ. 244-253.
3. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
4. Жизнь святых, кн. XII, М., 1911.
5. Grmel, La Chronologie, Paris, 1958, გვ. 355—356.
6. Православнический церковный календарь, Москва, 1971
7. სელის ხეუბნის ნიძუშები ჩაწერილია აბია არაბელისაგან 1939 წლის 10 აგვისტოს სოფელ რომკაში საკითხთან დაკავშირებით იბ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, თბ., 1940, ტ. III, გვ. 81.
8. Жизнь святых, кн. V, М. 1904
9. Е. Такашвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, выпуск II. Тифлис, 1905
10. იბ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
11. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
12. ურბნელი ვლენი, დაბა და სოფელი, ვაზ. „ივერია“, 1888, № 9.
13. ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, ტფილისი, 1907.
14. პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხეროთომოდერება, თბ., 1965, გვ. 141.
  - ა. ბერიძე, ძველი ქართული ხეროთომოდერება, თბ., 1974, გვ. 91, და სხვა.
15. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, в кн. Записки общества любителей Кавказской археологии, I т. 1875
16. П. Уварова, Материалы по археологии Кавказа, вып. IV, Москва, 1911.
17. ვ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58; ურბნისის ტაძრის, როგორც არქიტექტურული ძეგლის მეცნიერულ შეფასებას პირველად ვხედებით ვ. ჩუბინაშვილის ნაშრომში (ქართული ხელოვნების ისტორია, 1936, გვ. 34-35).
18. საქართველოს სამოთხე, გვ. 301.



XIX ს-ის ინგლისურ წყაროებში ვხვდებით სვანეთის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, საცხოვრებელი კომპლექსების, საკულტო ნაგებობების ექსტერიერის და ინტერიერის აღწერას.

სვანეთის საცხოვრებელი ნაგებობები და კომპლექსები თავისი გარეგნული იერით იმთავითვე იპყრობდა უცხოელ მოგზაურთა ყურადღებას. ეს პირველ რიგში ეხება კოშკებს, რომლებიც ორიგინალური კონსტრუქციის ქვეითკირით ნაგებ მონუმენტურ ნაგებობებს წარმოადგენენ და ორგანულად ერწყმიან პეიზაჟს. „სვანეთი მთასვლელთა, მოგზაურთა და მხატვართა მხარეა — წერდა დუგლას ფრეშფილდი — სივრცე, ნაირგვარობა, მზიანობა — სვანეთის პეიზაჟის მუდმივი დამახასიათებელი ნიშნებია. ეს არის მიწა, სადაც ყოველი კაცის სახლი მისი ციხე-სიმაგრეა. მდგლოები და კულტივირებული ველები მაღალი თეთრი კოშკებით არის მოფენილი. ერთგან ერთი კოშკი დგას, მეორეგან ჭკუფებად აღმართულა 50 ან 80. ყოველ სოფელს იმდენი კოშკი აქვს, რამდენიც შუა საუკუნეების ტოსკანის ქალაქებშია. მსგავსი ფანტასტიკური რაიმე, როგორიც ეს საოჯახო ციხე-კოშკებია, არ შეიძლება სადმე ნახოთ სან-ჯიმინიანოს გარდა. მარტო მესტია 70 კოშკით იწონებს თავს, თითოეული 40 ან 80 ფუტი სიმაღლისაა: უშგულში 50-ზე მეტი კოშკია და გვერდით კიდევ ორი შავი ციხეა. სახლები რომლებზედაც კოშკებია მიდგმული, ოთხკუთხაა, ფიქლით გადახურული, უსაკვამურო და ვიწრო ღრიკოთი ფანჯრისათვის, რომელიც დარაბეებითაა მიხურული. ზოგჯერ სახლებს ფანჯარა საერთოდ არა აქვს, სინათლე აღწევს მხოლოდ გაუღესავი კედლის სანათურებიდან, ბოლი კი სახურავიდან გადის. ღამით არყის ხის ქერქისაგან გაკეთებულ ჩირაღდნებს ხმარობენ. ხის კიბე, რომელიც შესაძლებელია საპიროების შემთხვევაში მოიჭრას, თავშესაფარი კოშკის ბოლო სართულამდე აღწევს“<sup>1</sup>. ჯემს ბ. ტელფერის აზრით განსაკუთრებული სილამაზით და თავდაცვისუნარიანობით მულახი გამოირჩეოდა. „მულახის ხეობა სავსებით მომზიბლავია თავისი კულტურაციით და კოშკებით, რომლებიც შორს, ჭკუფებად გაჭიმულან, მთის ფერდობებზე, ტყიანი ადგილებისაკენ, რომელიც სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევს და წიწვნარს ერევა... მოგვიანებით შევნიშნე რომ მულახის კოშკები ჩინებულ მდგომარეობაში იყვნენ შემონახული; სახლები უმრავლეს შემთხვევაში გარკვეულად უფრო სუფთა იყო, ვიდრე სხვაგან და გარედან შეთეთრებული“<sup>2</sup>.

მართლაც კოშკების რაოდენობას და თავისებურებებს არ შეიძლება შთაბეჭდილება არ მოეხდინა სვანეთში პირველად მოხვედრილ ადამიანზე. ავტორის ასოციაცია ტოსკანის საოჯახო კოშკებთან სავსებით გასაგებია; სანჯიმინიანო, რომელიც X-XIV საუკუნეებში ჩამოყალიბდა, ცნობილია თავისი საოჯახო კოშკებით, რომლებიც გარეგნული იერით მართლაც ძალიან წააგავენ სვანურ კოშკებს. მოგვიანებით ამასვე იმეორებს ბ. კოვალეცკი<sup>3</sup>.

ავტორის ზემოთ მოყვანილი ცნობა საინტერესოა თუნდაც იმით, რომ ის როგორც თვითმზილველი გვამცნობს ცალკეულ საზოგადოებებში კოშკების რა-

ოდენობას, რომელთა რიცხვმაც მომდევნო პერიოდებში მნიშვნელოვნად გაიზარდა (დ. ფრეშფილდმა 1868, 1887 და 1889 წლებში იმოგზაურა სვანეთში). უმეტესად გულთან დაკავშირებით მოხსენიებული ორი შავი ციხიდან ერთ-ერთი, მოწაივო ფერის ფიქლით ნაგები ლენკერის ციხე დღემდე ნაყლებად დანაშინებული სახითაა შემორჩენილი და სოფელ მურყმელის აღმოსავლეთით აღმართული მთის ფერდის ერთ-ერთ კონკრეტულ აგვირგვინებს. მეორე — „სეიფი მურყვამარ“, იგივე, „თამარის ციხე“, ძალზეა დაზიანებული და სოფ. ჩაქაშის ჩრდილო-აღმოსავლეთით ამართულ მცირე შემაღლების ბორცვზე მდებარეობს\*. ბ. ნიქარაძის ცნობით XIX ს-ის 80-იან წლებში უშგულში 244 ქვის შენობა იყო, მათგან 100 სახლი უკვე მიტოვებული. (უნდა აღინიშნოს რომ მიტოვებული კარმიდამოების დიდი რაოდენობა ე. სპენსერს ჯერ კიდევ 1836 წელს, სვანეთში მოგზაურობისას მოხვდა თვალში<sup>1</sup>). ამ ნაგებობებს შორის ბ. ნიქარაძემ 59 კოშკი დათვალა<sup>2</sup>. ბ. კოვალევსკის მიხედვით მესტიაში 47 ხელუხლებელი კოშკი იყო<sup>3</sup>. გ. ლეჟავა და მ. ჯანდიერი, რომლებმაც XIX ს-ის 30-იანი წლების მონაცემები საკუთარ დაკვირვებებს შეადარეს, ამბობენ, რომ უშგულში 70 კოშკიდან 50 დარჩა, მესტიაში 50-დან მხოლოდ 30<sup>4</sup>. მაგრამ სვანური სოფლებისათვის არ არის დამახასიათებელი საკარმიდამოთა ისეთი სიმჭიდროვე, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშია (შატალი, მუცო, ხახაბო, ბელო, ფარსმა, დართლო და სხვა). დ. ფრეშფილდი რამდენადმე აპარებებს, როდესაც ნაგებობათა დიდ სიმჭიდროვესა და ასევე დიდ რიცხვზე ლაპარაკობს. მკვლევართა და მოგზაურთა ერთი ნაწილი, რომელსაც სვანური საცხოვრებელი კომპლექსები აღუწერია, სარკმელს სათოფურთან აიგივებს. ამას აღნიშნავენ ი. ივანიტაივი და მ. კოვალევსკი<sup>5</sup>, ი. კანევსკი<sup>6</sup>, ს. ტარსკი<sup>7</sup>, ჯანდიერი და ლეჟავა<sup>8</sup>, ამასვე ამბობს დ. ფრეშფილდი, ჯ. ტელფერიც აღნიშნავს, რომ „სვანეთში საცხოვრებელი ერთი დიდი უფანჯრებო ოთახისგან შედგება“<sup>9</sup>. მკვლევართა მეორე ნაწილს კი კარგად შეუმჩნევია რომ სათოფური და სარკმელი განსხვავდებიან მოყვანილობით, ზომებით და სხვადასხვა მიზნებს ემსახურებიან. ა. ჭალდანის მიხედვით ძველ სვანურ ნაგებობებს სარკმლების რამდენიმე ნაირსახეობა გააჩნდათ<sup>10</sup>.

ინგლისელ მოგზაურთა ყურადღება სვანეთის მდიდარმა წარსულმა, მისმა სიძველეებმაც მიიპყრო. თავიანთ ჩანაწერებში ისინი ახსენებენ საკულტო არქიტექტურის ცალკეულ ძეგლებს და ზოგჯერ მათ მოკლე აღწერასაც იძლევიან<sup>11</sup>. მხარე მდიდარია ეკლესიებით, თუმცა მკითხველმა ამ ნაცნობი სიტყვის ვაკონებაზე არ უნდა წარმოიდგინოს ისეთი ნაგებობები რომელიც რაიმეით ჩამოჰგავდა დასავლეთ ევროპულ ეკლესიას. სვანური ეკლესიები განზომილებებით და გარეგნული იერით უფრო იტალიურ გზისპირა, სამლოცველოებს შეესაბამება. მათ არავითარი სამრეკლოები არა აქვთ, ზარები ზის ძელებზეა დაკიდებული ეკლესიის გარეთ. ასეთი მოწყობილობაა გაგრძელებული აგრეთვე კორსიკაშიც. შიგა ნაწი დაახლოებით 25-30 ფუტზეა. ლატალში პორტიკი ისეთივეა, როგორც ვენეციის წმ. მარკოზის ეკლესიისა, იგი შენობას სამი მხრიდან მიუყვება. აფსიდი კანკელით ან ტიხრითაა გამოყოფილი და გარეგნულ ფორმაში და დეკორში ცვალებადობს. ლენჯერში აფსიდი ჰექსაგონ-

\* ა. ჭალდანი, ლენკერის ციხე სვანეთში, „ძეგლის მეგობარი“ № 1, 1987, გვ. 58-62.



ნაღურია, ლატალის ერთ-ერთ სამლოცველოში ნახევარწრიული და შემკულია კოლონადებით დაბალ რელიეფში. ინტერიერი და ზოგჯერ ექსტერიერიც ფრესკითაა მოხატული სტილში, რომელიც ცვალებადობს ბიზანტიურიდან — ჯოტოს სტილამდე. სახურავი ხშირად მოხატულია ციური სნეულენების გამოსახულებებით ცისფერ ფონზე. კანკელის წინ ზოგჯერ ნახავეთურად მსგავსი მხარეებზე ფურცლებით დაფარულ დიდ ხის ჭვარს. არქიტექტურაში ცოტა ქართული შტრიხია და შესაძლებელია რომ მშენებლები უფრო ბიზანტიური გავლენის ქვეშ იყვნენ<sup>14</sup>. — წერს დ. ფრეშფილდი. „მხარეში ნანახი ყველა ეკლესია აგებულია გეგმით, რომელიც არ არის ჩვეული საქართველოსთვის — განაგრძობს ავტორი — მათი ზარები უქველად უფრო გვიანდელი წარმოშობისაა ვიდრე შენობები, ზოგ შემთხვევაში ლათინურ წარწერებს ატარებენ სამწუხაროდ, ყოველგვარი თარიღის გარეშე“<sup>15</sup>.

სვანეთში ჩვეულებრივ უგუმბათო ეკლესიებია გავრცელებული. აქ ძირითადად გვხვდება ბაზილიკის ტიპის ერთნაიანი, ორნაიანი და იშვიათად სამნაიანი ნაგებობები, რომელთა გეგმა და გარეგნული ფორმა დამახასიათებელი იყო საქართველოს ამ ტიპის ძეგლებისათვის და ამდენად ავტორის მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება. დ. ფრეშფილდი აქ, ისევე როგორც სხვა შემთხვევებშიც იტალიური არქიტექტურის გავლენის ქვეშ იმყოფება და ვერ ამჩნევს სვანური მატერიალური კულტურის თავისებურებებს და ძველქართულ ტრადიციებს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს საკულტო ნაგებობებში, რომლებიც სპეციალისტთა გამოკვლევით იმეორებს ძირძველ ქართულ ტრადიციებს, მაგრამ ამავე დროს ლოკალური თავისებურებითაც გამოირჩევიან. რაც შეეხება სამრეკლოებს, ისინი მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სვანეთში. „ლენჯერში არის ეკლესია ჰექსაგონალური აფსიდით. ქვის წყობა ბევრად აღემატება სახლებისას ან კოშკებისას“. „ბლოკები კირქვისაა და საგულდაგულოდ გათლილი. კედლები ფრესკითაა მოხატული იტალიური სამლოცველოების მანერაში“<sup>16</sup> — აღნიშნავს დ. ფრეშფილდი. ის რომ საკულტო ნაგებობებში ქვის წყობის კულტურა ბევრად მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე საცხოვრებელ ნაგებობებსა და კოშკებშიც, მოგზაურს კარგად შეუნიშნავს. სვანური მონუმენტური ფერწერის ნიმუშები ლოკალური მხატვრული ტრადიციების ნიშნებს ატარებენ, რომლებიც ბევრ შემთხვევაში უნიკალურია, რაც ადგილობრივი სკოლის არსებობაზე მიუთითებს მკვლევარებს<sup>17</sup>.

ჯეიმს ბ. ტელფერს ჩანაწერებში ვკითხულობთ: „იფარში არის ეკლესია“ ქართულ არქიტექტურულ სტილში, ალბათ მეთხუთმეტე საუკუნეში აღდგენილი. გარე კედელზე წარმოდგენილია საქონლისა და გარეული ნადარის თავები რელიეფში, მაგრამ ფრესკები რომლებითაც ინტერიერი იყო შემკული თითქმის სულ გამქრალა. მას ბერძნული ეკლესიის კანკელი აქვს, რომელიც სამი ქვის თალისაგანაა შექმნილი. მის უკან საკურთხეველია, რომლის გარშემო ნახევრად დამტვრეული ხატებია“<sup>18</sup>. ჯ. ტელფერი ლაპარაკობს ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ. იგი არ არის XV ს-ში აღდგენილი, როგორც ამას მოგზაური აღნიშნავს, არამედ X საუკუნის ჩვეულებრივი სვანური ბაზილიკაა. კედლის მხატვრობა შესრულებულია მეფის მხატვრის თევდორეს მიერ XI საუკუნის ბოლოს და XII ს-ის დასაწყისში. ფრესკები დღემდე შემორჩენილი იყო, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ჩანდა, თუმცა მოგზაურის თვალში ეს

შეიძლება „თითქმის სულ გამქრალად“ აღქმულიყო. 1988-1989 წლებში აქ სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარა საქ. ძეგლთა დაცვის სამმართველოს რესტავრატორთა ჯგუფმა, რის შედეგადაც ფრესკები გაიწმინდა, ჩატარდა ფიქსაცია. ეკლესიას ქართული, ქვის სამთლიანი კანკელი აქვს. ექვ. შაყულაშვილის აზრით ეკვტრები, რომლებიც ეკლესიას სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მიუყვება გაცილებით გვიანაა მიშენებული<sup>19</sup>. აღმოსავლეთის კედელი სამ კამარადაა გაყოფილი და შუა კამარის თავზე, როგორც მოგზაური აღნიშნავს, ირმის თავი, მარცხენაში ლომის თუ ვეფხვის და ცხვრის თავებია გამოსახული.

ინგლისელ მოგზაურთა ჩანაწერებში კიდევ ბევრ საინტერესო ცნობას ვხვდებით სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, კლავი ფილიპს უოლის აღწერილი აქვს სოფ. ლაშთხვრის მთავარ-ანგელოზის ეკლესია ლენჯერის თემში და მისი გარეთა ფრესკების მონატურლობა<sup>20</sup>, ჯ. ბ. ტელფერი, დ. ფრეშფილდი, და კ. ფილიპს-უოლი აგვიწერენ თავად გარდაფხაძის, დადეშქელიანის საცხოვრებელ სახლს, სადაც ისინი მიიღეს; საინტერესოა მათ მიერ სვანეთის ეკლესიებში დაეულო საგანძურის აღწერა და სხვ.

1. 14, 15, 16. D. W. Freshfield, The Exploration of the Caucasus. London, 1896, p. 208.

2. 12, 18. J. B. Telfer, The Crimea and Transcaucasia. London, 1876, p. 23.

3. 6. Б. Ковалевский, В стране снегов и башен. М., 1927.

4. E. Spencer, Travels in the Western Caucasus in 1836, London, 1838.

7. 11. Г. Лежава, М. Джандиери, Архитектура Сванетии, М., 1938, стр. 59, 8—10, 12.

5. 6. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. II, გვ. 66.

8. В Сванетии, из путешествия И.Иванюкова и Ковалевского, ВЕ, СПб, 8, 1886, стр. 577, 569.

9. Каневский, Любопытные уголки Кавказа. Тифл. 1886, стр. 156—157.

10. Тарский. В стране сванов. Всемирный турист, № 3, 1929, стр. 82.

13. ა. ქალაძე, სარკმლის დანიშნულება ძველ სვანურ ნაგებობებში, „მაცნე“, 1973, № 1, გვ. 142-143.

17. Г. Алибегашвили, Г. Аладашвили, А. Вольская. Живописная школа Сванетии. Тб., 1983, стр. 5.

19. ექვთიმე თაყაიშვილი — საქართველოს სიძველენი, გვ. 203, ტფ. 1921.

20. C. Phillips—Wolley—Savage Svanetia. London, 1889.


სამშენებლო ხელოვნების საკითხისათვის შუასაუკუნეების  
 უფლისციხეში

უფლისციხე სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ძეგლია (ტაბ. I, სურ. 1). შუასაუკუნეების უფლისციხეში კარგადაა წარმოდგენილი კლდეში ნაკვეთი და ჩვეულებრივი მშენებლობის შერწყმის სურათი.


ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი დარბაზები შუასაუკუნეებშიც ინტენსიურადაა გამოყენებული. აქ ვერ შეხვდებით ანტიკური პერიოდის ისეთ გამოკვებულს, რომელიც შუასაუკუნეებში არ იყოს გადაკეთებული. თავის მხრივ შუასაუკუნეებშიც გამოუყვეთიათ არქიტექტურული თვალსაზრისით მეტად საინტერესო რამდენიმე დარბაზი. ანტიკური ხანის მშენებლები კლდის დარბაზის უხეშად გამოკაფვის შემდეგ კედლების ზედაპირს გულდასმით ამუშაებდნენ. ისე, რომ კედლებს სავსებით სწორი ზედაპირი აქვთ და არ ემჩნევათ იმ იარაღის კვალი, რომლითაც კლდის კაფვა ხდებოდა (I, გვ. 25). შუასაუკუნეებში ეს ხერხი მივიწყებულია. ამ პერიოდში გამოკვეთილი ან გადაკეთებული დარბაზების კედლებზე კარგად შეინიშნება იმ იარაღის კვალი, რომლითაც კლდე გამოუკვეთავთ (I, იქვე).

ანტიკური ხანის დარბაზების კედლების მაღალ დონეზე დამუშავება კლდის დასამუშავებელი იარაღების მრავალფეროვნებასაც გვაფიქსიანებს. ამ მხრივ საინტერესოა უფლისციხეში აღმოჩენილი დარღვეული კულტურული ფენიდან მომდინარე ქვიშაქვის კვადრის ფრაგმენტი (ტაბ. I, სურ. 2). ამ ჭიშის ქვათილებითაა ნაგები II უბანზე გამოკლენილი ელინისტური ხანის კედელი (2, გვ. 58). ქვათილები ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა სპეციალური სამაგრებით, რომლებიც სათანადო ფოსოებში ჩამაგრდებოდა (2, იქვე). ეკვი არაა, რომ დარღვეული კულტურული ფენიდან მომდინარე ქვათილის ფრაგმენტი ელინისტური ხანისაა. მასზე შემორჩენილია სამაგრისათვის განკუთვნილი ფოსო, რომელიც უფლისციხეში მხოლოდ ანტიკურ კვადრებზე დასტურდება. აღნიშნული ქვათილი, როგორც ჩანს, დამუშავებისას დაზიანებულა და კედლის წყობაში აღარ გამოუყენებიათ. ქვაზე შეიმჩნევა ბრტყელი და წვეტიანი სამუშაო იარაღის კვალი (ტაბ. I, სურ. 3, 4). რაც შეეხება ქვის დანარჩენ ნაწილს, აქ ამგვარი იარაღების კვალი გამჭრალია კბილანიანი სამუშაო იარაღის (ე. წ. „საკოდელის“) გამოყენების შედეგად (ტაბ. I, სურ. 5). ამგვარი იარაღით ქვა გაცილებით სუფთადაა დამუშავებული.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება ქვის დამუშავების სრული ციკლის წარმოდგენა. ცნობილია, რომ კარიერიდან ქვის გამოსაღებად საჭირო იყო ხის ან ფოლადის სოლები, მარწუხები, ე. წ. „მართხაფი“. ურო და სხვა (3, გვ. 169). ქვის შემდგომი დამუშავებისათვის იყენებდნენ: წერაქვს, წალკატს, კბილიან საკოდელს (3, იქვე), რომელთა საშუალებით ქვის ზედაპირი გაცილებით სუფთად მუშავდებოდა. სწორედ ამგვარი იარაღის კვალი დასტურდება დარღვეული კულტურული ფენიდან



1



3



4




5



ტაბულა I.

მომდინარე ქვათლილზე (ტაბ. I, სურ. 3, 4, 5). მაგრამ ქვის დამუშავება ამით არ მთავრდებოდა. საინტერესოა, რომ II უბანზე გამოვლენილი ელინისტური ხანის კედლის წყობაში არ დასტურდება ისეთი ქვათლილები, რომელთაც კბილიანი „საკოდელის“ კვალი ეტყობოდეს. როგორც ჩანს, ქვის დამუშავების საბოლოო ციკლი გულისხმობდა ქვათლილის გაბუნება-გაპრიალებას შესაბამისი იარაღებით. ამგვარი იარაღების ჭგუფს განეკუთვნება ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილი თხელი და ბასრი პირის მქონე საკოდელი. ე. წ. „ქასურები“ (3, გვ. 183), ქლიბი, კობოსანი და სხვა (3, გვ. 172). მათი გამოყენების შემდეგ ქვა დასრულებულ სახეს იღებდა. რადგან ამ იარაღების



ტაბულა II.

კვალი ჩვენ ქვათლილზე არ ჩანს, საფიქრებელია, რომ იგი მანამდე გასტეხიან და მისი შემდგომი დამუშავებისათვის თავი მიუხედავებიათ.

მართალია, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ზემოთ წარმოდგენილი იარაღები ქვათლილების დასამუშავებლად გამოიყენებოდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ანტიკურ ხანაში კლდის დარბაზების გამოკვეთაც ძირითადად ამგვარი იარაღებით ხდებოდა.

ანტიკურ ხანასთან შედარებით, შუასაუკუნეებში ქვის დასამუშავებელი იარაღების ასორტიმენტი უფრო მრავალფეროვანი თუ არა, შემცირებული არ ჩანს. ამაზე მეტყველებს შუასაუკუნეების ქვაში ნაკვეთი ორნამენტის ბრწყინვალე ნიმუშები. მაგრამ საშუალო საუკუნეების უფლისციხეში ამ მრავალფეროვანი იარაღების გამოყენება მნიშვნელოვნად შეზღუდულია, რაც თავის

მხრივ შესაძლოა სოციალური და ეკონომიკური მიზეზებით იყო განპირობებული. შეასაუკუნეებში „ქვით ხუროებს“ უსარგებლიათ მხოლოდ კლდის უხეშად დასამუშავებელი იარაღებით. ამ პერიოდში გამოკვეთილი თუ გადაკეთებული დარბაზების კედლებზე მხოლოდ ბრტყელი და წაწვეტილებული იარაღის საკმაოდ უხეში კვალი დასტურდება (4).

ამრიგად, ანტიკურ ხანაში ქვისა და კლდის ზედაპირის დამუშავებისათვის განკუთვნილი სამუშაო ციკლი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და მოიცავდა ყველა ოპერაციას კლდის პირველადი დამუშავებიდან, მის გულდასმით გახეხვა-გაპრიალებამდე. შეასაუკუნეებში ეს ციკლი საგრძნობლად მოკლე იყო და გულისხმობდა კლდის პირველად დამუშავებას, ე. ი. დარბაზის გასაპართავად საერთოდ მასივიდან გარკვეული მოცულობის კლდის გამოღებას და შემდგომ გამოქვაბულის კედლების დამუშავებას მხოლოდ უხეში იარაღით (წერაქვი, წალკატი). რაც შეეხება კლდის ზედაპირის გახეხვა-გაპრიალებას ეს ოპერაცია აღარ შედიოდა მათ სამუშაო ციკლში.

შეასაუკუნეებში კლდის კვეთის პროცესის წარმოსადგენად საინტერესოა ჩრდილოეთ უბანზე, კლდის ზედაპირზე შემორჩენილი კვადრატული მოყვანილობის შემადგენელი, რომელსაც გარშემო ვიწრო ღარი შემოუყვება (ტაბ. II, სურ 1). როგორც ჩანს, კლდის პირველადი დამუშავებისას, კლდის განსაზღვრულ ნაწილის ამოსაქაფავად, ამ ნაწილის ირგვლივ იკვეთებოდა ღრმა ღარი. ღარის შიგნით მოქცეულ შემადგენელს მოპირდაპირე მხრიდან უკეთდებოდა ბერკეტების დასაგები ფორები. ბერკეტების დაწოლის შედეგად ხდებოდა ამ მასის სახით ხელთ ჰქონდა ჩვეულებრივ მშენებლობაში გამოსაყენებელი ან ამ ფართობს სასურველ ფორმას აძლევდა. მეორე მხრივ, ამომტვრეული მასის სახით ხელთ ჰქონდა ჩვეულებრივ მშენებლობაში გამოსაყენებელი ქვა. კლდის ამგვარი პირველადი დამუშავების შემდეგ, მისი უფრო დეტალური დამუშავებისათვის მშენებელს უნდა გამოეყენებინა წერაქვი, წალკატი და სხვა იარაღები.

გარდა კლდეში ნაკვეთი დარბაზებისა, შეასაუკუნეების უფლისციხეში კარგადაა წარმოდგენილი ქვით ნაგები შენობები, რომლებიც ზოგჯერ ასე მკიდროდაა განლაგებული, რომ სახლებს ხშირად ერთი კედელი ჰყოფთ. სახლების წინ მოწყობილია ეზოები. შენობები გვერდში სწორკუთხა ან ოვალური. კედლები ნაგებია რიყისა და კლდის ნატეხი ქვებით თიხის ხსნარზე. აგური და კირხსნარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას იშვიათადაა გამოყენებული. ამ მხრივ გამოწაკლის მხოლოდ ზღუდის კედელი და IX-X სს ბაზილიკა წარმოადგენს. საცხოვრებელი სახლის კედლები დაყრდნობილია უშუალოდ კლდის მასივზე, მასში ჩაჭრილი საძირკვლის გარეშე. ეს იმ შემთხვევაში, თუ კლდის ზედაპირი პორიზონტალურია. დამრეც რელიეფზე კედლები ეყრდნობოდა კლდეში საფეხურისებურად ამოკვეთილ ბუდეებს, სახლების იატაკი უმეტესად კლდეა, იშვიათად მიწატყეპნილი.

ქვით ნაგები შენობები ღარიანი და ბრტყელი კრამიტით ყოფილა გადახურული. სახურავი ეყრდნობოდა სათავის კუთხეებში ამოკვეთილ ორმოებში ჩადგმულ ხის ბოძებს.

შეასაუკუნეების უფლისციხეში ხით ნაგები შენობების არსებობაც დასტურდება. ერთ-ერთი ამგვარი ნაგებობა, რომელიც განვითარებული შეასა-

უკუნეების უნდა იყოს, მდებარეობს IX-X სს ბაზილიკის აღმოსავლეთით, მისგან სამიოდე მეტრზე (ტაბ. II, სურ. 2) ნაგებობიდან შემორჩენილია ხის ძელების ჩასამაგრებელი ორმოები (დიამეტრი 40-50 სმ, სიღრმე 60 სმ-მდე). ნაგებობის კედლები, როგორც ჩანს, შეფიცული უნდა ყოფილიყო, რასთან ბოძების ჩასამაგრებელი ორმოების დიდი ზომები და ის გარემოება, რომ ორმოები ერთმანეთთან 1-1,5 მ მანძილით არიან დაშორებული, აქ სარ-ლასტის გამოყენებას არ გვევარაუდებინებს. სარ-ლასტი ფართოდ ჩანს გამოყენებული ნაგებობების წინ გამართული ეზოების შემოსაზღვრად. საამისოდ ნაგებობის წინ, კლდეში იკვეთებოდა ერთმანეთისაგან 20-30 სმ დაშორებული მცირე (10-12 სმ) დიამეტრის მქონე ფოსოები, რომლებშიც სარები მაგრდებოდა და მასზე ხის წნული კეთდებოდა.

უფლისციხის სამშენებლო ხელოვნების საკითხები მრავალ საინტერესო პრობლემას მოიცავს, რომლის საფუძვლიანი კვლევა მნიშვნელოვნად გაამდიარებს უფლისციხის შესწავლის საქმეს.

1. დ. ხახუტაიშვილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბ., 1965.

2. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, თბ., 1964.

3. ს. ბედუქაძე, ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი, სსმ, ტ. XXII B თბ., 1961.

4. შესაძლოა გვეფიქრა, რომ წინა პერიოდისაგან გამსხვევებით, შესაუკუნეებში კლდე იმიტომ აღარ ხეხავდნენ და აპრიალდნენ, რომ ისინი შესაღესად იყო განკეთებული. მართალია უფლისციხეში გვხვდება შელესილი ნაგებობებიც, მაგრამ ყველა მათგანი ნაშენია ქვით, თიხის ხსნარზე, რაც შეეხება კლდეში ნაკვეთ დარბაზებს, მათზე შელესილობის კვალი არ დასტურდება.

**ნიჩბისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია**  
(ქვემო საციციანოს ისტორიისათვის)



ნიჩბისის ხევი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, რომელთა შორის გამოირჩევა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია — ციციშვილების საგვარეულო განსასვენებელი. ეკლესია მდებარეობს სოფელ ქვემო ნიჩბისში (მცხეთის რ-ნი), სოფლის განაპირას სამხრეთით, მთის კალთის ძირში. იგი ფეოდალური ეპოქის მნიშვნელოვანი ძეგლია, ამასხავე იმდროინდელი ქართული არქიტექტურის განვითარების ტენდენციებისა, ამავე დროს ინდივიდუალური ნიშნებით გამოირჩეული და როგორც ირკვევა, საინტერესო ბედის მქონე.

ძეგლი საქმაოდ მოზრდილია (ვარე ზომები 16,40X14,50 მ.), გეგმით „ჩახაზული ჯვრის“ ტიპისა. საშენ მასალად გამოყენებულია უბრალო ნატეხი დაუშუშავებელი ქვა. მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ელემენტები — სვეტები, ოთხი გუმბათქვეშა თალი, შესასვლელი და სარკმლები თლილი ქვითაა ნაგები, ზოგან აგურიცაა გამოყენებული. როგორც გეგმის, ასევე არსებული კონსტრუქციული ელემენტების მიხედვით ეკლესია გუმბათიანი უნდა ყოფილიყო. დაუზიანებლად არის შემორჩენილი კამარებგადაყვანილი გვერდითი მკლავები, ორი თავისუფლად მდგარი სვეტი, მათზე და საკურთხევლის კუთხეებზე გადაშავალი გუმბათქვეშა თალები. გუმბათი კი ეკლესიას არა აქვს.

ეს ნაკლებად ცნობილი ძეგლი გამიზნული კვლევის საგანი მხოლოდ ერთხელ გახდა. არქიტ. გ. ჯავახიშვილმა შეისწავლა მისი ხუროთმოძღვრული სახე, სტილისტური თავისებურებანი, მოიხმო რამდენიმე წერილობითი წყარო და ეკლესია XVII საუკუნით (1670—1675 წ.წ.) დაათარიდა. (1, გვ. 24—27). 1671—1675 წლებით ათარიღებს ეკლესიას თ. საყვარელიძე, (2, გვ. 28). განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ჯ. გვასალიას. (3, გვ. 124).

გ. ჯავახიშვილი ეკლესიის გეგმას და განათების სისტემას XVI—XVII საუკუნეთა ტაძრებისას უკავშირებს. მუხარადისებრი თალიანი ნიშებიც, როგორც წმ. ნიკოლოზის ეკლესიაშია დადასტურებული, მაჰმადიანურ გავლენას მიეწერება და XVII საუკუნეში გვხვდება ქართულ ძეგლებზე. ეკლესიის გარეთა მძიმე, დამყდარი, მასიური პროპორციები და ჩუქურთმითაა ორნამენტი, მკვლევარის აზრით, სწორედ XVII საუკუნეზე მიგვიტოვებენ. „ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, რა თქმა უნდა, თავისი ღირსებით ვერ შეედრება აღრეული ეპოქის ძეგლებს, — ასკენის ავტორი, — მაგრამ, როგორც თავისი დროის დამახასიათებელი არქიტექტურული ნაგებობა, ის მაინც საყურადღებო ძეგლია, XVII საუკუნის ძეგლებისაგან მეტი ორიგინალობით, ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი მიდგომით, უჩვეულო იერით და გადაწყვეტით გამოირჩევა. (4, გვ. 27).

ეკლესიის უჩვეულობას განაპირობებს ახალი საპირე წყობა, რომელიც კედლებისთვის გარედან შემოურტყავით, ე. ი. ეკლესია კი არ შეუყვებიათ, არამედ დაუზიანებელი კედლებისთვის გარედან „ჩაუტყვევიათ“ თლილი ქვის პერანგი. ეს უცნაური მშენებლობა, მკვლევარის აზრით, XVIII საუკუნეში განხორციელდა. (4 გვ. 27).



ეკლესიის მეორე უცნაურობა უგუშვიათობაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმ. ნიკოლოზი გვემით და კონსტრუქციულად „ჩაახაზული ჭვრის“ ტიპის გუმბათიან ეკლესიებს განეკუთვნება, გუმბათი კი არა აქვს. ამის შეჭყაობა ვაჭყაობა ხიშვილი აღნიშნავს: „ჩვენ დაბეჭილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკლესიას გუმბათი თავიდანვე ჰქონდა, ხოლო მისი უცნაური გაკრობა პერანგის მშენებლობის დროს ან შემდეგ უნდა მომხდარიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოჯიკას მოკლებული იქნებოდა ის ფაქტი, რომ უგუშვიათო ეკლესიას პერანგი შემოარტყეს მაშინ, როცა პერანგის მშენებლობის დროს ჩატარებული ხარჯებით თავისუფლად შეიძლებოდა გუმბათის აგება... ჩვენ არ ვაგვიჩნია რაიმე საბუთი მის უგუშვიათოდ მიტოვების შესახებ. მაგრამ, მისი უცნაური გაუჩინარება, ისე, რომ არც ვადასურვა და არც თაღები დაზიანებულიყო, ალბათ გუმბათის სპეციალურად მოხსნით უნდა გამოწვეულიყო“. (4, გვ. 17).

თუმცა, ერთი „საბუთი“, რომელიც პირდაპირ მიუთითებს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დაუმთავრებლობაზე, მაინც არსებობს. ნიჩბისში დღემდე შემორჩენილი გადმოცემის თანახმად, ეკლესიის მშენებელი „უფროსებს“ დაუბარებიათ (სად, ან — ვის, აღარავის ახსოვს) და უდანაშაულოდ მოუქლავთ, რის გამოც მშენებლობა ვეღარ დამთავრებულა.

წერილობით წყაროთა და ძეგლის გაწმენდისა და რესტავრაციის დროს მოპოვებული მონაცემების შეჯერებით ვვარაუდობთ, რომ ხალხური გადმოცემა უსაფუძვლო არაა — ეკლესია მართლაც დაუმთავრებელი დარჩენილა და „მშენებლობის ხელმძღვანელს“ უდანაშაულოდ მოკვლის ამბავიც კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს ასახავს.

ეკლესიის მშენებლობის ისტორიის დასადგენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს 1671 წლით დათარიღებულ სიგელს, გაცემულს დომენტი კათალიკოსის მიერ ზაზა და ზაალ ციციშვილებისადმი. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ როდესაც ზაზასა და ზაალის დედა მუხრანბატონის ასული დედისიმედი გარდაიცვალა, შვილებს მისი ყინცივის დაკრძალვა გადაუწყვეტიათ, ბიძის, დომენტი კათალიკოსის რჩევით კი ნიჩბისში თავიანთი სასახლის ახლოს დაკრძალეს და მის საფლავზე ეკლესიის შენება დაიწყეს: „და საძირკველი ვაკურთხეთ და ჩუენვე გავათბრევიეთ, მასუკან შენებას რომ მიგაყოფინეთ ხელი, კარგად რომ დაუწყეთ შენება და მესამედი რომ აშენდა, მასუკან თქვენი განაყოფი ციცი წამოგედავა, რომ ჩემის ყმის მიწაში აშენებთ“. (5, გვ. 569, 6, 166). კათალიკოსმა სადავო საკითხი გამოიძია, დაადგინა, რომ მიწა ზაზას ყმისა იყო და ამ განჩინების წიგნით მშენებლობის გაგრძელების უფლება მისცა.

ჩვენი დაკვირვებით წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ინტერიერში\* ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე შეიმჩნევა ორი სამშენებლო ფენა, რომელიც ამ სამამულე დავის გამო მშენებლობის შეჩერებისა და შემდეგ, დომენტი კათალიკოსის კურთხევით, ისევ განახლების ინტერვალს უნდა შეესაბამებოდეს. კედლები შეუღესავია, ფლეთილი ქვით ნაგები, რომლებზეც გამოირჩევა აგურით ამოყვანილი წირთხლები სარკმლებისა, შემდეგ ქვით რომ ამოუშენებიათ. სარკმლები გაცილებით მაღლა კამარებქვეშ დაუტანიათ სამხრეთ და ჩრდი-

\* დომენტი კათალიკოსის გარდაწყვეტილობის წიგნში მოხსენიებული საყდრის იგივეობა ნიჩბისს წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან ექვს არ იწვევს.

ლოეთ კედელზე. დასავლეთ კედელზე (შესასვლელის თავზე) კი თავდაპირველად ნაგულისხმები სარკმელი შიგნიდან არ ამოუქოლიათ და დანარჩენების პარალელურ დონეზე აყვანილი არაბუნებრივად მაღალი, დამრეცხველი გამოსულა. თავდაპირველად ნაგულისხმები სარკმლები ეკლესიის სიმაღლის შესატყაობად მესამედზე უწევს: „მესამედი რომ აშენდა, მასუკან თქვენი განაყოფი ციცი წამოგედავა...“

როგორც ირკვევა, წმ. ნიკოლოზის ეკლესიას არც ამ დღეის მოგვარების შემდეგ ეწერა განსრულება.

„ხოლო განდიდნა და იქცეოდა, ამაყად ზაზა სპასპეტი მეფესა ზედა. — წერს ვახუშტი ბაგრატიონი, — ამისთვის ინება მეფემან (ვახტანგ V — შაჰნავაზმა — ო. მ.) წერთა მისი, და მოიყვანა იგი. არამედ ძემან მეფისამან გიორგიმ, რომლისათვის შეესმინათ, უგვანად ინება შეპყრობა მისი. ხოლო იგი მოწვედილითა ხანჯლითა მიეტევა მონათა მისთა და მოკლა ფავლენისშვილი. ამისთვის მოკლეს იგიცა ბრძანებითა მეფის ძისათა, ხოლო მსმენელი ამისი დამძიმდა მეფე ფრიად, ვინაითგან იყო ნათესაეი (ვახტანგ V და ზაზას დედა ბაძაშვილები იყვნენ — ო. მ.).“ (7, 455).

ვახტანგ V-ის კარზე ზაზა სპასპეტის მკვლელობის ამბავს ყურადღება მიაქცია პოეტმა და მკვლევარმა გ. ლეონიძემ. მან შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერი, რომელიც დღეს ლეონიძის მიერ დამკვიდრებული სახელით „ზაზასეულ ხელნაწერად“ იწოდება. ძირითადად, როგორც ირკვევა, ამ ხელნაწერით უსარგებლია ვახტანგ VI-ს პოემის პირველი ბექდური გამოცემისას (1712 წ.). გ. ლეონიძემ დაადგინა, რომ წიგნი გადაუწერია იოსებ ტფილელს (სააკაძეს) ზაზა ციციშვილის შეკვეთით. (8, 196—202).

ხელნაწერი ლევან ბატონიშვილის ხელში მოხვედრილა, მისგან კი მემკვიდრეობით გადასცემია ვახტანგ VI-ს. გ. ლეონიძის მიერ მოძიებული საბუთებით ირკვევა, რომ ზაზას მკვლელობის შემდეგ მისი ოჯახიც დაურბევიათ: „რაკი მოუკლავთ, როგორც სახელმწიფოს მოღალატე, კანონით მის დასჯას ქონების კონფისკაციაც უნდა მოყოლოდა. ზაზას სიკვდილის შემდეგ ხანებში მისმა შვილმა უთრუთმა და ძმამა ზაალმა... სამართალში განაცხადეს, რომ ჩვენი სიმართლის დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა არ შეგვიძლიაო, „აღარ გვაქვსო, რომე, როდესაც სარდალი ზაზა მოკლესო, მაშინ შაჰნავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგელები და მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვიხდაო“. (9, 207).


მკვლევარის მართებული დასკვნით, ზაზას ოჯახის აკლებიას მეფის იასაულები სიგელების გარდა წიგნებსაც დაიტაცებდნენ, მათ შორის ძვირფასად შემკულ „ვეფხისტყაოსნის“, რომელიც მეფის ძეს ლევანს რგებია. მან ტექსტიდან ზაზას სახელი ამოაფხეკინა და თავისი ჩააწერინა.

ჩვენი აზრით, ზაზას მოკვლის შემდეგ აკლებულ, გაძარცვულ და პატივყრილ ოჯახს, რომელსაც ყმა-მამულსაც ჩამოართმევდნენ, აღარ შეეძლო ბოლომდე მიეყვანა დაწყებულ მშენებლობა, მით უფრო, რომ 1676 წელს გარდაიცვალა ციციშვილების ბიძა დომენტი კათალიკოსი — მშენებლობის ინიციატორი და უშუალო მონაწილე. (7, 457). ვახტანგ VI-ის გარდაცვალების (იმავე



წმ. ნიკოლოზის ეკლესია, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან (რესტავრაციაშემდეგ).

ინტერიერი. სამსრეთის კედელი ორი სამშენებლო ფენით.





ზაზა ციციშვილის საფლავის ქვა.

1676 წელს) შემდეგ კი გამეფდა მათი მოსისხლე გიორგი XI\*. ამ ამბის შესახებ ხსოვნა კი, თავისებურად გარდასახული, ზემოთ მოყვანილ გადმოცემაშიც წემორჩა.

1988 წლის გაზაფხულიდან 1989 წლის შემოდგომამდე მიმდინარე რესტავრაციამ ნათლად წარმოაჩინა მშენებლობის დაუმთავრებლობა. გაირკვა, რომ არც გვერდითი მკლავების გადახურვა ყოფილა ბოლომდე მიყვანილი. როცა გაიწმინდა სახურავი, აღმოჩნდა რომ მკლავებს გადახურვისათვის აუცილებელი ქანობების ნაცვლად კამარების ნახევრადცილინდრული ფორმა აქვს, მშენებლობა კამარების გადაყვანით და შელესვით შეწყვეტილა, დასაბური კრამიტის ან ლორფინის კვალი არსად ჩანს, არც გუმბათის რაიმე დეტალია ნაპოვნი.

როგორც ვთქვით, ძეგლის მშენებლობის თარიღის შესახებ განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ჯ. გვასალიას. მისი აზრით ეკლესია 1671—1675 წლებზე ადრე უნდა იყოს აშენებული: „ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებულ 1659 წლით დათარიღებულ საბუთში წმ. ნიკოლოზი ციციშვილების სამარხად იხსენიება, 70-იანი წლები უნდა იყოს მიჩნეული ეკლესიის მეორედ შენების ან გადაკეთების წლებად. ამ დროს უნდა „ჩაეცვათ“ ეკლესიისათვის თლილი ქვის პერანგი და არა XVIII-ს.-ში“. (3, 124). ავტორს ვერ დავეთანხმებით, რადგან, როგორც ვნახეთ, ეკლესიის შენება ორ მიჯნას — დედისიმედის გარდაცვალებასა და ზაზა სპასპეტის დაღუპვას შორის თავსდება. ამ თარიღებზე მიუთითებს ციციშვილთა საგვარეულო ქრონიკალური ჩანაწერები: „ტნ<sup>მ</sup> (1670) აქა ბატონიშვილი ბატონი დედისიმედი მიიცვალა... ტად (1676) აქა

\* ვახუშტის ცნობა ვახტანგ VI-ის 1675 წ. გარდაცვალების შესახებ არ უნდა იყოს სწორი. ამის შესახებ იხ. მცირე ქრონიკები (ქ. ოღიშელის რედაქციით), თბ., 1968, გვ. 122.

ზაზა სარდალი მოკლეს...“ (10, 62). ხოლო 1659 წელს წმ. ნიკოლოზის ციციშვილთა სამარხად მოხსენიება, გასაკვირი სულაც არაა, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაა ყინცვისისა ციციშვილთა საგვარეულო სამარხად XV საუკუნის დასაწყისში 1659 წლის საბუთში ყინცვისის წმ. ნიკოლოზი იგულისხმება და არა ნიჩბისისა.

მსგავსი შეცდომა დაუშვა გ. ლეონიძემაც, განხილულ გამოკვლევაში იგი წერს: „სხვათა შორის ზაზას ეპიტაფია სოფ. ყინცვისის ნიკოლოზის ეკლესიაში, მეტად დაზიანებული წარწერა წაუკითხავს თედო ჟორდანიას“ და კიდევ: „როგორც უნდა ვიფიქროთ, და როგორც ყინცვისის ეკლესიის ეპიტაფიიდანაც ირკვევა „თავადთუთავადესი ზაზა ციციშვილი „მამულისა, ქონების და დიდების ბატონი ყოფილა“. (8, 199).

ჩანს მკვლევარი ღრმად აღარ ჩაეძია ზაზა ციციშვილის და მისი ოჯახის, ციციშვილთა საგვარეულოს ისტორიას. თუმცა, ეს მისი კვლევის პირდაპირი მიზანი არც იყო. ყოველ შემთხვევაში, მკვლევარი თვითვე მიუთითებს, რომ ზაზა „ქვემო ციციშვილ“ ჰაბუნას ძე იყო. (8, 196). ყინცვისის ცნობილი გუმბათიანი ტაძარი წმ. ნიკოლოზისა (XII—XIII სს. მიჯნა) კი ზემო საციციანოში მდებარეობს. ეტყობა, გ. ლეონიძისათვის უცნობი დარჩა დომენტი კათალიკოსის სიგელი, რომლის მიხედვითაც ზაზამ და ზაალმა თავიანთი დედა ყინცვისში აღარ წაასვენეს. ნიჩბისში მის საფლავზე ეკლესიის აშენებით წმ. ნიკოლოზის საგვარეულო სალოცავი თავიანთ მამულში ქვემო საციციანოში გადმოიტანეს და შექმნეს ქვემო ციციშვილთა დამოუკიდებელი საძვალე-განსაყვენებელი. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ზაზას ყინცვისში აღარ წაასვენებდნენ და მის მიერვე აშენებულ ეკლესიაში დაკრძალავდნენ. ზაზა ციციშვილის საფლავი და ეპიტაფია ყინცვისში კი არა ნიჩბისში იყო საფლავებელი.

გ. ლეონიძის გამოკვლევაში არსებულ გაუგებრობას საფუძველი უფრო ადრე ჩაეყარა. მის მიერ დამოწმებულ თედო ჟორდანიას „ქრონიკებში“ მოცემულია ეპიტაფია, ზაზა ციციშვილისა, რომელიც თ. ჟორდანიას ამოუკითხავს „წა ნიკოლოზის ძველს დანგრეულ ეკლესიაში საფლავის ქვებზე“, (11, 478), რომლის ადგილმდებარეობასაც ავტორი არ ასახელებს. „ქრონიკებში“ კიდევ ორჯან ვხვდებით წმ. ნიკოლოზის ეკლესიას, ორივეჯერ ციციშვილებთან დაკავშირებით, ოღონდ უკვე ადგილმდებარეობის მითითებით: „ქრონიკები ჩართული გულანებში... წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ძეგეს ახლოს)...“ (11, VI). ძეგვი ნიჩბისის მეზობელი სოფელია, რომელიც ძველი დროიდან საეკლესიო იყო. აქ არც წმ. ნიკოლოზის ეკლესიაა და არც ციციშვილებს ჰქონიათ საკუთრება. „ქრონიკების“ III წიგნი უკვე ჩვენს დროში გამოვიდა თედო ჟორდანიას გამოუქვეყნებელი მასალების მიხედვით. ერთგან უბის წიგნაკში მკვლევარს ამოწერილი ჰქონია წარწერა ხატისა, აღნიშნული „ძეგვის ნიკოლოზის ხატად“, სადაც შეცდომა გაუსწორებია, გადაუშლია „ძეგვი“ და ზევიდან მიუწერია „ნიჩბისის ნიკოლოზის ხატი“. (12, 23).

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ „თავადთუთავადესი“, სახელოვანი სარდალი და სახლთუხუცესი, „თავისი დროის განთქმული ვაჟაკი“ (8, 197), მეცენატი და ქტიტორი ზაზა ციციშვილი დაკრძალული ყოფილა მისსავე აშენებულ ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, რომლის საფლავის წარწერა XIX საუკუნის მიწურულს ისევ იკითხებოდა. დღეისათვის, ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია-

ამი თორმეტამდე საფლავის ქვაა შემორჩენილი (მათი ნაწილი ბოლო დროს ეკლესიის გაწმენდისას გამოვილინდა), წარწერები კი მხოლოდ ორ მათგანზე იკითხება\*, ორივე XIX ს. განეკუთვნება. უფრო ძველ ქვებზე ეკლესიის უმეტეს ბათობის გამო ატმოსფერული ზემოქმედებით (რესტავრაციამდე) შექმნილი კედლებზეც ნესტიან ზავს იყო მოკიდებული) წარწერები მთლად გადასულია, მხოლოდ, ორნამენტური მოჩარჩოების ნაშთია შემორჩენილი. თითქოსდა, ჩვენთვის საინტერესო წარწერაც სამუდამოდ გამქრალი ჩანდა.

1988 წლის 8 ივნისს ყურადღება მიიქცია საკურთხევლის წინ პირველ რიგში მდებარე საფლავის ქვამ გაუთლელი ზედაპირით. შეუძლებელად გვეჩვენება, რომ ციციშვილთა განსასვენებელში, საპატიო ადგილას საფლავის ქვა უწარწერო, შეუმკობელი და საერთოდ გაუთლელი დაედოთ. მაშინ, როდესაც ეკლესიის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მიწის აღებისას ცოკოლის დონეზე აღმოჩენილი საფლავის ქვა ეპიტაფიიანია (იკითხება ვინმე დილარას სახელი), აყვავებული ჭვრით და ოთხმაგი ჩარჩოთი დამშვენებული. მართლაც, საეკვო საფლავის ქვა გადატრიალებული იყო, გადმობრუნების შემდეგ გამოჩნდა ჩუქურთმიან ჩარჩოში ჩასმული ზაზა ციციშვილის ეპიტაფია!

წარწერას ქვის შუაგული უჭირავს, რომელსაც ორმაგ არშიად შემოუყვება ჩუქურთმა. ამათგან პირველი წნული ორნამენტია, მეორე კი სტილიზებული ფოთლების თუ ყვავილებისგანაა შემდგარი. საფლავის ქვა და მასზე გამოსახული არშიები დასავლეთით მომრგვალებულია, აღმოსავლეთ ბოლოზე კი იმდენად დაზიანებული, რომ აქ წარწერაც ამომტვრეულია (თედო ეორდანიაც ვერ კითხულობდა) და არშიაც აღარ გააჩნია.

წარწერა მხედრულია, შეიდსტრიქონიანი. პირველ სამ სტრიქონს მოჩარჩოებული არის თითქმის ნახევარი უჭირავს, შემდეგი სტრიქონები შეუმკიდროვებიათ, ასოთა ზომებიც შემცირებულია, მგრამ, რამდენიმე სიტყვა ჩარჩოში მაინც ვერ ჩატეულა და გარე არშიაზე ყვავილთა ფუძეებში ამოუყვებითათ. ჩვენი წაკითხვა რამდენადმე განსხვავდება ეორდანიასეულისაგან, ამიტომ მოგვყავს ეორდანიას შესაბამისი ტექსტი:

„ქ. ესე თავადთ: უთავადესი: ფანსკერტელი/ცი/ციშვილი . . . სახლ-თუხუცესი . პატრონი ზაზა: მე: თ . . . მ . . . ლისა: დიდების: პატრონი იყო: . . . ერი: აუჩნდა . . . ნლა ღმერთ: გარისხებულმან . . . ღ'ნ: აგისრულოთ (?) წმეკოდინეს (?) რაც . . . სასახლე და გალავან წ'ის ნიკოლოზის გავათლევინე“ (11, 478). ჩვენ ეპიტაფიას ამგვარად ვკითხულობთ:

- (I) ქ. ესე თავადთუთ/ავადესი ფანსკერტელი ცი/ციშვილი/ მეთის —  
 (II) ა სახლ/თ/უხუცესი პატრონი ზაზა მე ფ . . . უ . . . /მამუ/ —  
 (III) ლისა, ქონების, დიდების პატრონი იყო/ . . . /მტ/ —  
 (IV) ერი აუჩნდა, ვინლა ღმერთ გარისხებულმა . . . .  
 (V) ღ'თ იცის უბრ/ა/ლოთ წ/ავგვადინეს, რაც და გვ . . . . /ავა/ —  
 (VI) შენეთ სასა/ახლე და გალ/ავანი, წმინდის ნიკოლოზის/ ეკლესია/  
 (VII) და მე თან/ამემცხედრემ ანუკამ გ/ავათლევინე ვი/ნც . . . .

\* ეხენია 1817 წელს გარდაცლილ თინათნ ციციშვილის ასულისა და 1833 წელს გარდაცლილ იოანე ზაზას ძე ციციშვილის ეპიტაფიები.

(VIII) არშიაზე გადასული ნაწილი წარწერისა:

და იწერ — ს ჩე — და ნდ ები ვბ (?)

როგორც ირკვევა, უორდანიასეული ტექსტი ნაწილობრივ მცდარია და ჩაკლული. შეცდომაა გაუგებარი „ღმერთმან აგისრულოთ(?) წმინდაიქონის(?)“ ნაცვლად — „ღმერთმან იცის უბრალოთ წაგვაკდინეს“-ი (V სტრიქონი). თ. უორდანიას შეცდომა გამოიწვია „ქარ“-ის მსგავსი მოხაზულობის „კან“-ად და „გან“-ის „მან“-ად ამოკითხვამ. სწორედ ეს სტრიქონი ადასტურებს ზაზა ციციშვილის მკვლევლობის — „უბრალოთ წაბდენის“ ფაქტს. VII სტრიქონი მეცნიერს მთლიანად გამოუტოვებია, მისი ბოლო სიტყვა „გავათლევინე“, რაც ზაზას მეუღლის მიერ საფლავის ქვის გათლევინებას მიანიშნებს, წინა VI სტრიქონზე მიუბაძვს და გაუგებარი ფრაზა მიუღია\*. ასევე არა აქვს მოცემული არშიაზე გადატანილი ასოები, რომელიც ჭერჭერობით გაუგებარია, პირველი სიტყვა თითქოს „დაიწერად“ იკითხება.

მნიშვნელოვანია VI სტრიქონი, საიდანაც ირკვევა, რომ ზაზას და მისი ოჯახის სხვა წევრებს 1676 წლისთვის, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გარდა სასახლე და ვალაჲანიც უშენებიათ. სასახლე, რომელიც დომენტი კათალიკოსის 1671 წლის სიგელშიც მოიხსენიება მეცნიერებისთვის უცნობია. „საგულისხმოა ტექსტის „თავიანთი სასახლეც“, — წერს თ. საყვარელიძე, — რომლისგანაც დღეს, სამწუხაროდ, აღარაფერი შემორჩა, ყოველ შემთხვევაში მიწის ზემოთ“. (2, 27). სინამდვილეში სასახლის ნანგრევები დღემდე შემორჩა, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ახლოს, დღევანდელი სასაფლაოს ტერიტორიაზე, ნიჩბისის ვალაჲანი კი სოფლის მეორე მხარეს მდებარეობს. ესაა გრანდიოზული ნაგებობა, რომლის კედლების სიმაღლე ზოგან ათ მეტრზე მაღალია, ვალაჲანში ჩართულია რამდენიმე კოშკი, შიგნით კი შემორჩენილია აბანოს ნანგრევები, ცალკე მდგომი კოშკი, ნასაყდრალი, გვიანდელი სასახლის ნაშთი და სხვა ნაგებობანი. მის შესახებ მ. ბროსე წერს: „ეიყავით რა ნიჩბისში, სადაც ციციშვილების კუთვნილი ციტადელია, შესასვლელის მაღლა შევამჩნიეთ დიდი წარწერიანი ქვა, მთლიანად დაშრევებული, რომელზეც გვაბრჩიე მხოლოდ ასოები „ციკ“. (14, 109). დღეს კარიბჭის ეს ქვა (არქიტრავე) შესასვლელთან დევს, მასზე წარწერა ხანდაზმულებსაც ახსოვთ, ოღონდ ახლა ის მხარე მიწითაა დაფარული. ვალაჲანის რესტავრაციის დამთავრებისას კი თავის ადგილზე დაიდგმება და იმედი უნდა ექონიოთ, რომ კიდევ ერთი მივიწყებული წარწერა იხილავს დღის სინათლეს.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ფაქტურად დაუდგენელია ერთ-ერთი დიდი ფეოდალური საგვარეულოს — ციციშვილების სხვადასხვა განშტოებათა, კერძოდ კი ქვემო ციციშვილთა ისტორია, რაც ქართულ ენციკლოპედიაშიც აისახა. ენციკლოპედიის VII ტომში მძოვრეთელ მოღვაწეთა შორის მოიხსენიება: „ზაზა ციციშვილი (XVII ს.), რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული რუსთაველის პოემის ერთ-ერთი უძვირფასესი ე. წ. „ზაზასეული“ ხელნაწერი“ (13, 260). ჩვენი აზრით, ცხადი ვახდა,

\* ეპიტოფაში მოხსენებულ ზაზას თანამეცხედრის ანუკას სახელს იმდროინდელი სამართლის ძეგლებიც გვიდასტურებს. იგი „ეგფხისტუაონის“ ვამრამძელებლს მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილის ასული უფილა, ის ცოცხალია 1701-1702 წლებშიც. (8, 201; 9, 194).



რომ XVII ს-ის ცნობილი მოღვაწის, მეწინავე სადროშოს სპასპეტის და საზღ-  
 ეუბუცისის ზაზა ციციშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ქვემო საციციასოს-  
 თან არის დაკავშირებული. ახალი სათავადო სწორედ ზაზასა და მისი უმცროსი  
 წინაპრების (მამა-პაპის) მოღვაწეობის შედეგად დაფუძნდა. სათავადოს ცენტ-  
 რში, ქვემო ნიჩბისში მათ ააშენეს ფეოდალური სენიორიისათვის აუცილებე-  
 ლი ყველა ელემენტი: სასახლე, სიმაგრე (ციხე-გალავანი), ეკლესია (საგვარე-  
 ულო სამლოცველო-განსასვენებელი). ამით ფაქტიურად დასრულდა სათავა-  
 დოს ჩამოყალიბება. როგორც სხვა სათავადოთა ცენტრები, მათი რეზიდენცია  
 ნიჩბისში იმდროინდელი ქართული კულტურის კერას წარმოადგენდა, რაზეც  
 დღემდე მოღწეული ფასეულობანიც მეტყველებს.

---

1. გ. ჯავახიშვილი, ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია (კრებული-მასალები საქართველოს  
 პატრიარქის კულტურისა და ეკონომიკისათვის, თბ., 1982).
2. თ. საყვარელიძე, ნიჩბისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დათარიღებისათვის (კრებუ-  
 ლი-ძეგლის მეგობარი, № 38, თბ., 1975).
3. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შადა  
 ქართლი), თბ., 1983.
4. გ. ჯავახიშვილი, ნიჩბისის გვიანი შუა საუკუნეების ძეგლი წმ. ნიკოლოზის ეკლესია, თბ.,  
 1976 (სადიპლომო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით).
5. ქართული სამართლის ძეგლები (ის. დოლიძის რედ.), ტ. III, თბ., 1970.
6. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, წიგნი I,  
 თბ., 1964.
7. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, წიგნი  
 IV, თბ., 1973.
8. გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958.
9. ქართული სამართლის ძეგლები (ის. დოლიძის რედ.), ტ. IV, თბ., 1972.
10. მცირე ქრონიკები (ჯ. ოდიშელის რედ.), თბ., 1980.
11. თედო ფორდანი, ქრონიკები, წიგნი II, გვ. 1897.
12. თედო ფორდანი, ქრონიკები, წიგნი III, თბ., 1967.
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984.
14. M. Brossel, Rapports sun un Voyage..., St Peterburg, 1850.



Номер настоящего сборника «Дреглие мегობარი» посвящается светлой памяти видного деятеля науки, члена-корреспондента Академии наук, одного из основоположников этнографической школы Грузии **Алекси Ивановича Робакидзе**.

А. КАЛДАНИ

**К ТИПОЛОГИИ ГРУЗИНСКОГО ТРАДИЦИОННОГО ЖИЛИЩА**

Сравнительное изучение грузинского архитектурно-этнографического материала по таким важнейшим элементам культуры как жилище, поселение и т. д. даёт возможность наметить три основных этнографических района, исторически сложившихся к XIX в и относящихся к различным хозяйственно-культурным типам, а

именно Колхидской низменности, Восточно-грузинской равнины и Горной Грузии.

Каждый из вышеуказанных районов включает отдельные типы традиционного жилища, которые отражая общие черты данного хозяйственно-культурного типа, вместе с тем, характеризуются локальными особенностями (стр. 9).

В. ЧИКОВАНИ

**ОЧАГ МТИУЛЬСКОГО ДОМА**

В статье на основе нового полевого этнографического материала представлено подробное описание места разведения огня, его территориальное отношение к

другим частям жилой половинки террасообразного дома. Особое внимание уделено описанию разнообразных элементов очажного комплекса (стр. 21).

Б. ГАМКРЕЛИДЗЕ

**РАЧИНСКИЙ ГОРНЫЙ ЖИЛОЙ КОМПЛЕКС**

Та часть Рачи, известная в специальной литературе как Горная рача, отличалась множеством башен и домов-крепостей, которые объединяли в одном комплексе жилые, хозяйственные и оборонительные функции.

С развитием исторических процессов видоизменяются указанные выше комплексы и формы поселения. Изучение древних комплексов и ритуалов, связанных с очагом, указывают, что в горной Раче ведущим было скотоводство (стр. 28).

ДЖ. РУХАДЗЕ

**ГРУЗИНСКИЙ НАРОДНЫЙ ПРАЗДНИК**

Берикаоба-кееноба — многодневный весенний аграрный праздник, который на протяжении многовековой истории Грузии, претерпел целый ряд изменений: определенное выражение нашло в нем историческое прошлое Грузии — постоянная борьба с

внешними врагами и отдельные моменты социально-политической жизни.

Главный персонаж праздника Берика имеет определенную функциональную связь с общегрузинским языческим божеством Босели, который считался верхов-

ным покровителем оплодотворения и размножения людей и крупного рогатого скота, плодородия земли и изобилия.

Языческие празднества, сходные с «Берикаоба-кееноба», имели широкое распространение в эллинском мире и в странах Древнего Востока. В качестве

примеров можно назвать многодневные мистерии Таммуза в Месопотамии, Иштар в Мидии, Астарты и Адониса в Финикии, Деметры и Дионисия в Греции. Аналогичные праздники сохранились до последнего времени и в европейском быту в виде масовых карнавалов (стр. 35).

Г. ГОЦИРИДЗЕ

### НАРОДНЫЕ СПОСОБЫ ХРАНЕНИЯ ХЛЕБА И ВИДЫ СООТВЕТСТВУЮЩЕЙ ДОМАШНЕЙ УТВАРИ В ГРУЗИИ

В предлагаемой работе дается краткое описание некоторых традиционных способов хранения выпеченного хлеба в домашних условиях. Это — укладывание на плетенку — «ласти», в корыто для замешивания теста — «варцли» и в деревянный ларь — «кидобани». Автор подчеркивает рациональные стороны этих тради-

ционных способов хлебохранения с практической точки зрения, (сохранения вкусовых качеств хлеба) и предлагает рекомендации соответствующим производственным организациям по серийному выпуску красиво оформленных малогабаритных хлебниц, украшенных национальными грузинскими орнаментами (стр. 41).

Л. ГАБУНИЯ

### НОЖИ ДЛЯ ОБРЕЗКИ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ

Статья повествует о ножах для обрезки виноградной лозы, зафиксированных в разное время в хозяйственном быту жителей Восточной Грузии. Автором установлено, что наряду с ста-

ринными образцами ножей, восходящими к древней эпохе, встречаются экземпляры фабричного производства, завезенные в Грузию из-за границы в дореволюционное время (стр. 46).

А. НАРИМАНИШВИЛИ

### СКАЗАНИЕ О ПЕРВОМУЧЕНИКЕ СВЯТОМ СТЕФАНЕ

История грузинской этнографии сохранила много интересных сказаний и среди них привлекает внимание сказание о святом первомученике Стефане, с чьим именем связана Урбинская церковь.

Специальное историко-этнографическое исследование привело автора к заключению, что сказание своим первоначальным замыслом и происхождением связано с эпохой раннего христианства — эпохой, когда еще были

напряженными отношениями между христианством и ранее существовавшими религиями (мазднаством, идолопоклонничеством).

По мнению автора, хронологические рамки нахождения праха

святого первомученика Стефана не выходят из рамок конца IV и начала V века.

Автор предполагает, что сказание о святом первомученике Стефане создано в V в. (стр. 50).

И. МЕЛАДЗЕ

## ПАМЯТНИКИ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ СВАНЕТИИ В АНГЛИЙСКИХ ИСТОЧНИКАХ XIX ВЕКА

Древние памятники Сванетии привлекали внимание побывавших здесь английских путешественников. В их записках, трудах часто встречаются интересные сведения о памятниках материальной культуры Сванетии.

Д. МИНДОРАШВИЛИ

## К ВОПРОСУ СТРОИТЕЛЬНОГО ИСКУССТВА СРЕДНЕВЕКОВОГО УПЛИСЦИХЕ

В средневековом Уплисцихе представлена картина совмещения скального и обычного строительства. В античное время рабочий цикл обработки поверхности скалы охватывал все операции от первичной обработки скалы до ее тщательного лощения. В средневековую

В представленной статье даны описания Д. Фрешфильда и Дж. Тельфера жилых и культовых сооружений этого региона. Сведения критически рассматриваются и дается их оценка. (стр. 58).

эпоху этот цикл был значительно шире.

Кроме высеченных в скале залов, в средневековом Уплисцихе представлены возведенные камнем постройки. В Уплисцихе подтверждается существование и деревянных построек (стр. 62).

О. МАПСУРАДЗЕ

## ЦЕРКОВЬ СВ. НИКОЛАЯ В с. НИЧБИСИ

(К истории княжества Квемо Сацциано)

В статье на основе исторических источников и анализа научной литературы восстановлена история строительства церкви св. Николая в селе Квемо Ничбиси. Печатаются вновь обнаруженный эпиграфический памятник XVII века — Эпитафия Заза Цицишвили, которую относили к Квицкиской церкви св. Николая и считали утерянной в последнее столетие. В статье дается более полное и уточненное чтение текста эпитафий.

Заза Цицишвили известный деятель Грузии XVII века, полководец и дворянин Картлинского царства. Он был убит в 1676 г. во дворе царя Вахтанга V, приказом царевича Георгия. В статье выяснено, что церковь св. Николая не развалилась, как утверждалось раньше, а осталась без купола в последствии убийства ктиторы и разоре-

ния его семьи. Строительство не было завершено.

История строительства церкви св. Николая дает новый материал для выяснения создания одного из больших княжеств Грузии — Сацциано. Заза Цицишвили ошибочно считался деятелем из Земо (верхнего) Сацциано. Становится очевидным, что он из той ветви рода Цицишвили, которые обосновались в Ничбисском ущелье. Они свою резиденцию создали в Квемо Ничбиси, где кроме церкви (родовой усыпальницы) построили другие обязательные элементы для существования отдельного княжества — дворец и крепость. Таким образом, ко второй половине XVII века оканчивается основание нового княжества, которое стали называть Квемо (нижний) Сацциано (стр. 67).

**TO THE TYPOLOGY OF THE TRADITIONAL GEORGIAN DWELLING**

Based on the comparative analysis of the architectural—ethnographic data of Georgian dwelling, the author distinguishes three main ethnographic regions, which were historically established by the 19th c. and belonged to different types of farming and culture. They are—Kolkhid lowland, East Georgian plain and Georgian highland. Each of the regions comprises separate types of the traditional dwelling, which though reflecting the common traits of the given type of farming and culture, are still characterized by the local peculiarities.

V. CHIKOVANI

**HEARTH OF MTIULETI DWELLING**

Based on the new ethnographic material, the author gives a detailed description of the place the fire was burnt, its interrelation with the other parts of the dwelling quarters of a terrace—like house. Special attention is paid to the description of the various elements of the hearth complex.

B. GAMKRELIDZE

**MOUNTANEOUS DWELLING COMPLEX OF RACHA**

The article deals with the dwelling complexes of the mountaneous Racha, comprising a great number of towers and house—fortresses, which combine dwelling, farming and fortificational functions in a single complex. Based on the study of the ancient complexes and rituals, connected with the hearth, the author concludes, that cattle—breeding was predominant in the mountaneous Racha.

G. RUKHADZE

**GEORGIAN FOLK FESTIVAL (BERIKAOBA—KEENOBA)**

The article is concerned with the analysis of the age-old spring agricultural festival Berikaoba—Keenoba. The author discusses the alterations, which it had undergone in the course of the time, tracing certain functional ties between the main personage of the festival Berika and common Georgian pagan deity of the fertility—Boseli. Similar pagan festivals, which were widespread in the hellenistic world and the countries of the Ancient Orient are analysed as well.

G. GOTSIRIDZE

**FOLK MEANS OF STORING BREAD AND THE TYPES OF THE CORRESPONDING UTENSILS IN GEORGIA**

The article gives a brief description of some traditional means of storing bread and the types of the utensils, used for it—„lasti“, „vartsi“, „kidobani“. The author emphasizes the rational aspects of these traditional means of storing, proposing the recommendations for the serial production of the corresponding utensils, decorated with the national ornamentation.

L. GABUNIA

**KNIVES FOR CUTTING VINE**

The article is concerned with the knives for cutting vine, which were registered in different periods in the farming activity of the inhabitants of East Georgia. The author ascertained, that alongside old types of the knives going back to the depth of ages, some specimens of the fabric production are met as well, being brought to Georgia before the Revolution from abroad.

2/19  
A. NARIMANISHVILI

**THE STORY OF THE PROTOMARTYR ST. STEPHEN**



The article deals with the story of the Protomartyr St. Stephen, whose name is connected with Urbnisi church. Based on the historical—ethnographical investigation, the author proposes, that the le-

gend is connected with the early Christian epoch, which is characterized by the complicated interrelation of different religions and is most likely to be dated to the 5th c.

N. MELADZE

**MONUMENTS OF THE MATERIAL CULTURE OF SVANETI IN THE 19TH. C. ENGLISH SOURCES**

Ancient monuments of Svaneti had drawn the attention of English travelers, who visited the region. Their notes and works often comprise interesting data, concerning the monuments of Sva-

neti. The article gives the descriptions of the dwelling and cult structures, made by D. Freshfield and G. Telfer. The data are critically analysed and evaluated.

D. MINDORASHVILI

**TO THE PROBLEM OF THE BUILDING TECHNIQUE OF THE MEDIEVAL UPLISTSIKHE**

The article deals with the peculiarities of the building technique, revealed in the medieval structures of Uplistsikhe, combining the methods of cave and usual building. The complete cycle of building, beginning from the primary processing

of the rock up to its careful polishing, ascertained in the antique period, becomes far shorter in the Middle Ages. Besides rock-cut halls, stone-built and wooden structures are also found in the medieval Uplistsikhe.

O. MAISURADZE

**THE CHURCH OF ST. NICHOLAS IN THE VIL. NICHBISI (TO THE HISTORY OF KVEMO SATSITSIANO PRINCEDOM)**

The article, based on the data of the historical sources and the analysis of the scientific literature, reconstructs the history of the erection of the church of St. Nicholas in the vil. Kvemo Nichbisi. The author gives a publication of the newly discovered 17th c. epigraphical monu-

ment — an epitaph of Zaza Tsitsishvili, which was attributed to the church of St. Nicholas in Kintsvisi and was considered to be lost in the last century. The article proposes a more complete and precise reading of the text of the epitaph.